

18  
185/2

საქართველოს  
საბჭოთავო


# საქართველო საბჭოთავო

22/9  
188



1 1985





# საჭმომთა სამართალი

№ 1

ინაგარი,  
თეზურვალ

1985 წელი

შურნალი ბაგოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის საინსტიტუტოს, პროკურატურისა და  
შმაღლესი სასამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული შურნალი

## შინაარსი

რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრება	3
რესპუბლიკის სასამართლოდევითი ორგანოები ახალი ამოცანების წინაშე	5
საბოთა დემოკრატიის ზეიმი	10
მ. მელნიკოვა — ახალი მიმართულება თანამედროვე ბურჟუაზიულ კრი- მინოლოგიაში — დამნაშავეობისადმი სოციალური რეაქცია	12
<u>ინტერვიუ საქართველოს სსრ პროკურორთან</u>	
ბანვაგბიციტთ მიღწეული, გადაჭრით აღმოფხვრათ ნაკლოვანებანი	18
ა. ქარანაძე — ავგაღლოთ მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხი	23
დ. სულაჟელიძე — დამხარის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება	29
დ. კუპრეიშვილი — გეგმების შემცირების წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებ- რივი საშუალებანი	38
<u>ბანონის კომენტარი</u>	
დ. ჯულუხაძე — სიხლმ სასჯელთა სისტემაში	44
<u>სასამართლო პრაქტიკის განხორგადება</u>	
ბ. ბახტაძე — სასამართლო პრაქტიკა შრომითი დავის საქმეთა ბაგო	51
<u>აგროსამრეწველო კოგლექსი — ყველას საჭრუნავი</u>	
მ. გვაჯავა — რაიონული აგროსამრეწველო ბაგეტიანების შრთიერთ- დამოკიდებულება გასში შემავალ საწარმოებთან და ორგანიზაციებთან	56
<u>კირველი ნაბიჯები მეცნიერებაში</u>	
ი. ფალიაშვილი — სამართაშორისკო კერკო სასამართლის რკლი სახელმწი- ფოთა შორის ეკონომიკური შრთიერთობის ბანვითარებაში	65
საქართველოს სსრ შმაღლესი საბოთს კრეშიდითეში	68
ინფორმაცია	69



# СОДЕРЖАНИЕ



Собрание партийного актива Грузии . . . . .	5
Правоохранительные органы республики перед новыми задачами . . . . .	10
Торжество советской демократии . . . . .	10
Э. Мельникова — Социальная реакция на преступность — новое направление в современной буржуазной криминологии . . . . .	12
<b><u>Интервью с прокурором Грузинской ССР</u></b>	
Закреплять успехи, решительнее устранять недостатки . . . . .	18
А. Каранадзе — Поднять качество осуществления правосудия . . . . .	23
Д. Сулаквелидзе — Отказ пособника от совершения преступления . . . . .	29
Д. Купрейшвили — Правовые средства борьбы против уменьшения планов . . . . .	38
<b><u>Комментарии закона</u></b>	
Д. Джулухадзе — Новое в системе наказаний . . . . .	44
<b><u>Обобщение судебной практики</u></b>	
Г. Бахтадзе — Судебная практика по делам о трудовых спорах . . . . .	51
<b><u>Агропромышленный комплекс — забота каждого</u></b>	
М. Гвазава — Взаимоотношение РАПО с входящими в него предприятиями и организациями . . . . .	56
<b><u>Первые шаги в науке</u></b>	
И. Палиашвили — Роль международного частного права в развитии экономических отношений между государствами . . . . .	65
В Президиуме Верховного Совета Грузинской ССР . . . . .	68
Информация . . . . .	69



## სარედაქციო კოლეგია:

- ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ლ. ალექსიძე, ა. ბარაბაძე,
- გ. ბერძენიშვილი (პ/მგ მდივანი), გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე,
- მ. ლეკვეიშვილი, გ. ტყეშელაძე, ა. შუშანაშვილი,
- ა. ხოჭოლავა, ს. ჯორბენაძე

© „საბჭოთა სამართალი“, 1985 წ.

რედაქციის მისამართი, თბილისი კლენანოვის პრ. 108. ტ. 95-68-87, 95-88-49.

გადაეცა წარმოებას 26.03.85 წ., ხელმოწერილი დასაბეჭდად 3.6.85 წ.,  
ფორმატი 70×108/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი  
ფურცელი 7. სააღრიცხვო-სავამომცემლო თაბახი 7,5  
შეგვ. № 742 ტირაჟი 25200 უე 05490

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა.  
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



# რესპუბლიკის პარტიული აქტივის ქაზა

18091

14 თებერვალს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდო-  
მათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის პარტიული აქტივის ქრება. ქრების  
მონაწილეებმა განიხილეს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის 1984 წლის  
შედეგები და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, სოციალისტური სა-  
კუთრების საიმედო დაცვა-შენახვისათვის ბრძოლის ყოველმხრივ გაძლიერე-  
ბის, დატაცების, მექრთამეობის, სპეკულაციის, სხვა სამართალდარღვევათა  
პროფილაქტიკის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივ-  
ნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერ-  
ნენკოს მითითებათა შესაბამისად.

ქრებაზე მიწვეული იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომი-  
ტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, საქართველოს კომპარტიის სარევი-  
ზიო კომისიის წევრები, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირ-  
ველი მდივნები, რომლებიც არ შედიან ცენტრალური კომიტეტის შემადგენ-  
ლობაში, სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასკომების  
თავმჯდომარეები, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, სამარ-  
თალდაცვითი ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები, მასობრივი ინფორმა-  
ციის საშუალებათა წარმომადგენლები.

ქრების პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუ-  
როს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტე-  
ტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართ-  
ლოს თავმჯდომარე ვ. ი. ტერებილოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრა-  
ლური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები გ. ა. ანდრო-  
ნიკაშვილი, გ. დ. გაბუნია, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, ბ. ვ.  
ნიკოლსკი, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი,  
ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ბ. ვ. აღლეიბა, თ. ი. მოსაშვილი,  
ე. რ. პაპუნძიძე, ფ. ს. სანაკოვეი, უ. კ. შარტავა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის  
სექტორის გამგე ა. ს. პავლოვი, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის მო-  
ადგილე, გენერალ-პოლკოვნიკი ი. ტ. ბოგატირიოვი.

ქრება გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მფორე  
მდივანმა ბ. ვ. ნიკოლსკიმ.

მოსხენება გააკეთა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ.

კამათში მონაწილეობდნენ: საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო  
კომიტეტის პირველი მდივანი გ. დ. გაბუნია, რესპუბლიკის პროკურორი ა. შ.

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სახ. რესპუბ.  
ბიბლიოთეკა



ბარაბაძე, საქართველოს სსრ კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველი მდივანი  
 ე. ნ. შენგელაია, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი  
 ბ. გ. ადღეიბა, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი გ. ი. გვეტაძე,  
 სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდო-  
 მარე თ. შ. კაბულოვა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი  
 გ. ე. ჩიგოვიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი  
 მოადგილე ნ. ა. ჭითანავა, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ა. ა. შუ-  
 შანაშვილი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი კ. ს.  
 ვირსალაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. გ. კა-  
 რანაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ლო-  
 თიხისა და ალკოპოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და არასრულწლოვანთა  
 საქმეების რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე ო. ე. ჩერქეზია, საქართვე-  
 ლოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი გ. გ. გუმბარიძე,  
 საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი რ. ჰ. კონცელიძე, გაზეთ  
 „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი ნ. გ. ჩერქეზიშვილი, სსრ კავშირის 50 წლის-  
 თავის სახელობის საწარმოო გაერთიანების ბრიგადირი, სამქროს პარტორგა-  
 ნიზაციის მდივანი ს. კ. ორლოვა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომი-  
 ტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირებისა და  
 პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე, გაზეთ „სოვეტ გურ-  
 ჯისტანის“ რედაქტორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი თ. მ. ჯაფარ-  
 ლი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ტრანს-  
 პორტზე დისციპლინის განმტკიცებისა და სახანძრო უსაფრთხოების რესპუბლი-  
 კური სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე გ. ა. ანჩაბაძე.

კრებაზე გამოვიდა ამხანაგი ი. ტ. ბოგატირიოვი.

კრებამ დაამტკიცა დისციპლინის, სოციალისტური მართლწესრიგის, კანო-  
 ნიერების განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის ღონის-  
 ძიებათა 1985 წლის კომპლექსური გეგმა, მიიღო რეზოლუცია.



# რესპუბლიკის საპარტოლდაცვითი ორგანოები ახალი ამოცანების წინაშე

წლეულს, 12 თებერვალს, გაიმართა საქართველოს პარტიული აქტივის კრება, რომელმაც განიხილა რესპუბლიკაში მართლწესრიგისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საკითხი. უკვე კარგ ტრადიციად იქცა ის, რომ საქართველოს კომუნისტები წლის დასაწყისში საგანგებოდ მსჯელობენ ამ სფეროში წინა წელს გაწეული მუშაობის შესახებ, კრიტიკულად აფასებენ თავიანთი საქმიანობის შედეგებს და სახვეწ ღონისძიებებს დამნაშავეობასთან ბრძოლის მთავარი საკვანძო პრობლემების რაც შეიძლება მაღელვარებით განაწვევდნენ.

საქართველოს მშრომელებმა შარშან ახალ წარმატებებს მიიღწიეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში. რესპუბლიკის მრეწველობამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა საგეგმო დავალებანი, თვალსაჩინოა აგრეთვე სოფლის მეურნეობის მშრომელების მიღწევებიც.

რესპუბლიკის წინაშე მდგომი დიდი და რთული ამოცანების გადაწყვეტაში თავიანთი წვლილი შეაქვთ არამატერიალურ სფეროში დასაქმებულ მუშაკებსაც, მათ შორის საპარტოლდაცვითი ორგანოების თანამშრომლებს: შინაგან საქმეთა, პროკურატურის, იუსტიციის და სასამართლო ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს, ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების დადგენილებებსა და მათში მოცემულ ფუძემდებლურ მითითებებს, მიზანდასახულ მუშაობას ეწევიან სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის, დამნაშავეობის პროფილაქტიკისა და თავიდან აცილებისათვის, საბჭოთა კანონების პატივისცემის სულისკვეთებით მოსახლეობის აღზრდისათვის. შემუშავებულია და ყველა რგოლში მოქმედებს დამნაშავეობასთან ბრძოლის მწყობრი, გააზრებული სისტემა. განხორციელებული ღონისძიებების წყალობით ამდღა საპარტოლდაცვითი ორგანოების მუშაობის ეფექტიანობა დამნაშავეობასთან ბრძოლაში. შემცირდა დანაშაულის, კერძოდ, საშიში დანაშაულის რაოდენობა, ბოლო წლებში მხილებულია სხვადასხვა ჯურის დამნაშავეთა ჯგუფები, რომლებიც ძირს უთხრიდნენ სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიკურ ძლიერებას და არყვედნენ ჩვენი საზოგადოების წინაშე საფუძვლებს. ყველას მათ საქმარისად მიეწოდო.

მაგრამ ახალი ამოცანები, რომლებიც თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებებიდან გამომდინარეობს, პარტიული, საზოგადოებრივი და სამართალდამცავი ორგანოებისაგან მოითხოვს კიდევ უფრო გამწვავონ ბრძოლა დამნაშავეობის და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ, სრულყოფილ პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი საქმიანობა, შექმნან სახელმწიფო ქონების დამტაცებლების, მექრთამეების, სბეკულანტების, ქურდების და საზოგადოებრივი წესრიგის ყველა დამრღვევთა მიმართ შეურიგებლობის ვითარება.

საქართველოს პარტიული აქტივის კრებას, რომელმაც რესპუბლიკის საპარტოლდაცვითი ორგანოებს დაუხაზა ახალი, გაზრდილი ამოცანები, უდიდესი, შეიძლება ითქვას, საეტაპო მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა, იუსტიციის, პროკურატურის და სასამართ-



ლო ორგანოებისათვის. კრებაზე ერთხელ კიდევ ხაზგასმით ითქვა, რომ ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის უპირველესი პირობაა სამართალდაცვითი ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერება. უამისოდ შეუძლებელია სამართალდაცვითი ორგანოები ვერ შეასრულებენ მათ წინაშე მდგომ რთულ ამოცანებს.

წლეულს ხელსაყრელი პირობებია შექმნილი ამ სფეროში ვითარების ძირფესვიანი გაუმჯობესებისათვის. ეს უპირველესად იმით არის განპირობებული, რომ ჩვენს ქვეყანაში ახლა დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობაა, რაც გამოიწვია ცნობამ, რომ მალე გაიმართება სკპ XXVII ყრილობა. მოწინავე შრომითი კოლექტივების თაოსნობით უკვე გაჩაღდა ჰეშმარიტად საერთო-სახალხო ბრძოლა ხანელმწიფო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, შრომითი და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებისათვის, ქალაქებში, რაიონებში, დასახლებულ პუნქტებში, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში სანიმუშო მართლწესრიგისა და კანონიერების უზრუნველყოფისათვის.

საქართველოს კომპარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი ათ წელზე მეტია უკომპრომისო ბრძოლას ეწევიან საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეურნეო და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიშატის გაქანსადებისათვის, დამნაშავეობის თავიდან აცილებისათვის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის. ამ კურსის წყალობით უკვე მიღწეულია პოზიტიური ძვრები. დანაშაული წლითიწლობით მცირდება. შეუქცევადი ხასიათი მიენიჭა საზოგადოებრივ ცხოვრებაში განვითარებული სოციალისტური საზოგადოებისათვის დამანასიათებელ სულიერ ღირებულებათა დამკვიდრების ტენდენციებს. ყოველივე ამას რესპუბლიკის მშრომლები კმაყოფილებით აღიქვამენ. მაგრამ ეს მაინც არ გვაძლევს დამშვიდების უფლებას. დამნაშავეობის შემცირებისათვის, ნეგატიური მოვლენების დაძლევისა და თავიდან აცილებისათვის დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს მიზანდასახული ღონისძიებები.

საჭიროა კიდევ უფრო გავამწივავოთ ბრძოლა ისეთი დიდი ბოროტების წინააღმდეგ, როგორც არის ხანელმწიფო ქონების დატაცება. მექრთამეობა, აღურიცხავი პროდუქციის გამოშვება, წაშატება, საქონლის გადაშალვა და დახლქვეშ ვაჭრობა, სპეკულაცია. გარდა იმისა, რომ ისინი თავისთავად მძიმე დანაშაულთა რიგს განეკუთვნებიან, წარმოშობენ აგრეთვე სოციალიზმის ანტიპოლემებს, ისეთ ნეგატიურ მოვლენებს, როგორც არის მომხვეჭელობა, კერძო მესაკუთრული ინსტიტუტები, ათასგვარი სხვა წვრილბურჟუაზიული მეშჩანური დაავადება, აღაშინის სულიერ ღირებულებათა გაუფასურება, ხაზოლოო ანგარიშით კი აღაშინის დაკნინება.

ამ და სხვა ნეგატიური მოვლენების დაძლევა შეუძლებელია, თუ არ გავაუმჯობესებთ მთელი იდეოლოგიური მუშაობა. არ გამოვიყენებთ ეკონომიკური, პოლიტიკური, წინეობრივი, ფსიქოლოგიური და სამართლებრივი საშუალებები. ყველამ უნდა იცოდეს, რომ დანაშაულისა და ამორალური საქციელისათვის სასჯელი გარდაუვალია. ამ საქმეში კი გადამწყვეტი როლი აკისრია სამართალდაცვითს ორგანოებს, რომლებმაც ეფექტიანად უნდა გამოიყენონ საშროთა კანონი, სამართლის ნორმები.

სამართალდაცვითმა ორგანოებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ მუქთახორობის და ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლას, რომელიც უცხო და შეუთავსებელია სოციალიზმისათვის და დანაშაულის ჩადენის წყაროს წარმოადგენს. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ყველა ლოთი და პარაზიტი პოტენციური დამნაშავეა. სტატისტიკა მოწმობს, რომ მკვლელობის 35 პროცენტზე, ხლოო სულიკნობის თითქმის 50 პროცენტზე სიმთვრალეშია ჩადენილი, დამნაშავეთა შორის 80 პროცენტი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას არ ეწეოდა. ეს ციფრები დამაფიქრებელია. როგორც ცნობილია, რესპუბლიკის რეგიონებში შექმნილია მუქთახორობისა და ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები, რომლებშიც შედიან სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკები. მათ ევალებათ ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ ამ კომისიების მუშაობა მიზანსწრაფული, საგნობრივი და უფრო ეფექტიანი გახდეს. ფაქტები მოწმობს, რომ სამწუხაროდ, ბევრგან ასეთი კომისიები სუსტად მუშაობენ. შემტვეი ხასიათი უნდა შეიცეს აგრეთვე ბრძოლას კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის წინააღმდეგ მისი დაძლევის ერთ-ერთი ძირითადი პირობა ის არის, რომ ყველგან უზრუნველყოთ სოციალიზმის ძირითად-





დი პრინციპის განხორციელება, რომელიც გულისხმობს შრომის მიხედვით ანაზღაურებას:


სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებით მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად, შრომითი რესურსების მაღალეფექტიანი გამოყენებისა და პარაზიტული ელემენტების გამოვლენის მიზნით 1 მარტიდან რესპუბლიკაში ეწყობა შრომითი კრესურსების გამოყენებისა და მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის დათვალეიერება. ამ ღონისძიებისათვის რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და რაიონის სახალხო დეპუტატთა აღმასკომებთან შექმნილია კომისიები რომლებიც კონტროლს გაუწევენ დათვალეიერების მიმდინარეობას. დათვალეიერების შედეგებს რეგულარულად განიხილავენ მუშების, კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე, სახალხო დეპუტატთა სასოფლო, სადაბო, რაიონული და საქალაქო საბჭოების სესიებზე. სამართალდამცავი ორგანოები მოვალენი არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ საქმიანობაში, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ დათვალეიერების წარმატებას უზრუნველყოფს ამ საქმეში საზოგადოებრიობის ჩაბმა.

კრებებზე ხეროზული საყვედური გამოითქვა ზოგიერთი რაიონის სამართალდამცავი ორგანოების მიმართ. მაგალითად, გორის რაიონის პროკურატურა და შინაგან საქმეთა ორგანოები გააკრიტიკეს იმის გამო, რომ რაიონში გაიზარდა ძარცვის, ყაჩაღობის, სახელმწიფო ქონების ქურდობის, არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევითა რიცხვი. მკვეთრად გართულდა ვითარება საავტომობილო გზებზე. ოპერატიული მდგომარეობა გაუარესდა ლაგოდეხის რაიონშიც, აქ გაიზარდა მოქალაქეთა და სახელმწიფო ქონების ქურდობის შემთხვევები, გაუარესდა დანაშაულის გახსნის მაჩვენებლები. ამ, აგრეთვე ამბროლაურის, წულუკიძის, თეთრი წყაროს რაიონების აღმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელები მოვალენი არიან განახორციელონ გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური ღონისძიებანი დანაშაულის თავიდან აცილებისათვის, ყველაფერი იღონონ რეგიონში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის. საბჭოთა ადამანები ღირსი არიან, რომ შრომისა და დანაშაულების ნორმალური პირობები შექონდეთ. მხოლოდ ასეთ ვითარებაში შეძლებენ ისინი პროდუქტიულად, ნყოფიერად იშრომონ, კარგი გუნება-განწყობილება შექონდეთ. გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრის წინამძღვარი ის არის, რომ სამართალდამცავთა ორგანოებში გააფართოონ კავშირი მოსახლეობასთან, მართლწესრიგის განმტკიცებაში ჩაბან მთელი საზოგადოებრიობა, უპირველესად ახალგაზრდობა, გააუმჯობესონ სახალხო რაზმეულებისა და სხვა ფორმირებათა მუშაობა, უზრუნველყონ აღმწრდლობითი გავლენა იმ პირებზე, რომლებსაც მიდრეკილება აქვთ სამართალდარღვევისადმი.

კიდევ უფრო უნდა გაუმჯობესდეს სახელმწიფოსათვის დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურება. კრებებზე ხაზგასმით ითქვა, რომ ბოლო წლებში ამ მხრივ ბევრი რამ კეთდება. მცირდება დატაცება ფულადი გამოსახულებით, მატულობს მატერიალური ზარალის ანაზღაურება. შარშან სახელმწიფოს დაუბრუნდა დატაცებული თანხის თითქმის 75 პროცენტი, 1980 წელს კი ეს მაჩვენებელი 80 პროცენტს არ აღემატებოდა, მაგრამ ეს ზღვარი არ არის, ამით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. კრებებზე ითქვა, რომ საქირთა რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების საკოორდინაციო საბჭომ შეიმუშაოს სახალხო დოვლათის დატაცების ფაქტობრივი ოდენობა და შეიმუშაოს მეთოდოკა ზარალის ანაზღაურების თაობაზე თუნდაც ერთი ქალაქის თუ რაიონის მასშტაბით, ერთი სამინისტროს მაგალითით. ასეთივე ღონისძიებების განხორციელება მოუწევთ აფხაზეთის, აჭარის ასს რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სამართალდამცავი ორგანოების საკოორდინაციო საბჭოებს.

კრების მონაწილეებმა საჭიროდ მიიჩნიეს, რომ გამწვავდეს ბრძოლა იმ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ, რომლებიც ხდება ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში, „ცეკავშირის“ სისტემაში. უახლოეს ხანში უნდა აღმოიფხვრას მომხმარებელთა ზომა-წონაში და ანგარიშში მოტყუების, დეფიციტური საქონლის გადაძალის ფაქტები. უნდა გამოიძენოს უფრო ეფექტიანი ფორმები, რათა აღმოიფხვრას დამნაშავეობა სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში, ვინაიდან ეს აწუხებს პატიოსან მშრომელებს, მოსახლეობის ფართო ფენებს. სავაჭრო და მომსახურების სფეროში შეიძლება და უნდა დამყარდეს კიდევ სრული წესრიგი, ისინი უნდა გაიწმინდოს უღირსი მუშაკებისაგან, რომლებიც თავიანთი საქმიანობით სახელს უტეხენ მთელ დარგს.





მოსახლეობის დიდ შემფოთებას იწვევს ავტოსაგზაო შემთხვევები. მართალია, მათი რიცხვი და შედეგის სიმძიმე წლითიწლივით მცირდება, მაგრამ ეს არ უნდა გვაშფოთებდეს. მდგომარეობას კვლავ ართულებს, ის, რომ მოსუსტებს მძღოლთა, განსაკუთრებით მანქანის ინდივიდუალურ მფლობელთა დისციპლინა. საქმარისია ითქვას, რომ შარშან ოცდასამი ათასი მძღოლი დააკავეს იმის გამო, რომ საქვს წასვამი უჭდა. დაახლოებით 20 ათას კაცს ჩამოერთვა მძღოლის მოწმობა. თუ რა დიდი მატერიალური ზარალი და მსხვერპლი მოსდევს საგზაო წესების დარღვევას, მოწმობას ასეთი ფაქტები. ავტოავარიების შედეგად ბოლო ათი წლის მანძილზე დაიღუპა ცხრა ათასი და დაშავდა 27 ათასამდე კაცი. მატერიალურმა ზარალმა კი ასიათასობით მანეთი შეადგინა.

მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ რესპუბლიკაში ყოველწლიურად იზრდება ავტომობილების პარკი, ზვების გამტარუნარიანობა კი არ მატულობს. კრებაზე ითქვა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევების შემცირებისათვის არა მარტო უნდა გავაძლიეროთ ზედამხედველობა საგზაო მოძრაობისადმი და არსებითად გავაუმჯობესოთ ავტოინსპექციის ყველა რგოლის მუშაობა, არამედ ავაძლიეროთ სატრანსპორტო დანაშაულობათა სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ხარისხი. ამ მხრივ დამაკმაყოფილებლად არ მუშაობენ წითელწყაროს, ბოლნისის, ხაჩნერისა და სხვა რაიონების პროკურატურები, რომლებიც ქვეროვან ზედამხედველობას ვერ ახორციელებენ ამ კატეგორიის საქმეების გამოძიებისადმი.

დიდი ამოცანები დგას სახალხო სასამართლოებისა და იუსტიციის დაწესებულებების წინაშე. მათ მუშაობაში ჭერ კიდევ ბევრია ფორმალში, აღმოფხვრილი არ არის საქმეთა უსაფუძვლოდ გაჭიანურების, ბიუროკრატიზმისა და მოქალაქეთა საჩივრების გადაწყვეტისადმი უსულგულო დამოკიდებულების ფაქტები. განსაკუთრებით შეუწყნარებელი ვითარება შეიქმნა სამოქალაქო საქმეთა განხილვა-გადაწყვეტაში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ ცოტა ხნის წინათ იმსჯელა სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვის ვადების უხეში დარღვევების გამო და მიიღო დადგენილება, რომელსაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებისათვის. პარტიული სასჯელი დაედოთ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, რესპუბლიკის პროკურატურის და უმაღლეს სასამართლოს იმ ხელმძღვანელ მუშაკებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სამოქალაქო სამართლის საქმეთა დროულად და კანონის შესაბამისად გადაწყვეტისათვის.

ასევე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა კანონით დადგენილ ვადებში განხილვას შემუშავდეს ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული საქმის მსვლელობის უზუსტ კონტროლს მისი აღძვრიდან განაჩენის გამოტანამდე. სასამართლოები არასამარის ღონისძიებებს ახორციელებენ სასამართლო პროცესების აღმზრდელითი შემოქმედების გაძლიერების თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შესაბამისად. ბევრი საქმე, რომლებსაც დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი აქვთ, არ განხილება კანონით დადგენილ ვადებში, გასვლით სხდომებზე, გამოტანილ განაჩენებს კი დროულად არ აცნობენ შრომით კოლექტივებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. ეს ხელს არ უწყობს სასამართლო ორგანოების ავტორიტეტის ამაღლებას, დამაჭრებლობას უკარგავს დადგენილ განაჩენებს და, საერთოდ აქვეითებს მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხს.

ყოველი საქმის წარმატებით გადაწყვეტა დამოკიდებულია კადრებზე, ადამიანებზე. ფაქტები მოწმობს, რომ სამართალდაცვით ორგანოებში კვლავ საქმარისად არ მუშაობენ კადრების შერჩევისათვის, განაწილებისა და აღზრდისათვის. ამის გამო ზოგჯერ ამ ორგანოებში ვსვდებით არაკომპეტენტურ და ბინძურ ადამიანებს, რომელთა ზნეობრივ-მორალური მხარე ძალზე საუკეთესოა. აუცილებელია ღრმად და ყურადღებით შევისწავლოთ კადრები, მათი საქმიანი და ეთიკურ-მორალური თვისებები, ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ სამართალდაცვით ორგანოებში მუშაობდნენ ყველაზე პატიოსანი, კრისტალური პიროვნებები, პროფესიულად კარგად მომზადებული იურისტები. ამისათვის უნდა გამოვიყენოთ უკვე ნაკადი ფორმები და მეთოდები, გახედულად დავინერგოთ სახელმწიფო, გავითავსოთ საზოგადოებრივი აზრიც,



ატესტაციისა და პარტიული დახასიათებების პრაქტიკაც, იდეოლოგიურ-აღმწერდლობითი სა-  
შუალებებიც. საკადრო პოლიტიკის სწორად გადაწყვეტა საქმის წარმატების წანამძღვარია, ამი-  
ტომ მას მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს.

ჩვენ უკვე მივეჩვიეთ, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ნებისმიერი ფორუმი  
თავის ყურადღებას ყოველთვის ამახვილებს ნაკლოვანებებზე, გადაუჭრელ პრობლემებზე. ყველა  
გამოსვლაში იგრძნობა მიღწეული შედეგებისადმი უკმარისობის გრძნობა, სურვილი — კიდევ  
უფრო დაძაბულად და ენერგიულად იბრძოლონ, განაზოციელონ ღონისძიებანი მდგომარე-  
ობის ძირფესვიანი გაუმჯობესებისათვის. და ეს სავსებით ბუნებრივია. ასეთი მიდგომა ნაქარ-  
ნანგვია სურვილით, მივადწიოთ მეტს, უკეთესს, უფრო საგრძნობ წარმატებებს. ამ სულისკვე-  
თებით მუშაობს დღეს რესპუბლიკის სამართალდაცვითს ორგანოებში ათასობით შესანიშნავი  
მუშაკი, რომლებიც თავდადებით და ჩინებული შრომით ღირსეულად ასრულებენ თავიანთ  
პარტიულ და მოქალაქეობრივ მოვალეობას.

საქართველოს პარტიული აქტივის კრებამ რწმენა გამოთქვა და მოუწოდა რესპუბლიკის  
სამართალდაცვითი ორგანოების ყველა მუშაკს მთელი თავიანთი ძალისხმევა მოახმარონ მართ-  
ლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცებას, მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ თავიანთი  
პროფესიული მოვალეობის შესრულებას, სრულყოფნა მუშაობის სტილი და მეთოდები, შექმნან  
ისეთი ატმოსფერო, რომლის დროსაც წახალისებული იქნებიან კეთილსინდისიერი, ინიციატივი-  
ანი საქმის ერთგული ადაშიანები.

ეჭვი არ არის, რომ რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოები აღმოჩნდებიან ამ მო-  
წოდების სიმადლეზე, უზრუნველყოფენ იმ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას, რომლებიც  
მათ წინაშე დგას საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე







# საბჭოთა დემოკრატიის გეგმა

1985 წლის 24 თებერვალს გაიმართა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, აჭარის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების, აგრეთვე სახალხო დემუტატთა საოლქო, საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების დემუტატთა არჩევნები. არჩევნებმა კიდევ ერთხელ ცხადყო რესპუბლიკის მშრომელების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, მათი მონოლითური შეკავშირება მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობდა რესპუბლიკის მოსახლეობის ღიდი შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის, მეთერთმეტე ხუთწლიდის საგეგმო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის, სკკ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ვითარებაში.

არჩევნების დროს მკაფიოდ გამოვლინდა საბჭოთა წყობილების და საზოგადოებრივი სისტემის უშრტი ცნოველმყოფელი ძალა, აგრეთვე სოციალისტური დემოკრატიის ძირეული უპირატესობანი, რომლებიც პრაქტიკულად უზრუნველყოფს ჭეშმარიტ სახალხო ხელისუფლებას, ყველა მშრომელის მონაწილეობას სახელმწიფოს და საზოგადოების საქმეთა მართვაში.

საოლქო საარჩევნო კომისიების მონაცემებით, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა სიებში შეტანილ პირთა 99,99 პროცენტმა, რომელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხმა მისცა დასახელებულ დემუტატებს, კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის ღირსეულ წარმომადგენლებს. სულ არჩეულია თითქმის 52.000 დემუტატი, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის ყველაზე საუკეთესო ნაწილი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დემუტატთა შემადგენლობის 61,8 პროცენტი, ხოლო ადგილობრივი საბჭოების 57 პროცენტი განახლდა.

არჩევნების შედეგებმა დამაჯერებლად დაადასტურა, რომ რესპუბლიკის მშრომელები მთლიანად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მან ცხადყო, რომ საბჭოთა ადამიანებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყველაფერი იღონონ ჩვენი სამშობლოს აყვავებისათვის, მიადწიონ ახალ წარმატებებს კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

სოციალიზმი თავის უპირატესობებს დემოკრატიის მეშვეობით ავლენს. ბურჟუაზიული დემოკრატიისაგან განსხვავებით, რომელიც ღრმა კრიზისს განიცდის, სოციალისტური დემოკრატია არის ნამდვილი, მოქმედი, მომუშავე დემოკრატია, რომელიც თითოეულ მოქალაქეს აღჭურავს დიდი უფლებებით და ავადლებულებს აქტიურად გამოავლინოს თავი როგორც ქვეყნის ნამდვილმა ბატონ-პატრონმა. უდემოკრატიოდ წარმოუდგენელია სოციალიზმი და, პირიქით, უსოციალიზმიოდ შეუძლებელია სრული, ნამდვილი დემოკრატიის განხორციელება. თანამედროვე ეტაპზე, განვითარებული სოციალიზმის პირობებში სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავება და სრულყოფა სრულიად კანონზომიერი პროცესია.

ბურჟუაზიული დემოკრატიისაგან განსხვავებით, რომლის პირობებშიც მოსახლეობის უმრავლესობისათვის სოციალურ უფლებებს და თავისუფლებებს ფორმალური ხასიათი აქვთ, სოციალისტური დემოკრატია, რომელსაც საფუძვლად უდევს საწარმოო საშუალებების საზოგადოებრივი საკუთრება, რეალურად უზრუნველყოფს ყველა მშრომელისათვის ფართო სოციალურ-პოლიტიკურ უფლებებს, პიროვნების ნამდვილ თავისუფლებას. ეს უფლებები და თავისუფლებანი გარანტირებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით და საბჭოთა სახელმწიფოს მიერ.



სოციალისტური დემოკრატიის ღირებულებათა სისტემაში წამყვანი ადგილი სოციალურ სამართლიანობას უჭირავს. საბჭოთა საზოგადოების თითოეული წევრი თანაბრად სარგებლობს სოციალიზმის ყველა სიკეთით: შრომის, დასვენების, პინის, სოციალური უზრუნველყოფის, უფასო სამედიცინო მომსახურების, განათლების და სხვა უფლებებით.

თვით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია წარმოადგენდა უდიდეს დემოკრატიულ აქტს. მხოლოდ რევოლუციისა და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ შეიძინა დემოკრატია მამდვილი აზრი და რეალური მნიშვნელობა, ვინაიდან სახელმწიფოს მართვა ნამდვილად გადავიდა მშრომელების ხელში. სოციალისტურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა მასების პოლიტიკური აქტივობის ზრდას. უკვე მაშინვე აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, რომ „ნამდვილი და არა ქალაქზე არსებული დემოკრატიისათვის, მუშებისა და გლეხების მოსაზიდად ჩვენ იმდენი გავაკეთეთ, რამდენიც ასეული წლების განმავლობაში არ გაუკეთებიათ და არც შეეძლოთ გაკეთებინათ ყველაზე უკეთეს დემოკრატიულ რესპუბლიკებს“<sup>1</sup>.

დღეს განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე დემოკრატიის განვითარების შესაძლებლობანი არანაყოფიერ იზრდება. ეს იმით აიხსნება, რომ ამჟამად უკეთ არის შემუშავებული დემოკრატიული ინსტიტუტების, სამართლებრივი ნორმებისა და კანონმდებლობის სისტემა, რომელიც სტიმულს აძლევს მასების ინიციატივასა და სოციალურ შემოქმედებას, იცავს და უფრო ხელსაძლევს მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს.

ამაო სოციალიზმის მტრების ყველა ცდა დღესაც საბჭოთა პოლიტიკურ სისტემას, დაუბირისპირონ მას ბურჟუაზიული დემოკრატიის პლურალიზმი. ბურჟუაზიული დემოკრატია არაოდეს, ჩანასახშივე არ ყოფილა თანამიმდევრული და სრული. თვითონ ბურჟუაზიის დამოკიდებულება დემოკრატიისადმი ყოველთვის იყო ორჭოფული და წინააღმდეგობრივი. იგი მუდამ ემსახურებოდა თავის კლასობრივ ეგოიზმს. გამოხატავდა თავის ინტერესებს. იმპერიალიზმის ეპოქაში, რეაქციისაკენ შემობრუნების ხანაში ბურჟუაზიის ლაშქრობა დემოკრატიის წინააღმდეგ კიდევ უფრო აშკარა ხდება. ამან გამოიწვია მშრომელთა უფლებებისა და თავისუფლებების შეკვეცა, ტრადიციული დემოკრატიული ინსტიტუტების გამოფიტვა მათი ფიქციამდე დაყვანა.


საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი ამჟამად განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური სისტემის საფუძველს — სახალხო დემოკრატია საბჭოებს. პარტია განუხრელად ხელმძღვანელობს ვ. ი. ლენინის იმ დებულებით, რომ საბჭოთა ხელისუფლება — ეს არის „ყველასათვის აშკარა ხელისუფლება, რომელიც ყველაფერს მასის თვალწინ აკეთებს, მასისათვის ხელმისაწვდომია, უშუალოდ მასიდან არის გამოსული, ხალხის მასისა და მისი ნების პირდაპირი და უშუალო ორგანო“<sup>2</sup>.

ცხოვრება თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ რაც უფრო სრულად გამოხატავენ სახალხო დემოკრატია საბჭოები მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის ინტერესებს, მით უფრო აქტიურად ებმებიან მასები საზოგადოებისა და სახელმწიფოს საქმეთა უშუალო მართვის პროცესში. ეს უნდა გაითვალისწინოს საბჭოების ყველა ორგანომ, ახლად არჩეულმა დემოკრატებმა და თავიანთი საქმიანობით ხელი შეუწყონ მასების შემოქმედებითი ინიციატივის გაშლას, განუხრელად დაცვან საქარობა, დემოკრატიული ნორმები, შექმნიან ისეთი ატმოსფერო, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოების მუშაობაში სულ უფრო მეტი მშრომელის ჩაბმას.

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 205.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 10, გვ. 287.





# ახალი მიმართულება თანამედროვე გურჯუასიულ კრიტიკოლოგიაში—დამნაშავეობისადმი სოსიალური რეაქცია\*

ა. მელნიკოვა

## 1. „ახალი“ კაპიტალიზმი და დამნაშავეობა

თანამედროვე ვითარებაში, როდესაც ღრმავდება კაპიტალიზმის საერთო კრიზისი, ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში სულ უფრო და უფრო უარესდება დამნაშავეობის სურათი. ყურადღებას უპირველესად იპყრობს მისი მეტად ცუდი სტატისტიკური მაჩვენებლები. კაპიტალისტურ საზოგადოებაში აშუამად მატულობს დამნაშავეობის საერთო რიცხვიც, დონეც და სვედრიით წილიც, იცვლება სტრუქტურაც მძიმე დანაშაულის წილის, აგრეთვე ქალთა და „თეთრსაყელიანთა“ დამნაშავეობის ზრდის ხარჯზე. გარდა ამისა, ფართოდება ეკონომიკური და ორგანიზებული დამნაშავეობის სფეროც. ბოლო წლებში მატულობს დანაშაულის ახალი სახეობანი (მაგალითად, საერთაშორისო ტერორიზმი). ამას უნდა დაევშაბოთ აგრეთვე დამნაშავეობა მოზარდთა და ახალგაზრდთა შორის. ამ კონტინგენტში დამნაშავეობის სურათი ყველა მაჩვენებლის მიხედვით გაცილებით უარესია, ვიდრე მთლიანად მოზარდულ მოსახლეობაში.

კაპიტალისტურ საზოგადოებას დამნაშავეობა შეიწინააღმდეგებდა ღრმად. იგი თავის ორბიტაში იქცევის სულ უფრო ფართო ფენებს, ზოგიერთ სფეროში კი გადაქცეულია თავისებურ ანტისოციალურ მექანიზმად, რომლის დროსაც ძნელია ერთმანეთისაგან გამიჯნო სახელმწიფოს სასარგებლო და მავნე აქცია, ადამიანების მართლწამიერი და მართლსაწინააღმდეგო საქციელი.

კაპიტალისტურ ქვეყნებში დამნაშავეობა გამოხატავს მის ეკონომიკასა და საზოგადოებრივ ფსიქოლოგიაში მიმდინარე კრიზისულ მოვლენებს, რომლებიც იწვევენ დამნაშავეობის მატებასა და სტრუქტურის გაუარესებას. ამას მოწმობს დამნაშავეობის არსებული ზრდა მეოცე საუკუნის დასაწყისში, როდესაც კაპიტალიზმი შევიდა თავისი განვითარების იმპერიალისტურ სტადიაში. კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გარდა იმისა, რომ გაიზარდა დამნაშავეობის რაოდენობა, წარმოიშვა ახალი, მანამდე უცნობი ფორმები დანაშაულისა „თეთრსაყელიანთა“ და ორგანიზებული დანაშაულობის სახით. კაპიტალიზმის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, რომელსაც აქვს ფინანსიური კრიზისის ნიშნები, როდესაც სწრაფი ტემპით მატულობს უმუშევრობა, წარმოიშვა ახალი ეკონომიკური დანაშაულობანი, გაიზარდა ე. წ. „უმოტივო“ დანაშაულობანი.

ამ გარემოებებმა კაპიტალისტური სახელმწიფოებისაგან ობიექტურად მოითხოვა მოეხდინა „საპასუხო რეაქცია“ დამნაშავეობის წინააღმდეგ, რომელსაც თვითონვე წარმოშობს.

ცნობილია, რომ მარქსიზმის თეორია დამნაშავეობასთან ბრძოლაში სასჯელის ფუნქციას აფასებს სწორედ ამ პოზიციით, როგორც დამნაშავეობისადმი საპასუხო რეაქციას. გავიხსენოთ, რომ კ. მარქსმა სასჯელის არსი განსაზღვრა როგორც „საზოგადოების თავის დაცვა იმ პირობების შეცვლის წინააღმდეგ, რომლებიც მის არსებობას ემუქრება“<sup>1</sup>.

თანამედროვე კაპიტალიზმისათვის ძალზე ტიპურია დამნაშავეობისადმი სახელმწიფოსა და მთელი საზოგადოების „საპასუხო რეაქციის“ გაძლიერება. სხვა მოვლენებთან ერთად ამ პროცესს ის განსაზღვრავს, რომ „დამნაშავეობამ მიაღწია „კრიზისულ ზღვარს“, როდესაც იგი რეალურ საშიშროებას უქმნის თვით კაპიტალისტური საზოგადოების ყოფნა-არყოფნას. სწორედ ამ საშიშროების დონემ, მისმა რეალურმა ხასიათმა გამოიწვია დამნაშავეობისადმი „საპასუხო რეაქციის“ საშუალებათა მთელი არსენალის შექმნა. დამნაშავეობის პრევენციის თანამედროვე ფორმების, საშუალებებისა და მეთოდების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ასეთი „კრიზისული ზღვარის“ პირობებში კაპიტალიზმი, როგორც სისტემა, თავისი გადარჩენისათვის მიმართავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება კიდევ არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ მექანიზმს, რაც გულისხმობს მონოპოლიების ზემოკლების მიღების უზრუნველყოფას. ცვლილებები, რომლებიც შეტანილია ეროვნულ კანონმდებლობაში, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკაში და ბოლოს, ამ დარგში მეცნიერული კვლევის ტენდენციები, რომლე-

\* დაწერილია ჩვენი ჟურნალისათვის. სტატია განეკუთვნება კონტრპროპაგანდისტული მასალების სერიას, რომელიც ბოლო ხანს ხშირად იბეჭდება „საბჭოთა სამართალში“.

<sup>1</sup> Jean Pinat. Le Mouvement des faits, des idées et de la réaction sociale en criminologie. Paris, 1978, p. 25.



ბიც დამახასიათებელია უმთავრესი კაპიტალისტური ქვეყნებისათვის, მოწმობს, რომ მართლაც ბევრი მნიშვნელოვანი სიახლე განხორციელდა. როგორც საერთო ტენდენცია, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მოხდა მართლმსაჯულების „სოციალური დატვირთვა“, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად შეიქმნა მრავალრიცხოვანი არასამართლებრივი სოციალური ინსტიტუტები. ბოლო ხანს მკვეთრად გაიზარდა ინტეგრირების სამართალდაცვითი ორგანოების მოღვაწეობის ეფექტიანობისადმი. ყოველივე ეს წარმოადგენს დამნაშავეობისადმი კაპიტალიზმის „სამასუხო რეაქციის“ ახალ სახეობებს.

ამასთან ერთად უნდა აღვნიშნოთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოს მილიტარისტული პოლიტიკა, სამხედრო ხარჯების არანახული ზრდა და სოციალური პროგრამების შეკვეცა იწვევს მოსახლეობის გაღატაკებას. ამის გამო ბურჟუაზიული სახელმწიფოების სოციალურ-პრევენციული საქმიანობა არარაობამდე დაევიანო და კაპიტალისტური ქვეყნების იუსტიციის კვლევა იღებს ორიენტაციას სახელმწიფო აპარატის დასჯით ძალაზე. ხოლო ბურჟუაზიული კრიმინოლოგია იწყებს მისი ეფექტიანობის კვლევას, იურიდიული პლანის პრევენციული კონცეფციის შემუშავებას.

## 2. ბურჟუაზიული კრიმინოლოგია; დამნაშავეობასთან ბრძოლის ახალი კონცეფციები.

ბურჟუაზიული კრიმინოლოგია, რომელიც ისტორიულად ყოველთვის მოწყვეტილი იყო დამნაშავეობასთან ბრძოლის პრაქტიკას, ახლა სულ უფრო იწყებს გადასვლას „პრაქტიკულ რელსებზე“ და ვითარდება ძირითადად ე. წ. „პრაქტიკული“ კრიმინოლოგიის და სოციალურ-პრევენციულის მიმართულებით. ამავე ტენდენციების განვითარებას წარმოადგენს ახალი პრევენციული მიმართულება, რომელსაც „დამნაშავეობისადმი სოციალური რეაქცია“ უწოდებენ.

ამ მიმართულებამ თეორიული აღიარება პოვა ლისაბონის კრიმინოლოგთა VIII საერთაშორისო კონგრესზე (1978 წ.), რომელზეც საერთაშორისო კრიმინოლოგთა საზოგადოების მამუნიდელმა პრეზიდენტმა, ცნობილმა ფრანკმა კრიმინოლოგმა უან პინატელმა გააკეთა მოხსენება „კრიმინოლოგიაში ფაქტების, იდეების და სოციალური რეაქციის (მოდრაობის) შესახებ“. ფაქტებს იგი მიაკუთვნებს დამნაშავეობას, იდეებს — კრიმინოლოგიურ აზრს დამნაშავეობის შესახებ, ხოლო „სოციალურ რეაქციას“ — მთელ შექანიზმს, რომელსაც თანამედროვე საზოგადოება დამნაშავეობასთან საბრძოლველად ქმნის.

უ. პინატელმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ ბოლო წლებში დამნაშავეობისადმი სოციალური რეაქციის პრობლემა უკვე არაერთხელ მიიპყრო დასავლეთის კრიმინოლოგთა ყურადღება. მან ამასთან დაკავშირებით გაიხსენა ამერიკელი კრიმინოლოგის პ. ლიდჯონსის მოხსენება „ამერიკის შეერთებული შტატების სისხლის სამართლებრივი იუსტიცია“, რომლითაც იგი გამოვიდა გაერთიანებულბის კონგრესის ორგანიზაციის ეგიდით გამართულ დამნაშავეობის თავიდან აცილებისათვის მიძღვნილ მეხუთე კონგრესზე. ეგიდით გამოკვლევა შესრულდა „დამნაშავეობის შემსწავლელი ეროვნული საბჭოს“ მიერ. ამას გარდა უ. პინატელი დაეყრდნო მთელ რიგ მნიშვნელოვან ნაშრომებს, ამ დარგში, კერძოდ ნოზერიკოს და დენის საბოს წიგნებს „დამნაშავეობა და იუსტიცია ლათინურ, ამერიკაში“<sup>2</sup>, კრიმინოლოგია და სისხლის-სამართლებრივი პოლიტიკა“<sup>3</sup>, აგრეთვე თავის საკუთარ გამოკვლევებს, რომლებშიც, მისი აზრით, ასახულია დამნაშავეობისადმი სოციალური რეაქციის თანამედროვე მდგომარეობა.<sup>4</sup>

საერთაშორისო კრიმინოლოგთა VIII კონგრესის ყველა სექცია ამა თუ იმ სახით გამოეხსენა ახალ მიმართულებას. კონგრესის მონაწილენი აღნიშნავენ, რომ „სოციალური რეაქციის“ მთელი რიგი ნიშნები მოწმობს მის უნივერსალობას, სისტემატურობას და ა. შ.

მაგრამ ბურჟუაზიული კრიმინოლოგიის ამ მიმართულების გაფორმებას ლისაბონის კონგრესზე გამართულ პაქტობას რომ ვუკავშირებთ, ჩვენ არ ვიციწყებთ, რომ ბურჟუაზიულ კრიმინოლოგიაში „სოციალური რეაქციის“ კონცეფცია დიდი ხნის მანძილზე მუშავდებოდა, ბევრი კონცეფცია, რომლებიც დამოუკიდებლად ყალიბდებოდა, ახლა „სოციალურ რეაქციაში“ შეიტანეს. შეიძლება მოვიგონოთ, რომ დამნაშავეობის სოციალური შედეგების პრობლემაზე უშუალოდღებ ჩიკაგოს კრიმინოლოგთა სკოლის წარმომადგენლები ამერიკელი ბ. შოლ და კ. მაკევი, ხოლო ერთ-ერთი კონცეფცია დამნაშავეთა „სტიგმატიზაცია“ მართლმსაჯულებისა და საზოგადოების მხრივ თავის დროზე შეისწავლებოდა კემბრიჯში<sup>5</sup> და იხილებოდა საერთაშორისო კრიმინოლოგთა VII კონგრესზე ბელგრადში (1973 წ.)<sup>6</sup> აღვნიშნავთ აგრეთვე, რომ „სოციალურ რეაქციას“ ისტორიულ-მეთოდოლოგიური ფესვები აქვს თეორიაში „საზოგადო-

<sup>2</sup> Jose Rico. Crimen y justicia en America Latina. Mexico, 1977.

<sup>3</sup> Denis Szabo. Criminologie et politique criminelle, Paris, 1978.

<sup>4</sup> J. Pinatel. Problème de la Criminologie en. Panorama Mondial. Paris, 1976.

<sup>5</sup> Congrès international le Criminologie. Section «Administration de la Justice» Section «Préventoin de la délinquance» Lisbonne, 1978.

<sup>6</sup> Who becomes delinquent? Second report of the Cambridge study in delinquent development. By D. I. West in collaboration D. P. Farrington, London, 1973.

<sup>7</sup> იხ. М. Милутинович. Основные тенденции в современной криминологии, генеральный доклад на VI Международном конгрессе по криминологии, Белград, 17—22 октября 1973 г.





ების სოციალური დაცვა დამანაშავეობისაგან“, რომელიც წამოაყენეს ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის „სოციალოგიური სკოლის წარმომადგენლებმა“.

**გ. დამანაშავეობისადმი სოციალური რეაქცია თანამედროვე ბურჟუაზიული კრიმინოლოგიის დამოუკიდებელი მიმართულება.**

„დამანაშავეობისადმი სოციალური რეაქცია“ თანამედროვე პირობებში მართებულად არის მიჩნეული ახალ მიმართულებად ბურჟუაზიულ კრიმინოლოგიაში. თავისი წინამორბედებისაგან მას განასხვავებს შემდეგი ახალი სპეციფიკური ნიშნები:

წინანდელი თეორიებისაგან განსხვავებით გულისხმობს თვით ამ „რეაქციის“ მონაწილეთა შორის მრავალფეროვან და საკმაოდ რთულ კავშირს.

მის ამოცანას შეადგენს სოციალური რეაგირების (მოწინააღმდეგე ურთიერთმოქმედების პროცესის კვლევა, რომლის თეორიული შესწავლა წინათ არ იყო გათვალისწინებული;

აცხადებს პრეტენზიას, რომ „დამანაშავეობის პრობლემას წყვეტს ღარგათაშორისო პრინციპების გამოყენებით, სამართლებრივი და სოციალური თვალსაზრისით.

ბურჟუაზიული კრიმინოლოგია შემოაბრუნა კაპიტალისტური სახელმწიფოს სამართლებრივი ორგანოების აპარატის საქმიანობის შესწავლისაკენ, მისი მექანიზმის მოქმედების შეფასებისა და ზადის გამოვლენისაკენ.

სავსებით ნათელია, რომ თანამედროვე ვითარებაში ტრადიციული ბურჟუაზიული კრიმინოლოგია, რომელიც ასი წლის წინათ შეიქმნა, მოძველდა და ვეღარ ასრულებს თავის დანიშნულებას. იმსხვრევა ძველი ბურჟუაზიული თეორიები და მათ ნაგერეგებზე აღმოცენდება უამრავი ახალი.

ზემოთ ითქვა, რომ ბოროტმოქმედებათა ზრდამ კაპიტალისტურ საზოგადოებაში დამანაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის „წინა ხაზზე“ დააყენა „სოციალური რეაქცია“. მართლაც, ამჟამად საკმაოდ ცხადია, რომ ტრადიციულ ბურჟუაზიულ კრიმინოლოგიას, რომელიც ას წელზე მეტი ხნის წინათ, ჯერ კიდევ ჩეხარე ლომბროზოს დროს ჩამოყალიბდა, „იმსხვრევს“ დამანაშავეობა. იმსხვრევა ძველი ბურჟუაზიული თეორიები, მათ აღვიღას იქმნება უამრავი ახალი თეორია. დამანაშავეობასთან ბურჟუაზიული კრიმინოლოგიის ამ შეტაკებათა გენეტიკური მექანიზმი ღრმად, რომელსაც მეტწილად ვერ აანალიზებენ ბურჟუაზიული კრიმინოლოგები. მაგრამ აი, ბურჟუაზიული სახელმწიფოს სამართალდაცვითი აპარატის მუშაობის არაეფექტიანობა ყურადღებას იპყრობს უწინარესად, როცა დამანაშავეობის საქმე კარგად ვერ არის. და სწორედ ამიტომ ბურჟუაზიული კრიმინოლოგიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მისმა წარმომადგენლებმა შესაძლოა პირველად მიაქციეს ესოდენ სერიოზული ყურადღება დამანაშავეობის პრობლემის ამ მხარეს. და სწორედ ამ თვალსაზრისით შეიძლება, უწინარეს ყოვლისა, შეფასდეს „დამანაშავეობაზე სოციალური რეაქცია“, როგორც ახალი მიმართულება თანამედროვე ბურჟუაზიულ კრიმინოლოგიაში. კრიმინოლოგიურმა რადიკალიზმმა შეადგინა დამანაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკაშიც, რაც წინათ არ ხსენებულა ამ მეცნიერებას და ბურჟუაზიული სისხლის სამართლის იუსტიციას. საგანგებოდ შეიძლება აღინიშნოს, რომ „სოციალური რეაქცია“ წარმოიშვა იმ მოთხოვნის საფუძველზე, რომ დამანაშავეობა და მასთან ბრძოლის საშუალებები უფრო მრავალმხრივად — სისხლისსამართლებრივად და სფერულად — შეისწავლონ.

როგორც ბურჟუაზიული კრიმინოლოგიის მიმართულება, „დამანაშავეობაზე სოციალური რეაქცია“ უადრესად მრავალფეროვანია. იგი შეიცავს: დამანაშავეობის „ფასის“, უფრო ფართო პლანით დამანაშავეობის სოციალური შედეგების შესწავლას; იმ სამართალდაცვითი აპარატისა და სოციალური სამსახურების ფუნქციონირების შესწავლას, რომლებიც ახორციელებენ პრევენციულ ფუნქციებს დამანაშავეობის მიმართ; ამ ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების შესწავლას.

სხვათა შორის, განხილული მიმართულება გამოირჩევა არა მარტო ფართო შინაარსით, არამედ კონცეფციების, მიდგომის, მეცნიერული კვლევის სფეროების გამოხატული ეკლექტიკურობით. ეს, ცხადია, უკვე თვით პრობლემების მოყვანილი ნუსხიდანაც, რომლებსაც სწავლობენ „სოციალური რეაქციის“ ფარგლებში.

**4. ახალი კონცეფციის შინაარსი.**

„დამანაშავეობაზე სოციალური რეაქციაში“ შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ორი ძირითადი ასპექტი:

1) რეპრინამდ დამანაშავეობის გარეგნულ გამოვლენებზე (მის სტატისტიკურ დახასიათებაზე, იმ პირობების შეცვლაზე, რომლებმაც ხელი შეუწყო დამანაშავეობის განვითარებას) — სახელმწიფოს და საზოგადოების მხრივ (ე. ი. სამართალდაცვითი აპარატის, საზოგადოების სოციალური ფენების მხრივ).

**2) სოციალური რეაქციის რეაგირება:**

ა. მთელი საზოგადოების რეაგირება (და არა მარტო სახელმწიფოს სამართალდაცვითი მექანიზმისა) დამანაშავეობაზე;

ბ. რეაგირება არასამართლებრივი (სოციალური) საშუალებებისა და მეთოდების დახმარებით.

<sup>8</sup> იხ. А. Принс. Защита общества и преобразования уголовного права, М., 1912, Его же: Преступность и репрессия. Уголовно-юридический очерк, М., 1898.



სოციალური რეაქციის პირველი ასპექტი შეიცავს სამართალდაცვითი აპარატის (პოლიციის, პროკურატურის, სასამართლოების, პენიტენციარული დაწესებულებების) რგოლების საქმიანობის შესწავლას. მეორე ასპექტია დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალურ-პრევენციული ღონისძიებების გამოკვლევა და შემუშავება.

„სოციალური რეაქციის“ შემდგომი დიფერენციაცია იმდევე სფეროებს და ღონეებს.

სფეროები რეაქციისა:

- დამნაშავეობაზე;
- დანაშაულობებზე (დანაშაულობათა სახეობანი);
- დამნაშავეზე (დელინკენტი, დევიანტი);
- ღონეები რეაქციისა;
- საზოგადოების;
- სოციალური კლასების;
- მცირე ჯგუფების;
- დამნაშავეის („უკუკავშირის“ ფარგლებში).

დამახასიათებელია ეს უკანასკნელი ღონე. აქ კონცენტრირებულია სოციალურ-სამართლებრივი საშუალებებისა და მეთოდების საშუალებით პრევენციაზე და მის ლიკვიდაციაზე არასამართლებრივი ორიენტაციის ძირითადი კონცეფციები, სადაც, ერთი მხრივ, თვით დანაშაული განხილულია როგორც დამნაშავეობასთან ბრძოლის სუბიექტი, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოება შეფასებულია როგორც ამ დამნაშავეობის გენერატორი.

6. ახალი კონცეფციის ბინეტიკური ბუნება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „დამნაშავეობაზე სოციალური რეაქცია“ უმთავრესად პრევენციული მიმართულებაა, რომელიც არ აქენებს სპეციალურად დამნაშავეობის მიზეზობრივი მექანიზმის ახსნის ამოცანას. თუკი ამ დარგში წარმოებს კვლევა, ეს მხოლოდ იმ შთავარდობის რეალიზაციისათვის ხდება, რომ შეფასდეს რეაქცია დამნაშავეობაზე. შესაბამისად, „სოციალური რეაქციის“ უფრო, ვიდრე თანამედროვე ბურჟუაზიული კრიმინოლოგიის სხვა მიმართულებებს, ახასიათებს პრაგმატიზმი და ორიენტაცია უკვე დამნაშავეობის თავიდან აცილებაში მისი გამოყენებისაგან მიღებულ პრაქტიკულ შედეგებზე.

რადგან „სოციალური რეაქცია“ პრევენციული მიმართულებაა, მისი ისტორიული ფესვები უნდა ვეძებოთ ბურჟუაზიული სისხლის სამართლის „სოციალოგიური“ სკოლის მიერ შემოთავაზებულ კონცეფციებში. ამავე დროს, „სოციალური რეაქციის“ ისტორიულ-მეთოდოლოგიურ ბაზასაც აქვს თავისი სპეციფიკა. საქმე ის არის, რომ „სოციალური დაცვა“ იმ სახით, როგორცაც იგი წამოაყენეს „სოციალოგიური“ სკოლის იდეოლოგებმა, ემყარებოდა დამნაშავეზე საზოგადოების რეაქციას, და არა ქმედობას, ამიტომაც ამ დოქტრინამ საშუალება მისცა ბურჟუაზიის მასზე დაყრდნობით ადვილად გამოსულიყო კანონიერების რეჟიმის ფარგლებიდან, „გერვაგენიბი“ დანაშაულის სამართლებრივი შინაარსი კანონის დამრღვევი ადამიანის „საშიშო“ პიროვნებაზე წყობქმედების არასამართლებრივი ფორმებსა და მეთოდებში.

„დამნაშავეობაზე სოციალური რეაქციის“ მიდგომა რამდენაღმე სხვანაირია. მის მეთოდოლოგიურ ბაზაში არის ელემენტები, რომლებიც განსხვავდება იმ ელემენტებისაგან, რომლებიც მიიღეს „სოციალური დაცვის მოძრაობის“ შემარცხენი“ მიმართულების მომხრეებმა (ფ. გრამატკა), შემდეგ კი აქციეს დამნაშავეობის სოციალური პრევენციის ექსტრემისტულ ვარიანტებად (სხვადასხვაგვარი არაიურიდიული, ახალგაზრდობის საინფორმაციო ცენტრების ტიპის, „ლია ზონების“ და ა. შ. შექმნა).


„დამნაშავეობაზე სოციალური რეაქცია“ სწავლობს, უპირველესად, დამნაშავეობაზე სახელმწიფოს სამართალდაცვითი აპარატის რეაგირების მექანიზმს. ამასთან დაკავშირებით იგი თეორიულად არათუ არ უარყოფს ძირითად სისხლისსამართლებრივ ცნებებს, არამედ ეყრდნობა მათ. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ამ ახალი მიმართულების თეორიული ბაზაა „ახალი სოციალური დაცვის მოძრაობის“ იურიდიული შტო, რომელსაც სათავეში უდგას შ. ანსელნი.

დამახასიათებელია, რომ აფასებს რა მსოფლიოში სისხლის სამართლის კანონმდებლობის თანამედროვე მდგომარეობას (სისხლის სამართლის რეფორმის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით) საფრანგეთის აკადემიკოსმა შ. ანსელმა თავის შესავალ მოხსენებაში ოთხი საერთაშორისო ორგანიზაციის (სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის, სოციალური დაცვის საერთაშორისო საზოგადოების, კრიმინოლოგთა საერთაშორისო საზოგადოებისა და საერთაშორისო პენიტენციური ფონდის) საერთაშორისო კოლეჯიუმში ხაზგასმით აღნიშნა, თუ რადიი მნიშვნელობა აქვს „სოციალური რეაქციის“ მიხედვისათვის იმას, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობა შეუსაბამოა XX საუკუნის მოთხოვნებს. მან თქვა, რომ სისხლის სამართალი — ეს არის დასჯის სამართალი და ამ თვალსაზრისით იგი არ არის დამნაშავეობაზე რეაქციის არც ერთადერთი, არც საუკეთესო საშუალება, და რომ დელინკენტურობის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებლად უნდა გამოვილიდეს დეკრიმინალიზაციასა და დემენალიზაციაში, თავიბრუნდეს ადვოკატის ალტერნატიული ღონისძიებების კვლევაში. ამას მოჰყვება, მისი აზრით, სოციალურ ბაზაზე მთელი სისხლის სამართლის იუსტიციის ტრანსფორმაცია<sup>9</sup>.

<sup>9</sup> Марк Ансель. Новая социальная защита (гуманистическое движение в уголовной политике), М., Прогресс, 1970.

<sup>10</sup> M. Ancel; Observations sur la philosophie moderne de la justice criminelle, Paris, 1980, p. 3.





რა თქმა უნდა, თანამედროვე „დამნაშავეობაზე სოციალური რეაქციის“ შინაარსში არის ბევრი დამანასიათებელი თავისებურება, რომლებიც განსხვავდება „საშოში მდგომარეობისაგან საზოგადოების დაცვის“ კონცეფციებისაგან და „ახალი სოციალური დაცვისაგან“, კერძოდ, მისმა შექმნელმა შემოიღეს „დაუცველობის“ ცნება, რომელიც შობს „სოციალური რეაქციის“ „სოციალური დაცვის“ პოლიტიკური ფილოსოფია, — აღნიშნავს უან პინატელი შემოთ ნახსენებ შესავალ მოხსენებაში კრიმინოლოგთა VIII საერთაშორისო კონგრესზე, — წარმოიშობა დაუცველობის ნიადაგზე (სიტყვასიტყვით — არასაშიშროების insécurité - ე. შ).

რასაკვირველია, თანამედროვე ბურჟუაზიული კრიმინოლოგი უკვე ვეღარ ილაპარაკებს დამნაშავეობისაგან საზოგადოების ბირდაბირ დაცვაზე, თუ არ აღნიშნავს მის განვითარებასთან დაკავშირებულ სოციალურ მექანიზმებს, თუ არ ახსენებს ბურჟუაზიული სახელმწიფოს მექანიზმის ცნობილ „მარაოვიციერებელ“ როლს, როცა იგი ახორციელებს დამნაშავეობისაგან ამ თავის „დაბრუნებას“ ფუნქციას. მეცნობი, უ. პინატელი, დაცვაზე რომ ლაპარაკობს, შემდეგ ავითარებს, თავის აზრს იმ მიმართულებით, რომელიც განსხვავდება იმისაგან, რასაც თავის დროზე ამბობდნენ მასზე მისი ისტორიული წინამორბედები. უ. პინატელმა, კერძოდ, აღნიშნა შემდეგი: „უფრენოთ, რომ არასაშიშროების მთავარი მიზეზია დამნაშავეობა, და არა სოციალური ფაქტორები, რომლებიც „მაზავენ“ მას, ხაზგასმით აღვნიშნოთ, დამნაშავეობა არის დეფავორიზებული ფენების რეალობა, — აი ანალიზი, რომელიც ხელს უწყობს ხელისუფლებას დაფარონ არასაშიშროების სოციალური და ეკონომიკური ოდენობა“.

ამ გამონათქვამში გარკვევით არის ასახული XX საუკუნის დამდევის „სოციალური დაცვისაგან“ სოციალური რეაქციის მეგვიდრეობითობა და ის სიახლაც, რომელსაც მას ანიჭებენ ამ, თითქმის 80 წლიანი პერიოდის მანძილზე კაპიტალიზმის და მისი საზოგადოებრივი შეგნების განვითარების ობიექტური პირობებიც და ისტორიის ამ ობიექტურ მსვლელობაზე ბურჟუაზიული კრიმინოლოგიის იძულებითი პასუხიც.

ისტორიული მეგვიდრეობითობა „სოციალური რეაქციის“ უკარანხებს მკაცრად დაუპირისპიროს კაპიტალისტური სახელმწიფოს მთელი საშუალებები დამნაშავეობის შემოტევას, იძულებითი ყურადღება დაუთმოს სოციალურ ღონისძიებებსა და ინსტიტუტებს. აქ არ არის განსაკუთრებული ცვლილებანი, რადგანაც კვლავ საქმე ენება „სოციალური დაცვის“ ზოგადტეორიული თვალსაზრისით.

რაც შეეხება ფორმებს, მეთოდებს, კონკრეტულ ამოცანებს, — აქ არის საკმოდ მკაფიო ცვლილებანი, რომლებიც უკავშირდება არა მარტო კაპიტალიზმის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარებაზე „რეაქციას“, არამედ უფრო სრულყოფილ სამეცნიერო-ტექნიკურ მაზასაც, რომელზეც დაყრდნობით ახორციელებენ თავიანთ კვლევას „დამნაშავეობაზე სოციალური რეაქციის“ თანამედროვე წარმომადგენლები.

აღვნიშნავთ აგრეთვე, რომ „სოციალური რეაქცია“ ითვალისწინებს თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარების იმ სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების უთუოდ შესწავლას, რომლებსაც XX საუკუნის 70-იანი წლების ბურჟუაზიული კრიმინოლოგია უკვე ვეღარ აუვლის გვერდს. საქმე ენება სილატაკეს, უმუშევრობას, კაპიტალისტური საზოგადოების ცალკეული ფენების სოციალური აქტიურობის დონეს. „სოციალური რეაქციის“ ფარგლებში ამასთან დაკავშირებით წარმოებს კვლევა-ძიება, რომელსაც დამნაშავეობის მიმართ შემფასებლური ხასიათი აქვს.

რაც შეეხება სამართალდაცვითი აპარატის საქმიანობის ეფექტიანობის კვლევას „სოციალური რეაქციის“ ეს ნაწილი ახლა ყველაზე უფრო განშტოებულია. მისთან არის დაკავშირებული დასჯის დანიშნვისა და ამოცილების ეფექტიანობის კვლევა, ისევე როგორც სოციალურ-პრევენციული ღონისძიებათა გამოყენებაც.

ვკონებთ, ამ, გარკვეულწილად სქემატურ ჩამონათვალში აისახება „სოციალური რეაქციის“, როგორც თანამედროვე ბურჟუაზიული კრიმინოლოგიის ახალი მიმართულების, მთავარი სფეროები.

**6. ახალი კონცეფციის კრიტიკული ანალიზის მეთოდოლოგიური მიდგომა**

თუმცა საკახაციო ინსტანციის მუშაობა შესამჩნევად გაუმჯობესდა, მაგრამ მის საქმიანობაში მაინც არას სერიოზული ნაკლოვანებანი. განჩინებები უოველთვის სრულყოფილად არ უტანუბებს საკახაციო საჩივრის ან პროტესტის ყველა მოტივს. ჭერ კიდევ ვაწყდებით განჩინებათა გაუქმებისა და შეცვლის ფაქტებს, საქმეთა განხილვის უსაფუტვლოდ გადაღების შემთხვევებს.

რესპუბლიკაში ერთიანი სასამართლო პრაქტიკის უზრუნველსაყოფად პრობლემური საკითხების ერთობლივად გადაწყვეტის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო კოლეგია და რესპუბლიკის პროკურატურის სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვისადმი ზედამხედველობის განყოფილება უოველი თვის ბოლოს აწყობენ ობიექტურ თათბირს.

ერთიანი სასამართლო პრაქტიკის უზრუნველსაყოფად გამოყენებულია ისეთი ფორმა, როგორც არის სასამართლო პრაქტიკის განვითარება სისხლის და სამოქალაქო სამართლის ყველაზე აქტუალური კატეგორიების საქმეებზე. ბოლო ხუთი წლის მანძილზე უმაღლესი სასამართლოს წევრებმა შეასრულეს 697 განყოფილება.

შესწავლილ იქნა სასამართლო პრაქტიკა მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დანაშაულებრივი ხელყოფის, მძინერებისა და უხარისხო პრალუქციის გამოშვების, მექრთამეობის საქმეებზე, საბინაო და შრომით დავებზე და ა. შ. ანალიტიკური მიმოხილვები ეგზავნება რესპუბლიკის სასამართლოებს, საინფორმაციო წერილები კი — საქართვე-



ლოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და მინისტრთა საბჭოს. სასამართლო პრაქტიკის განვითარების რეალიზაცია თვით მისი მომზადების პროცესში ხელს უწყობს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

რესპუბლიკაში მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხის ამაღლების საქმეში დიდი უმაღლესი სასამართლოს პლენუმის როლი. უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა ბოლო წლებში განავითარა სასამართლო პრაქტიკა 29 აქტუალურ საკითხზე და მიიღო შესაბამისი დადგენილებები.

პლენუმის დადგენილებათა პროექტები, წინასწარ ეგზავნებათ რესპუბლიკის პროკურატურას, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტს, უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს, მოძვე რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებს, რომელთა საქმიანი შენიშვნები ხელს უწყობს პრობლემების დახვეწას და კვალიფიციური დადგენილებების მიღებას.

სასამართლო წყობილების შესახებ ახალი კანონის შესაბამისად პრეზიდიუმე წარმოადგენს უმაღლეს საზედამხებველო სასამართლო ინსტანციას. ბოლო წლებში კიდევ უფრო ამაღლდა უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის, როგორც კოლექტიური ხელმძღვანელი ორგანოს როლი, გაიზარდა მისი გავლენა კოლექტივის შემადგენლობების, უმაღლესი სასამართლოს აპარატის მთელ საქმიანობაზე. პრეზიდიუმის ბევრი დადგენილება საფუძვლად დაედო უმაღლესი სასამართლოს, მისი ყველა რგოლის საქმიანობის გარდაქმნას.

1971 წელთან შედარებით 1984 წელს პრეზიდიუმში სისხლის სამართლის საქმეებზე შეძლების პროტესტების რაოდენობა შემცირდა 2,8-ჯერ, ხოლო 1978 წელთან შედარებით 27 პროცენტით. დაკმაყოფილებული პროტესტების რაოდენობა 1971 წელთან შედარებით 1984 წელს შემცირდა 2,8-ჯერ, ხოლო 1978 წელთან შედარებით 17 პროცენტით. შემცირდა პრეზიდიუმში შემოსული პროტესტების რაოდენობა სამოქალაქო საქმეებზეც. თუ 1976 წელს პრეზიდიუმში სამოქალაქო საქმეებზე შეტანილი იყო 202 პროტესტი, 1984 წელს შეტანილი იქნა 46, ე. ი. 4-ჯერ ნაკლები. შემცირდა დაკმაყოფილებული პროტესტების რაოდენობაც.

ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ ამაღლდა მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხი უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლექტივებში, აგრეთვე თვით პრეზიდიუმში. მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე არ არის. ამის გამოა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო ყოველწლიურად აუქმებს ჩვენი პრეზიდიუმის 5-6 დადგენილებას.

წლითწლილობით კლებულობს უმაღლესი სასამართლოში მოქალაქეთა მიერ შეტანილი განცხადებებისა და საჩივრების რაოდენობა. 1984 წელს 1975 წელთან შედარებით უმაღლესი სასამართლოში შემოსული საჩივრების საერთო რაოდენობა შემცირდა ორჯერ და უფრო მეტად, ხოლო 1979 წელთან შედარებით — 29 პროცენტით. ამავე პერიოდში უმაღლესი სასამართლოში შემოსული საზედამხებველო საჩივრების რაოდენობა შემცირდა თითქმის სამჯერ, ხოლო 1979 წელთან შედარებით — 40 პროცენტით.

საჩივრების განხილვის მდგომარეობის გაუმჯობესებას მეტყველებს აგრეთვე უმაღლესი სასამართლოში მიღებაზე მოსულ მოქალაქეთა რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება. 1978 წელთან შედარებით 1984 წელს უმაღლესი სასამართლოს მისაღებში მოსულ მოქალაქეთა რიცხვი 8,8-ჯერ შემცირდა.

უმაღლესი სასამართლოს საქმიანობაში დიდი ადგილი უჭირავს მშრომელთა სამართლებრივ აღზრდას. სათანადო ყურადღება ექცევა ლექციურ პროპაგანდას. მისი თემატიკის შემუშავებაში გათვალისწინებულია მოქალაქეთა საჩივრების ანალიზი, ცალკეული რეგონების ოპერატიული ვითარება, აგრეთვე რესპუბლიკის მართლმსაჯულების წინაშე მდგომი ამოცანები. ხუთი წლის მანძილზე უმაღლესი სასამართლოს წევრებმა რესპუბლიკის მსხვილ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მოაწვეეს 2894 ლექცია, მოხსენება და საუბარი. აპარატის მუშაკები რადიოთი გამოვიდნენ 142-ჯერ, ტელევიზიით 98-ჯერ, ხოლო პრესაში — 817-ჯერ.

უმაღლესი სასამართლო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ყველაფერს იღონებს მართლმსაჯულების ხარისხის ამაღლებისათვის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის, კანონის პატივისცემის ხელისკვეთებით ყველა მოქალაქის აღზრდისათვის.



# დახმარის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

დ. სულაჯველიძე

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებში და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში არ არის სპეციალური ნორმა, რომელიც მოაწესრიგებდა თანამონაწილეთა მხრივ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას. გამონაკლისის შეადგენს მხოლოდ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი (იხ. მე-18 მუხლი მე-2 ნაწილი). რაც შეეხება სისხლის სამართლის თეორიას, კრიმინალისტიკები როგორც წარსულში, ისე ამჟამადაც საგანგებოდ გამოყოფენ ამ საკითხს და განიხილავენ მასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას<sup>1</sup>. ამის მიზეზია თავისებურება, რომელიც ახასიათებს თანამონაწილეობის ფორმით ჩადენილ დანაშაულს. ამიტომ მომზადებისა და მცდელობის პროცესშივე დანაშაულის ნებაყოფლობით მიტოვებისათვის პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი წესები საჭიროა განხილულ იქნეს თანამონაწილეობის მოძღვრებასთან უწყვეტ კავშირში, ვინაიდან „თანამონაწილეობა, პროფ. ა. ტრაინინის მართებული შენიშვნით, პასუხისმგებლობის განსაკუთრებული სახეა, რომელიც თანამონაწილეთა მოქმედების განსაკუთრებულ ფორმებს შეესაბამება“<sup>2</sup>.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 1959 წლისა და 1960 წლის პროექტებში იყო სპეციალური ნორმა, რომელიც ითვალისწინებდა თანამონაწილის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას. პროექტებში შეტანილი ამ ნორმების ფორმულირებები იდენტური არ იყო, მაგრამ შინაარსის მიხედვით არსებითადაც არ განსხვავდებოდა. საბოლოოდ 1960 წლის პროექტის ვარიანტი ამ ნორმისა უცვლელად შევიდა დღეისათვის მოქმედ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის სახით. სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ასეთი ნორმის შეტანასა და დამკვიდრებას მხარი დაუჭირეს სწავლულმა კრიმინალისტიკებმაც, რომლებმაც იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხზე წამოაყენეს თავიანთი წინადადებები<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Таганцев Н. С. Русское уголовное право. Общая часть, т. 1, С.-Петербург, 1902, стр. 796—799; Лист, Франц Фон, Учебник уголовного права. Общая часть. Книга первая, М., 1903, стр. 233; Дурманов Н. Д., Стадии совершения преступления по советскому уголовному праву, М., 1955, стр. 203; თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ., 1961, გვ. 241—247; Пионтковский А. А. Курс советского уголовного права, т. 2, М., 1970, стр. 480—485;

<sup>2</sup> Трайнин А. Н., Учение о соучастии, М., 1941, стр. 126.

<sup>3</sup> თ. წერეთელი, ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულზე, იხ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. XII, თბ., 1961, გვ. 53. Панько К. А. Добровольный отказ от преступления по советскому уголовному праву, Воронеж, 1975, стр. 124; Сафронов А. Д. Добровольный отказ от совершения преступления и деятельное раскаяние преступника. Автореферат кандидатской диссертации, М., 1977, стр. 10.



დანაშაულში თანამონაწილეობაზე ნებაყოფლობით ხელის აღების უდავოდ აქვს სპეციფიკურობა, რომელიც განპირობებულია თანამონაწილეთა განსხვავებული და თავისებური როლებით ერთობლივი დანაშაულის განვითარების საერთო სტრუქტურაში (მხედველობაშია თანამონაწილეობა ვიწრო გაგებით). ამის შესაბამისად, ცხადია, განსხვავებულია მათთან დაკავშირებული იურიდიული შედეგებიც. ამიტომ, ამსრულებლის ან სხვა რომელიმე თანამონაწილის (ორგანიზატორის, წამქეზებლის, დამხმარის) მიერ დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში, თითოეული მათგანის პასუხისმგებლობის საკითხი ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს. ამიტომ უმჯობესია თანამონაწილეთა პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისათვის საჭირო კრიტერიუმები პირდაპირ იყოს ვათვალისწინებული კანონში. გარდა ამისა, კანონში მოცემული მკაფიო ორიენტირები ძალზე მნიშვნელოვანია სასამართლო პრაქტიკისათვის, როგორც შეცდომების, ისე თვითნებობის გამორიცხვის, ე. ი. სოციალისტური კანონიერების დაცვის თვალსაზრისით. ასე რომ, მართებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობის პოზიცია — დანაშაულში თანამონაწილეობაზე ნებაყოფლობით ხელის აღების სპეციფიკის ცალკე გამოყოფა, სახელდობრ, სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის ფორმულირება ორ ნაწილად. ამ მუხლის პირველ ნაწილში მთლიანად და უცვლელად გადავიდა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-16 მუხლით განსაზღვრული ნორმა, რომელიც ითვალისწინებს დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების ზოგად წანამძღვრებს, ხოლო მეორე ნაწილი ადგენს: „ეს მუხლი ვრცელდება აგრეთვე ორგანიზატორებსა, წამქეზებლებსა და დამხმარებებზე, რომლებმაც ნებაყოფლობით მიიღეს ზომები დანაშაულის ასაცდენად, თუ ამასთანავე დანაშაული ბოლომდე არ იყო მიყვანილი“. მსგავსი ნორმები წარსულშიც იყო, მაგალითად, რევოლუციამდელი რუსეთის სისხლის სამართალში<sup>4</sup>, აგრეთვე დანის იმდროინდელი სისხლის სამართლის კოდექსსა (§ 50) და შვეიცარიის ზოგიერთი კანტონის კანონმდებლობაში<sup>5</sup>. ასეთი ნორმები ვათვალისწინებულია თანამედროვე ბურჟუაზიულ სისხლის სამართალშიც. დავასახელებთ მაგალითად, ისეთ საკანონმდებლო აქტს, როგორც არის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი (§ 31)<sup>6</sup>. ამგვარი ნორმები ვათვალისწინებულია აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების 1962 წლის სანიმუშო სისხლის სამართლის კოდექსში (მუხ. 2.06, ნაწ. მე-6; მუხ. 5.02, ნაწ. მე-3)<sup>7</sup>.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი ჯერჯერობით გამონაკლისია მოელი საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. მაგრამ იგი უცხრეა სოციალისტური სისხლის სამართლისათვის. თანამონაწილეების მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სა-

<sup>4</sup> Уголовное уложение 22 марта 1903 года, С.-Петербург, 1903, (§ 51, ч. 5), стр. 19—20.

<sup>5</sup> Свистунов Я. А. Добровольная остановка при покушении, С.-Петербург, 1914, стр. 126—127.

<sup>6</sup> Уголовный кодекс от 15 мая 1971 г. В кн.: И. Д. Козочкин, Уголовное право Федеративной Республики Германии, М., 1981, стр. 15.

<sup>7</sup> Никифоров Б. С. Примерный уголовный кодекс (США), М., 1969, стр. 56, 93—94.



კითხვის მომწესრიგებელ ნორმებს შეიცავენ აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ამჟამად მოქმედი კოდექსებიც, კერძოდ, რუმინეთის (მუხ. 30), პოლონეთის (მუხ. 21, § 1), ბულგარეთისა (მუხ. 22, პუნ. (1)) და იუგოსლავიის (მუხ. 22, ნაწ. მე-2) სისხლის სამართლის კოდექსები.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილს აქვს ხარვეზები, შეიცავს ზოგიერთ ისეთ მომენტს, რომლებმაც შესაძლოა სიძნელე გამოიწვიოს საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში. ამიტომ საჭიროა მისი სრულყოფა და დახვეწა.

იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულების მიხედვით, ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე დანაშაულზე ხელის აღებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან უნდა განთავისუფლდნენ მხოლოდ მაშინ, თუ მათ ნებაყოფლობით მიღებული ზომებით შეძლეს თავიდან აეცილებინათ დაწყებული დანაშაულის დამთავრება<sup>6</sup>. ასეთსავე მოთხოვნას აყენებს საქართველოს სსრ სსკ მე-18 მუხლის მე-2 ნაწილიც. მაგრამ რამდენად მართებულია ყოველი თანამონაწილისათვის დანაშაულის ჩადენაზე ხელის აღების ყველა ნებისმიერ შემთხვევაში ერთნაირი ვალდებულების დაკისრება? თანამონაწილეების სამართლებრივი მდგომარეობის ასეთი ნიველირება და ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხისადმი არადიფერენცირებული მიდგომა უგულვებელყოფს დამხმარის იმ სპეციფიკურ მდგომარეობას, რომლითაც იგი განსხვავდება ორგანიზატორისა და წამქეზებლისაგან როგორც დანაშაულის ჩადენის, ისე დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს.

დამხმარის საკანონმდებლო ცნების განსაზღვრებიდან გამომდინარე (იხ. სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-17 მუხლის მე-6 ნაწილი და საქართველოს სსრ სსკ მე-19 მუხლის მე-6 ნაწილი); შეიძლება ერთმანეთისაგან განვასხვავოთ **ინტელექტუალური დახმარება** (ამსრულებლისათვის რჩევა-დარიგებისა და მითითებების მიცემა, დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების განმტკიცება, დანაშაულის ჩადენაში დახმარების აღმოჩენის ან დანაშაულის დაფარვის დაპირება) და **ფიზიკური დახმარება** (ამსრულებლისათვის იარაღისა და დანაშაულის ჩადენის სხვა საშუალებების მიწოდება, დაბრკოლებათა თავიდან აცილება, დანაშაულის კვალის მოსპობა და სხვა). დიდ სირთულეს არ წარმოადგენს იმ დასკვნამდე მისვლა, რომ, თუ ინტელექტუალური დახმარის ქმედობა თავისი სუბიექტური და ობიექტური ბუნებით მნიშვნელოვნად უახლოვდება წამქეზებლის ქმედობას, ფიზიკური დახმარის მოქმედების ხასიათი (უმეტესწილად ობიექტური მხრივ) ფრიალ განსხვავებულია, რაც განაპირობებს დანაშაულის ჩადენაში მისი როლისა და ფუნქციის სპეციფიკურობას.

ორგანიზატორის, წამქეზებლის, ინტელექტუალური და ფიზიკური დახმარის ქმედობებისათვის საერთო ის არის, რომ ყველა ისინი მხოლოდ აუცილებელ პირობებს ქმნიან საერთო განზრახვით მოცული იმ დანაშაულის ჩასადე-

<sup>6</sup> Кузнецова Н. Ф. Ответственность за приготовление к преступлению и покушение на преступление по советскому уголовному праву, М., 1958, стр. 174; Тишкевич И. С. Приготовление и покушение по уголовному праву, М., 1958, стр. 247; თ. წერეთელი. თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1966, გვ. 222; Пшонтковский А. А. Курс советского уголовного права, т. 2, М., 1970, стр. 480—485; Советское уголовное право. Общая часть, М., 1977, стр. 284 და სვ.



ნად, რომელიც ამსრულებლის მეშვეობით ხორციელდება. მაგრამ ორგანიზატორისა და წამქეზებლის ქმედობები თავიდანვე ორგანულად ისე ერთვებიან და ობიექტურად ისე ერწყმიან ერთობლივი დანაშაულის განვითარებაში, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია ნება-სურვილისამებრ მათი გამოთიშვა ამსრულებლის მოქმედებისაგან, ერთობლივ დანაშაულში შეტანილი ასეთი წვლილის უკანვე დაბრუნება. მათი ქმედობები ბიძგს აძლევენ დანაშაულის, როგორც რეალური მოვლენის დაწყებასა და მის შემდგომ მსვლელობას. დანაშაულის ინიციატივა, ამსრულებლისათვის მიზნის დასახვა და მისთვის დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების მიწოდება-განმტკიცება ისეთი მოქმედებებია, რომლებიც განვითარებულია ამსრულებლის ქმედობაში, ე. ი. ტრანსფორმირდებიან დანაშაულის შემადგენლობის განმახორციელებელ მოქმედებად ან უმოქმედობად. როგორც წესი, ანალოგიური თვისებებით ხასიათდება ინტელექტუალური დამხმარის მოქმედებაც, ზოგიერთი გამონაკლისი შემთხვევის გარდა.

რაც შეეხება ფიზიკური დამხმარის ქმედობას (იარაღის გამოხახვა და მიწოდება ამსრულებლისათვის, მორგებული გასაღების მიცემა, სატრანსპორტო საშუალების დათმობა, დაბრკოლებათა მოხსნა და სხვა), იგი თავიდანვე არ შედის დანაშაულთან ობიექტურად ისეთ ორგანულ, განუყოფელ და სისხლხორცულ ერთიანობაში, რომ რეალურად შეუძლებელი იყოს მისი გამოთიშვა და მოწყვეტა ამსრულებლის მოქმედებისაგან. ამის გამო, მიუხედავად იმისა, რომ დამხმარის ქმედობა მისი განხორციელებისთანავე უკვე უკავშირდება წამოწყებულ ერთობლივ დანაშაულს, იგი გარკვეული დროის განმავლობაში ჯერ კიდევ არ მოქმედებს, როგორც მიზეზი, როგორც შედეგის ერთ-ერთი აუცილებელი განმაპირობებელი ფაქტორი. სრულიად შესაძლებელია ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდეს ამსრულებლის მიერ დანაშაულის განხორციელების დაწყების შემდეგაც, მაგრამ, ცხადია, მანამდე, სანამ ამსრულებელი უშუალოდ არ გამოიყენებს მისთვის აღმოჩენილ დახმარებას, ე. ი. ვიდრე არ ჩართავს მას დანაშაულის განხორციელების პროცესში. სწორედ ამ მომენტიდან იძენს ობიექტურად ფიზიკური დამხმარის ქმედობა კაუზალურ მნიშვნელობას ანუ სხვა თანამონაწილეების ქმედობათა ანალოგიურ ფუნქციას. ამიტომ, თუ ამსრულებლის მიერ დანაშაულის განხორციელების მხოლოდ დაწყებაც კი თავისთავად უკვე შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის ორგანიზატორის (ინიციატორის), წამქეზებლისა და ინტელექტუალური დამხმარის ქმედობათა გარკვეულ შედეგად, იგივეს თქმა ფიზიკური დამხმარის ქმედობის მიმართ შეუძლებელია.

ერთი მხრივ, ფიზიკური დამხმარისა და, მეორე მხრივ, სხვა სახის თანამონაწილეების ქმედობებს შორის არსებული ეს განსხვავება განაპირობებს ამ სუბიექტების განსხვავებულ მდგომარეობას დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროსაც. თავიანთი მოქმედების ბუნებიდან გამომდინარე ორგანიზატორს (დანაშაულის ინიციატორს), წამქეზებელსა და, როგორც წესი, ინტელექტუალურ დამხმარეს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სხვაგზა არ რჩებათ, თუ არა ის, რომ აქტიური ზემოქმედებით ხელი ააღებინონ ამსრულებელს დანაშაულზე ან სხვა საშუალებით ხელი შეუშალონ დაწყებული დანაშაულის დამთავრებასა და შემადგენლობის შესაბამისი შედეგის დადგომას. რაც შეეხება ფიზიკურ დამხმარეს, თავისი დანაშაულებრივი ქმედობის განხორციელების შემდეგ, გარკვეული დროის განმავლობაში მას ობიექტურად რჩება იმის შესაძლებლობა, რომ მოსპოს, გააუვნებლოს ან უვარგისი გახა-



დღის დახმარების აქტი, სხვადასხვა საშუალებით აღკვეთოს იგი და შეუძლებელი გახადოს ამსრულებლის მიერ მისი გამოყენება. ეს იმას ნიშნავს, რომ ფიზიკურ დამხმარეს შეუძლია გამოთიშოს თავისი ადრინდელი ქმედობა ერთობლივი დანაშაულის განვითარებიდან, უკანვე დაიბრუნოს დანაშაულში შეტანილი თავისი წვლილი, ე. ი. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელი აიღოს მაშინაც კი, თუ ამსრულებელმა და სხვა თანამონაწილეებმა ბოლომდე მიიყვანეს დაწყებული დანაშაული დამხმარის ქმედობისაგან დამოუკიდებელი სხვა გზებითა და საშუალებებით. ანალოგიურია იმ ინტელექტუალური დამხმარის მდგომარეობაც, რომელიც შემოიფარგლა მხოლოდ დახმარების აღმოჩენის დაპირებით, ხოლო შემდეგ დროულად განაცხადა უარი დაპირებულ დახმარებაზე, ე. ი. მანამდე, ვიდრე ამსრულებელი მოქმედებას შეუდგებოდა. ამ შემთხვევებში ფიზიკური და ინტელექტუალური დამხმარისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ მათ თავიდან ვერ აიცილეს დანაშაულის ჩადენა ამსრულებლის მიერ, იურიდიულად რაიმე გამართლებას მოკლებულია. ფიზიკური დამხმარის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების განხილულ შემთხვევაში, ცხადია, თავისთავად იგულისხმება ის აუცილებელი პირობაც, რომ ფიზიკური დახმარების აქტს ამავე დროს ამსრულებელზე ან სხვა თანამონაწილეებზე მოხდენილი არ უნდა ჰქონდეს მასტიმულირებელი ფსიქოლოგიური ზემოქმედება დანაშაულის ჩასადენად, ე. ი. ფაქტობრივად არ უნდა წარმოადგენდეს ინტელექტუალურ დახმარებასაც. დახმარების ამ უკანასკნელ სახეობას წმინდა ფიზიკური და წმინდა ინტელექტუალური დახმარებისაგან განსხვავებით შეიძლება ეწოდოს **შერეული ანუ ორმაგი დახმარება**.

სწორედ დამხმარესთან დაკავშირებულ მითითებულ სპეციფიკურ გარემოებებს ვერ ასახავს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი, აცხადებს რა სავალდებულო პირობად ყველა თანამონაწილისათვის, თანაც ყველა შემთხვევაში, დანაშაულის ბოლომდე მიყვანის თავიდან აცილებას. მის ამ ნაკლს ჯერ კიდევ 1962 წელს სამართლიანად მიუთითებდა პროფ. ნ. ღურმანოვი, რომ იგი „ფრიალ ავიწროებს დამხმარის მიერ ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობას...“<sup>9</sup>, მაგრამ არ მოუცია ამ ნორმის უფრო პოზიტიური ალტერნატივა, მისი გაუმჯობესებული ვარიანტი. ხარვეზებისაგან რუსეთის 1903 წლის სისხლის სამართლის დებულების ის ნორმაც არ იყო დაზღვეული, რომელიც სპეციალურად არეგულირებდა თანამონაწილეების მიერ დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღებას (§ 51, ნაწ. მე-5): „თანამონაწილე, რომელმაც ხელი აიღო დანაშაულებრივ ქმედებაში მონაწილეობაზე და დროულად მიიღო მასზე დამოკიდებული ყველა ზომა მისი თავიდან აცილებისათვის, თავისუფლდება სასჯელისაგან“<sup>10</sup>. რა არის ამ ნორმის ნაკლი? მეტად გაურკვეველია, რას გულისხმობს კანონმდებელი, როცა ამბობს დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, დროულად იღონა ყველაფერი. თუ ამ ფრაზაში იგულისხმება დანაშაულის აუცილებელი თავიდან აცილება თანამონაწილეების მიერ, მაშინ ის შეიცავს იგივე უზუსტობას დამხმარის მიმართ, რასაც საქართველოს სსრ სსკ მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი

<sup>9</sup> В. Д. Меншагин и др. Советское уголовное право. Часть общая, М., 1962, стр. 220.

<sup>10</sup> Уголовное уложение 22 марта 1903 года. СПб, 1903, стр. 19-20.

3. „საბჭოთა სამართალი“, № 1.



ხოლო, თუ 51-ე პარაგრაფის მე-5 ნაწილი არ გულისხმობს დანაშაულის აუცილებელ თავიდან აცილებას, მაშინ, თავისთავად, გადაუწყვეტელი რჩება იმ ორგანიზატორისა და წამქეზებლის პსუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც ნებაყოფლობით და დროულად მიიღეს ყველა ზომა დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ — უშედეგოდ.

როგორც უკვე ზემოთ ითქვა, ანალოგიური დანიშნულების ნორმებს შეიცავს ზოგიერთი სოციალისტური ქვეყნისა და თანამედროვე ბურჟუაზიული სისხლის სამართლის კანონმდებლობა. წინამდებარე სტატიის მოცულობა არ იძლევა შესაძლებლობას მათი ანალიზისა და შეფასებისათვის, ამიტომ შემოვიფარგლებით მხოლოდ აღნიშნული საკანონმდებლო ნორმის იმ სარეკომენდაციო ფორმულირებათა განხილვით, რომლებიც საკანონმდებლო წინადადების სახით მოცემულია საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში. კ. პანკო გვთავაზობს განსახილველი ნორმის ასეთ ვარიანტს: „ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე, რომლებმაც ნებაყოფლობით აიღეს ხელი მათი მონაწილეობით დაწყებულ დანაშაულებრივ მოქმედებაზე, სისხლის სამართლის პსუხისმგებლობისაგან თავისუფლდებიან მხოლოდ მაშინ, თუ მათ თავისი მოქმედებით ხელი შეუშალეს ამსრულებელს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაში“<sup>11</sup>. სპეციალური ანალიზის გარეშეც ნათელია, რომ დამხმარესთან დაკავშირებულ სირთულეებს ვერც კ. პანკოს დებულება აღწევს თავს. უფრო მეტიც, იგი გარდა იმისა, რომ გადატირთულია ზოგიერთი ზედმეტი და არსაჭირო ფრაზით, არსებითად წარმოადგენს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის გაუარესებულ ვარიანტს.

ამ საკითხზე სხვა მოსაზრებაც არსებობს. ა. საფრონოვი იძლევა განსახილველი ნორმის ასეთ ფორმულირებას: „ნებაყოფლობით ხელის ამღებად ჩაითვლება ორგანიზატორი, წამქეზებელი ან დამხმარე, რომელმაც ხელი აიღო დანაშაულში შემდგომ მონაწილეობაზე და ნებაყოფლობით აიცილა თავიდან ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენა. დამხმარე ჩაითვლება ნებაყოფლობით ხელის ამღებად დაპირებული ხელისშეწყობის შესრულებაზე დროული ხელის აღების, მის მიერ აღმოჩენილი დახმარების დროული ლიკვიდაციის ან ხელშეწყობის დაპირების შეუსრულებლობის შემთხვევაშიც, თუ უამისოდ დანაშაულის ჩადენა შეუძლებელია“<sup>12</sup>. ამ საკანონმდებლო წინადადების პირველი ნაწილი შინაარსობრივად არ განსხვავდება საქართველოს სსრ სსკ მე-18 მუხლის მე-2 ნაწილისაგან. რაც შეეხება მის ბოლო ნაწილს, იგი სპეციალურად გამოყოფს დამხმარის მიერ ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხს. მასში მოცემულია დამხმარის მიერ ხელის აღების ფორმების ჩამოთვლა. მათ შორის მითითებულია „აღმოჩენილი დახმარების დროული ლიკვიდაცია“. ამ ფრაზაში საფრონოვი გულისხმობს გაწეული დახმარების ლიკვიდირებას იმ მომენტამდე, ვიდრე იგი ამსრულებელს არ გამოუყენებია დანაშაულის ჩასადენად<sup>13</sup>. თავისთავად ეს აზრი სწორია, მაგრამ თვით საკანონმდებლო დებულების პროექტი, რომელსაც ა. საფრონოვი გვთავაზობს, ცხადად და გარკვევით ვერ გამოხატავს იმ თვალსაზრისს, რომ მოცემულ შემთხვევაში ნაგულისხმევია დამხმარის მიერ დანაშაულზე, ისეთი ნებაყოფლობით ხელის აღება, როდესაც ამს-

<sup>11</sup> კ. პანკო. დასახლებული ნაშრომი გვ. 125.

<sup>12</sup> ა. საფრონოვი. დასახლებული ნაშრომი, გვ. 10.

<sup>13</sup> ა. საფრონოვი. იქვე, გვ. 9.



რულეებელმა ბოლომდე მიიყვანა იგივე დანაშაული დამხმარისაგან დამოუკიდებლად. კერძოდ, სიტყვა „დროული“ კატეგორიულად არ გამოხატავს, ვალდებულია თუ არა დამხმარე განსახილველ შემთხვევაში უზრუნველყოს დანაშაულის თავიდან აცილება. ამის გასარკვევად საჭირო ხდება ნორმის დამატებითი განმარტება. ეს ნორმა კი იმდენად სპეციფიკური და მნიშვნელოვანია თავისი დანიშნულებით, რომ უმჯობესია კანონმდებლის პოზიცია მასში პირდაპირ და გარკვევით იყოს გამოხატული. გარდა ამისა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დამხმარის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფორმების კონკრეტული და ამომწურავი ჩამოთვლა კანონში, რომელსაც მიმართავს ა. საფრონოვი, შეიძლება არც იყოს მართებული. დანაშაულში თანამონაწილეობაზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფორმები, წარმოქმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე, პრაქტიკაში შეიძლება სრულიად სხვადასხვაგვარი იყოს. არ არის გამორიცხული, რომ მათგან ზოგიერთი ისეთიც აღმოჩნდეს, რომელიც ვერ მოთავსდება კანონის კონკრეტულ ჩამონათვალში. ამან შეიძლება წარმოშვას არასასურველი სირთულეები პრაქტიკაში. ამიტომ უფრო მიზანშეწონილია კანონში მოცემული იყოს ზოგადი ნიშნებით განსაზღვრული ისეთი დებულების ფორმულირება, რომლითაც მოცული იქნება როგორც დამხმარის, ისე სხვა თანამონაწილეების მიერ დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების ყველა შესაძლებელი შემთხვევა. სწორედ ამ გზას ადგას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობაც. მაგრამ სსკ მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის ნაკლი, როგორც ითქვა ის არის, რომ მისი ამჟამინდელი ფორმულირება ვერ მოიცავს დანაშაულში თანამონაწილეობაზე ნებაყოფლობით ხელის აღების ყველა შესაძლებელ შემთხვევას. ამიტომ საჭიროა მოიძებნოს ამ ნორმის უფრო სრულყოფილი ფორმულირება. იგი შეიძლება ასეთი სახით ჩამოყალიბდეს: „ეს მუხლი ვრცელდება აგრეთვე იმ თანამონაწილეზე, რომელმაც ნებაყოფლობით მიიღო ზომები დანაშაულის ასაცდენად, თუ ამასთანავე დანაშაული არ დასრულდა ან მისგან დამოუკიდებელი მიზეზით დამთავრდა“. ამით სწორდება საქართველოს სსრ სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის ხარვეზი. ასეთი ფორმულირებით ნორმა უკვე მოიცავს თანამონაწილეთა მიერ დანაშაულზე ხელის აღების ყველა შესაძლებელ შემთხვევას, ხოლო გამომძიებელს თუ მოსამართლეს მხოლოდ ის რჩება გასაკეთებელი, რომ ზუსტად იხელმძღვანელოს კანონის პირდაპირი მითითებებით. სახელდობრ, ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე შეამოწმოს: 1) დამხმარემ ან სხვა რომელიმე თანამონაწილემ ნებაყოფლობით მიიღო თუ არა ზომები დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, 2) ბოლომდე მივიდა თუ არა დანაშაული, 3) თუ დანაშაული დასრულდა, მაშინ არსებობს თუ არა მიზეზობრივად რაიმე კავშირი თანამონაწილის ქმედობასა და დამთავრებულ დანაშაულს შორის. რა თქმა უნდა, პრაქტიკულად მხოლოდ დამხმარისათვის არსებობს იმის რეალური შესაძლებლობა, რომ უკანვე დაიბრუნოს დანაშაულში შეტანილი თავისი წვლილი იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამსრულებელმა მისგან დამოუკიდებლად ბოლომდე მიიყვანა დანაშაული. პრაქტიკულად, ასეთი შესაძლებლობა სხვა თანამონაწილეებისათვის თითქმის არ არსებობს. მაგრამ თუ იშვიათი გამონაკლისის სახით მოხდა ისე, რომ ორგანიზატორმა ან წამქეზებელმა ნებაყოფლობით მიიღო ყველა ზომა დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, დანაშაული კი დასრულდა მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, მაშინ, ცხადია, ასეთი ორგანიზა-



ტორი ან წამქეზებელი თავისი სამართლებრივი მდგომარეობით ფაქტობრივად უთანაბრდება ფიზიკურ დამხმარეს. ამიტომ, მოცემულ შემთხვევაში მათზეც უნდა გავრცელდეს იგივე წესები, რაც ნებაყოფლობით ხელის აღღები იმ დამხმარის მიმართ, რომლისგან დამოუკიდებლადაც ამსრულებელმა ბოლომდე მიიყვანა დაწყებული დანაშაული. მაგალითად, წამქეზებელმა ნებაყოფლობით მიღებული ზომებით ამსრულებელს ხელი ააღებინა დანაშაულის ჩადენაზე. მაგრამ მესამე პირმა, რომელმაც იცოდა, რომ დანაშაული მზადდებოდა და სურდა მისი ჩადენა, შანტაჟით ან სხვა ფსიქოლოგიური ზემოქმედებით კვლავ აიძულა ამსრულებელი ჩადენა იგივე დანაშაული. ამ შემთხვევაში პირველი წამქეზებლის ქმედობასა და დამთავრებულ დანაშაულს შორის შეუძლებელია ვცნოთ მიზეზობრივი კავშირი. ეს შეუძლებელია შემდეგ გარემოებათა გამო; ჯერ ერთი, მან არაფერი იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა მესამე სუბიექტის შესახებ, რომელმაც კვლავ დაიყოლია ამსრულებელი იმავე დანაშაულის ჩასადენად, მეორეც, მან ნებაყოფლობით მიიღო ზომები და მიღწია იმას, რომ ამსრულებელმა გადაიფიქრა დანაშაულის ჩადენა, მესამეც ის, რომ ამსრულებელმა კი არ გადადო განზრახვის აღსრულება, არამედ იგივე დანაშაული ჩაიდინა ხელახლა აღძრული განზრახვის საფუძველზე, თანაც სულ სხვა სუბიექტის ზემოქმედების შედეგად. ამიტომ მოცემულ შემთხვევაში წამქეზებელს, რომელმაც ნებაყოფლობით გადაიფიქრებინა ამსრულებელს თავდაპირველი განზრახვა, ჩადენილი დანაშაული ბრალად ვერ შეეარაცხება. ამგვარად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის აქ წარმოდგენილმა ახალმა ფორმულირებამ, მიუხედავად იმისა, რომ მასში დამხმარის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღღების სპეციფიკა საგანგებოდ ცალკე არ არის გამოყოფილი, შეუძლებელია სიძნელე ან გაუგებრობა წარმოშვას სასამართლო პრაქტიკისათვის. გარდა ამისა, იგი საცესები მისაღებია საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისითაც.

გარდა ამ დოგმატური ხასიათის მოსაზრებებისა, სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე მოსაზრებებსაც. საქართველოს სსრ სსკ მე-18 მუხლი მნიშვნელოვანი პრევენციული ფუნქციის მატარებელია. მისი მე-2 ნაწილის დებულება ერთგვარად კვეცს ამ ფუნქციის ფარგლებს. იგი დამხმარეს უკარგავს იმის სტიმულს, რომ იმოქმედოს დანაშაულში დამხმარების სახით შეტანილი თავისი წვლილის უკან დასაბრუნებლად, შეუძლებელი გახადოს აღმოჩენილი დამხმარების გამოყენება დანაშაულებრივი მიზნით. დამხმარის აღნიშნულ ქმედობას კი აქვს ორგვარი პოზიტიური მნიშვნელობა — ჯერ ერთი, დამხმარე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ამი ასუსტებს ამსრულებლის ნებას, მიმართულს დანაშაულის ჩასადენად, არყვეს მის თვითდაჯერებას, უღვივებს წარუმატებლობის რწმენას, მეორეც ის, რომ ობიექტურად ართულებს და აძნელებს დანაშაულის ჩადენას, ამსრულებელს უქმნის მისთვის მოულოდნელ დაბრკოლებას, რაც რეალურად ზრდის დანაშაულის თავიდან აცილების შანსს.



ამრიგად, დამხმარის ქმედობა, თუ მან ნებაყოფლობით აიცილა თავიდან მის მიერ აღმოჩენილი დახმარების გამოყენება დანაშაულის ჩასადენად, უნდა ჩაითვალოს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად, თუნდაც ამსრულებელმა სხვა საშუალებებით ბოლომდე მიიყვანოს დანაშაული. ამ შემთხვევაში დამხმარეს პასუხისმგებლობა ვერ დაეკისრება აგრეთვე დანაშაულის მომზადებისათვის, ვინაიდან დახმარებით გამოხატული მისი ადრინდელი ქმედობა არაკუთხალურია ჩადენილი დანაშაულის მიმართ. მეორეც ის, რომ მან თვითონვე, თავისი ნებით, უგნებლყო ამსრულებლისათვის მისგან აღმოჩენილი დახმარება, ვიდრე ეს უკანასკნელი გამოყენებული იქნებოდა დანაშაულის ჩასადენად. მან შეიძლება პასუხი აგოს მხოლოდ ამ დანაშაულის განუცხადებლობისათვის, თუ საამისოდ არსებობს კანონით გათვალისწინებული ყველა სხვა აუცილებელი პირობაც.

დამხმარის მიერ დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების ისეთ შემთხვევებში, როდესაც ამსრულებელმა მისგან დამოუკიდებლად ბოლომდე მიიყვანა დანაშაული, ასეთი დამხმარის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისათვის უნდა ვიხელმძღვანელოთ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-16 მუხლით, და არა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით. ამ ორ ნაწილს შორის არსებული კოლიზია მთლიანად გამორიცხავს საქ. სსრ სსკ-ის მე-18 მუხლის გამოყენების შესაძლებლობას განხილულ შემთხვევებში.

ამრიგად, დამხმარის ქმედობა, როდესაც მან ნებაყოფლობით აიცილა თავიდან მის მიერ აღმოჩენილი დახმარების გამოყენება დანაშაულის ჩასადენად, უნდა ჩაითვალოს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად, თუნდაც ამსრულებელმა მისგან დამოუკიდებლად ბოლომდე მიიყვანოს დანაშაული. დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო მას პასუხისმგებლობა ვერ დაეკისრება აგრეთვე დანაშაულის მომზადებისათვის. მან შეიძლება პასუხი აგოს მხოლოდ მოცემული დანაშაულის განუცხადებლობისათვის, თუ საამისოდ არსებობს კანონით გათვალისწინებული პირობები. მიზანშეწონილია დროულად გასწორდეს ის წინააღმდეგობანი, რომლებსაც ქმნის საქართველოს სსრ სსკ მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი, ეს ხელს შეუწყობს ამ საკანონმდებლო ნორმის საგარანტიო და პრევენციული ფუნქციების გაფართოება-გაძლიერებას, სასამართლო პრაქტიკის სწორად წარმართვას, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას.



# გეგმვის შეხიკვის წინააღმდეგ ბრძოლის საპარტიო-საპროლეტარული საშუალებანი

დ. კუპრევილი

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული ეკონომიკური და სოციალური პროგრამის განხორციელებაში. კიდევ უფრო განმტკიცდა ქვეყნის საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი. ყველაფერი ეს დამაჯერებლად გვიჩვენებს მეურნეობის სოციალისტური გეგმიანი სისტემის უპირატესობას. ამიტომ არის, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფო გეგმის როლის შემდგომ ამაღლებას, რომელიც წარმოადგენს პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის უმნიშვნელოვანეს საშუალებას. დარგთშორისი და შიდადარგობრივი პროპორციულობის სრულყოფის და ეკონომიკის შეწონასწორებული ზრდის წყალობით თვისებრივად ახალ დონეზეა აყვანილი დაგეგმვის შინაარსი, რამაც უზრუნველყო პერსპექტიული გეგმების როლის გაძლიერება, მეცნიერულად დასაბუთებული ტექნიკურ-ეკონომიკური ნორმებისა და ნორმატივების სისტემების დანერგვა.

სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს. ამ მოწოდების უზრუნველსაყოფად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შრომითი და მატერიალური რესურსების ყაიროთიან გამოყენებას. ეს არის დაძაბული სახელმწიფო გეგმების უთუო შესრულების აუცილებელი პირობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს, რომ უზრუნველვყოთ გადამწყვეტი შემობრუნება სახალხო მეურნეობის გადაყვანაში ინტენსიური განვითარების რელსებზე, მოკლე ვადაში მივაღწიოთ ყველაზე მოწინავე მეცნიერულ-ტექნიკურ პოზიციებს, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების უმაღლეს მსოფლიო დონეს. ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის აუცილებელია შეუპოვრად სრულვყოთ სამეურნეო მექანიზმი და მართვის მთელი სისტემა, გავაფართოვოთ საწარმოთა უფლებები, ავამაღლოთ მათი დამოუკიდებლობა და პასუხისმგებლობა, გავაძლიეროთ მათი დაინტერესება მუშაობის საბოლოო შედეგებით.



საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შვეარდნაძემ თავის სიტყვაში თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის კრებაზე ამომწურავად განმარტა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე პირობებში სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის სახელმწიფო საგეგმო დავალებათა სტაბილურობას, სახელშეკრულებო და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებას, საქმისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერებას. „გეგმა, — თქვა მან, — კანონია, და ეს უბრალო ფრაზა კი არ არის, კატეგორიული მოთხოვნაა და მისი უგულებელყოფის, მისდამი ზერელე დამოკიდებულების უფლება არავის აქვს. ამისათვის პასუხი უნდა აგოს ყველამ, იქნება იგი საამქროს უფროსი, საწარმოს თუ გაერთიანების ღირექტორი, მინისტრი თუ პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი“<sup>1</sup>.

ამჟამად ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტიული გეგმების შედგენა ხდება შემდეგნაირად: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი და სსრ კავშირის სახმშენი შეიმუშავენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 20 წლის (ხუთწლედების მიხედვით) კომპლექსურ პროგრამას, რომელსაც წარუდგენენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი მის საფუძველზე ადგენს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა პროექტს ათი წლისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით, მისი მოწონების შემდეგ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი განსაზღვრავს ძირითადი მაჩვენებლებისა და ეკონომიკური ნორმატივების საკონტროლო ციფრებს მომავალი ხუთწლედისათვის წლების მიხედვით და აცნობს მათ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მორიგი ხუთწლედის დაწყებამდე ერთი წლით ადრე. სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები უზრუნველყოფენ გაერთიანებებისათვის, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის საკონტროლო ციფრების გაცნობას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტიდან მათი გადმოგზავნის შემდეგ ერთი თვის მანძილზე.

საკონტროლო ციფრების საფუძველზე გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები შეიმუშავენ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი გეგმების პროექტებს, ამასთან ისინი გამსაღებელ ორგანიზაციებთან ერთად ეწევიან წინასწარ მუშაობას მიმწოდებლებთან და მომხმარებლებთან, რათა განსაზღვრონ პროდუქციის ნომენკლატურა (ასორტიმენტი) სამეურნეო ხელშეკრულების დასადებად. საწარმოების მიერ საკონტროლო ციფრების საფუძველზე შედგენილი პროექტების მიხედვით სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები შეიმუშავენ შესაბამისი დარგისა და რესპუბლიკის მიხედვით ხუთწლიანი გეგმების პროექტებს და წარუდგენენ მას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, რომელიც, თავის მხრივ, ამ პროექტების გათვალისწინებით შემუშავებს

<sup>1</sup> გაზ. „კომუნისტი“, № 8 1983 წლის 11 იანვარი.



შავებულ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების შეწონასწორებულ სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის პროექტს წარუდგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის დადგენილებაში „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“ ნათქვამია, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა უნდა „ამაღლოს მომთხოვნელობა სამინისტროებისა და უწყებების მიერ შემუშავებული ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტების ხარისხისადმი, დაუბრუნოს მათ დასახვეწად გეგმების პროექტები, რომლებიც არ შეესაბამება ამ დადგენილების დებულებებს. სამინისტროებმა და უწყებებმა კი, თავის მხრივ, უნდა დაუზავანონ გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს ყველა მაჩვენებლის გეგმები (მათ შორის, მატერიალური ტექნიკური რესურსებისა) არა უგვიანეს თვე-ნახევრით ადრე, სანამ საგეგმო წელი დაიწყებოდეს“<sup>2</sup>.

კანონმდებლობით, საწარმოს საგეგმო დავალება შეიძლება შეცვალოს ზემდგომმა ორგანომ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და საწარმოს ადმინისტრაციასთან მისი წინასწარი განხილვის შემდეგ, ეს ნორმა მიზნად ისახავს საგეგმო დავალებათა სტაბილურობის უზრუნველყოფას, რომელზეც, თავის მხრივ, დამოკიდებულია საწარმოსა თუ გაერთიანების წარმატებით მუშაობა, აგრეთვე მუშებისა და მოსამსახურეების მატერიალური წახალისების მთელი სისტემის ეფექტიანობა.

როგორც აქედან ჩანს, საწარმოს პერსპექტიული საწარმოო გეგმების შედგენისას აქვს გარანტირებული ფართო უფლებები, რაც საშუალებას იძლევა მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული საწარმოო სიმძლავრეთა რეალური შესაძლებლობანი.

მიუხედავად ამისა, საქართველოს სსრ სამეურნეო ორგანოების პრაქტიკის ანალიზი მოწმობს, რომ არცთუ იშვიათია გეგმების კორექტირება მათი შემცირების მიზნით, საწარმოებისა და გაერთიანებების მუშაობის ფაქტობრივი შედეგების მიხედვით ამ გეგმების მორგების გზით.

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის დადგენილების მიღების შემდეგ გამწვავდა ბრძოლა გეგმების შემცირების ასეთი არასასურველი პრაქტიკის წინააღმდეგ. შესაბამის ორგანოებს დაევალიათ უზრუნველყონ „საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) და ორგანიზაციებისათვის დამტკიცებული წლიური და კვარტალური გეგმების სტაბილურობა, ამასთან არ დაუშვან გეგმის შესწორება-შემცირება, მისი შესრულების ფაქტობრივ დონესთან გათანაბრების მიზნით.

დადგინდეს, რომ ასეთ შესწორება-შემცირებათა დაშვებისას სამინისტროების, უწყებებისა და მართვის სხვა ორგანოების ხელშეწყობები, რომელთა ნებართვითაც შემცირდა საგეგმო დავალებანი, დადგენილი წესის მიხედვით

<sup>2</sup> სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის დადგენილება „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ.“ თბ., 1979, გვ. 34.



მიეცემიან დისციპლინურ და მატერიალურ პასუხისგებაში, ხოლო გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელი მუშაკები კარგავენ პრემიას სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის მთლიანად ან ნაწილობრივ, მაგრამ არანაკლებ ორმოცდაათი პროცენტის ოდენობით<sup>3</sup>.

ეს სანქცია მხოლოდ მაშინ იქნება ეფექტიანი, თუ იგი განუხრებლად განხორციელდება.

ბოლო ხანს რესპუბლიკაში შემცირდა წლიური საწარმოო გეგმების შემცირების ფაქტები, რაც უნდა აიხსნას საგეგმო დისციპლინის განმტკიცებისათვის განხორციელებული ღონისძიებებით. მიუხედავად ამისა, კვლავ გრძელდება მანკიერი პრაქტიკა შემცირების მიზნით გეგმების კორექტირებისა, რაც შრომითს კოლექტივებში ქმნის დაძაბულ ვითარებას. მაგალითად, 1983 წელს 243 საწარმომ შეამცირა წარმოების ზრდის ტემპი, მათ 72,7 მილიონი მანეთით ნაკლები პროდუქცია გამოუშვეს. 1984 წლის პირველ კვარტალში მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ პროდუქციის გამოშვების გეგმა შეამცირა 10 მილიონი მანეთით. ამასთან ეს იმით დაასაბუთა, რომ მის გამოშვებას გაადიდებდა მომდევნო კვარტალებში. საჭირო არ არის იმის მტკიცება, თუ რაოდენ უარყოფით ვავლენას მოახდენს ეს მყიდველთა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ფულის მიმოქცევის პროცესზე.<sup>4</sup>

1984 წლის პირველ კვარტალში შემცირების მიზნით გეგმების კორექტირების 37 შემთხვევას ჰქონდა ადგილი, სულ კი 1984 წლის პირველ ნახევარში გეგმების კორექტირების შედეგად სახელმწიფოს დააკლდა 186 მილიონი მანეთი, ხოლო მესამე კვარტალში საწარმოო გეგმა ვერ შეასრულა 37 საწარმომ, რომლებმაც სახელმწიფოს დააკლეს 34,8 მილიონი მანეთი.<sup>5</sup> ჩამორჩენილთა რიგებშია ქალაქ თბილისის ს. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანა, რომელმაც წლიური გეგმა შეამცირა 2,8 მილიონი მანეთით, ქალაქ თბილისისა და რუსთავის ფოლად-თუქსამსხმელო ქარხნები, რომლებმაც წლიური გეგმა შეამცირეს შესაბამისად ასი ათასი და ორას ოცდაათი ათასი მანეთით. „საქნავთობისა“ და რუსთავის „აზოტის“ საწარმოო გაერთიანებები და სხვა.

სამწუხაროა, რომ ზოგიერთი საწარმო კორექტირებულ მიჯნებსაც ვერ სძლეოს. ეს, უპირველესად, ეხება თბილისის გზის აპარატურის, რუსთავის „აზოტისა“ და „ქიმიური ბოჭკოს“ საწარმოო გაერთიანებებს და სხვა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე 1984 წლის 15 მაისს აღინიშნა, რომ ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელები ცდილობენ სახელმწიფო დავალებათა შეუსრულებლობა სხვადასხვა ობიექტური მიზეზით გაამართლონ, მაგრამ ეს მიზეზები ვადამწყვეტი არ არის საწარმოო რიტმის განსაზღვრაში და ამიტომ ვერ გამოდგება გეგმების სისტემატური შეუსრულებლობის, მათი შემცირება-შესწორების გასამართლებლად. პირიქით, უფრო ხშირად სახელმწიფო დავალებების შეუსრულებლობის მიზეზია საწარმოს არასტაბილური მუშაობა, ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევა, საწარმოო და შრომის დისციპლინის დარღვევა.<sup>6</sup>

<sup>3</sup> იქვე, გვ. 35.

<sup>4</sup> გაზ. „კომუნისტი“, № 62 1983 წლის 16 მარტი, გაზ. „კომუნისტი“ № 115, 1984 წლის 18 მაისი.

<sup>5</sup> გაზ. „კომუნისტი“ № 181, 1984 წლის 7 აგვისტო.

<sup>6</sup> გაზ. „კომუნისტი“ № 115, 1984 წლის 18 მაისი.



ეს შეიძლება არ მომხდარიყო, დროულად რომ აღმოფხვრილიყო მათი გამომწვევი მიზეზები.

შეუწყნარებელია მუშაობის ისეთი მანკიერი პრაქტიკა, როცა სამეურნეო ხელმძღვანელები შექმნილი სიძნელების გამო საანგარიშო თვის თუ წლის ბოლო დღეებში იწყებენ გაძლიერებულ ზრუნვას გეგმების კორექტირებისათვის, რასაც ზოგჯერ მათი შეუსრულებლობა მოსდევს. ასე მოხდა ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში. აქ 1984 წლის აგვისტოს თვის ბოლოს კვლავ დაიწყეს ზრუნვა ერთხელ უკვე კორექტირებული გეგმის კიდევ უფრო შემცირებისათვის. ამის შედეგად გაერთიანებამ თვის დავალება მხოლოდ 92,5 პროცენტით შეასრულა<sup>7</sup>.

ქ. თბილისის პატონის სახელობის ელექტრომესადულებელი მოწყობილობების ქარხანაში 1983 წლის დეკემბერში შემცირებულ იქნა სასაქონლო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმა 1.300 მანეთით, ხოლო საწარმოს ხელმძღვანელობამ სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის პრემიის სახით მიიღო რვაას სამოცდასამი მანეთი, ე. ი. საწარმოს ხელმძღვანელობის მიმართ არ იქნა გამოყენებული 1979 წლის 12 ივლისის დადგენილების მოთხოვნა იმის შესახებ, რომ გეგმების შემცირების შემთხვევაში საწარმოს ხელმძღვანელობა კარგავს პრემიას მთლიანად ან ნაწილობრივ, არანაკლებ 50 პროცენტის ოდენობით. მაშასადამე, საკავშირო საწარმოო გაერთიანება „საკელექტროთერმის“ ხელმძღვანელობამ, რომლის ნებართვითაც გაიცა პრემია სრული ოდენობით, უხეშად დაარღვია კანონი.

ამ მხრივ, უფრო მოწესრიგებულია მდგომარეობა თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაში, სადაც 1984 წლის იანვრის სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის ხელმძღვანელ მუშაკებს დაქვეითათ გაცემული პრემიების 50 პროცენტი გეგმების შემცირებისათვის.

საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა დიდი ნაწილი გეგმების კორექტირებას ახდენს რესპუბლიკის ორგანოებთან შეუთანხმებლად, რასაც დეზორგანიზაცია შეაქვს ეკონომიკის მართვის ერთიან პროცესში და ხელს უშლის კონკრეტული სამეურნეო სიტუაციის ობიექტურ შეფასებას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1983 წლის 12 მარტს მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით საგეგმო დავალებათა შემცირების მხრივ კორექტირების დაუშვებლობის შესახებ“, რომელშიც პირდაპირ არის აღნიშნული:

„1. აეკრძალოთ საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დამტკიცებული გეგმების კორექტირება შემცირების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვის გარეშე, ხოლო საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ დამტკიცებული მაჩვენებლების მიხედვით — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ნებართვის გარეშე.

2. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებს საგეგმო დავალებათა კორექტირებასთან დაკავშირებული

7. გაზ. „ქუთაისი“ № 207, 1984 წლის 27 ოქტომბერი.



საკითხები შესაბამის საკავშირო სამინისტროებში შეუძლიათ შეიტანონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წინასწარი განხილვის შემდეგ.<sup>8</sup>

მაშასადამე, დადგენილებაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ დაუშვებელია საკავშირო სამინისტროებისა და უწყებათა მიერ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთათვის გეგმების შემცირება, საკითხის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წინასწარ განუხილველად. მაგრამ ასეთი შემთხვევები ხშირად ხდება საქართველოს სსრ საწარმოების მუშაობის პრაქტიკაში. მაგალითად, საკავშირო საწარმოო გაერთიანება „საკელექტროთერმის“ ხელმძღვანელობამ თბილისის პატონის სახელობის ელექტროშესადღულებელი მოწყობილობების ქარხანას 1983 წლის დეკემბერში შეუმცირა პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში საკითხის წინასწარი განხილვის გარეშე. ყოვლად გაუმართლებელია, როცა სამეურნეო ხელმძღვანელები გეგმების შემცირების მიზნით კორექტირებას ვერ ასაბუთებენ ზუსტი ეკონომიკური განგარიშებით, რასაც შედეგად მოსდევს შემცირებული გეგმების მნიშვნელოვანი გადაჭარბებებით შესრულება. მაგალითად, ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ 1984 წლის მეორე კვარტალში შემცირების მიზნით კორექტირება გააკეთა 185 ათას მანეთზე, ხოლო კვარტლის შედეგების მიხედვით მიიღო ერთი მილიონ ოთხმოცდათერთმეტი ათასი მანეთის გადაჭარბება.<sup>9</sup>

იმისათვის, რომ სამართალმა წარმატებით შეასრულოს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ამოცანა, საჭიროა სამართლებრივი ნორმა ზუსტად და განუხრელად ხორციელდებოდეს ყველას მიერ და ყველგან, რაც აუცილებელია იმ ეკონომიკური ეფექტიანობის მისაღწევად, რისთვისაც გამიზნულია სამართლებრივი ნორმა.

<sup>8</sup> საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 12 მარტის № 133 დადგენილება. „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი“ .1983 წ. მარტი, თბ., გვ. 128.

<sup>9</sup> გაზ. „ქუთაისი“ № 207, 1984 წლის 27 ოქტომბერი.



# სიხლე სასჯელთა სისხლში

## დ. ჯულუხაძე

1. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლს, რომელშიც მოცემულია სასჯელთა სისტემა, დაემატა სასჯელის ახალი სახეობა, შრომა-ალმზრდელობითს პროფილაქტორიუმში გაგზავნა. სასჯელის ეს სახეობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მაწანწალობის, მათხოვრობის ან სხვაგვარი პარაზიტული ცხოვრებისათვის მსჯავრდადებულ პირთა მიმართ. ამ ქმედობებისათვის კი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 234-ე მუხლი.

თავდაპირველად, როცა პარაზიტული ცხოვრებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა შემოიღეს, სასჯელის სახეობად განსაზღვრული იყო თავისუფლების აღკვეთა ან გადასახლება. შემდეგში გადასახლება გამასწორებელი სამუშაოებით შეიცვალა. ამ ბოლო წლებში კი დაისვა საკითხი ამ კატეგორიის მსჯავრდადებულებისათვის განსხვავებული სახის სასჯელის შემოღების შესახებ.

1983 წლის 1 იანვრიდან სამოქმედოდ იქნა შემოღებული შრომა-ალმზრდელობითს პროფილაქტორიუმში გაგზავნა, როგორც სასჯელის სახეობა<sup>1</sup>. ამასთან, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 33<sup>1</sup>-ე მუხლი, რომელშიც განსაზღვრულია ვის მიმართ და რა შემთხვევაში შეიძლება ან არ შეიძლება ამ სასჯელის გამოყენება<sup>2</sup>.

სისხლის სამართლის კოდექსის 33<sup>1</sup>-ე მუხლით, სასამართლოს, შრომა-ალმზრდელობითს პროფილაქტორიუმში გაგზავნა შეუძლია გამოიყენოს, თუ იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს, პარაზიტული ცხოვრებისათვის მსჯავრდებულს, თავისუფლების აღკვეთა შეუცვალოს პროფილაქტორიუმში გაგზავნით. სასჯელის სახეობისა და ზომის სწორად შერჩევა კი სასამართლოს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ცნობილია, რომ მსჯავრდადებულები სხვადასხვაგვარად აღიქვამენ

<sup>1</sup> იხ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, თბ., 1982 წ., № 12, მუხლი 371.

<sup>2</sup> შრომა-ალმზრდელობითს პროფილაქტორიუმში მსჯავრდადებულის გაგზავნის წინამორბედად შეიძლება მივიჩნიოთ თურქმენეთისა და უზბეკეთის სს რესპუბლიკებში არსებული სპეციალური სასწავლო-შრომითი დაწესებულებები, რომელშიც მათხოვრობის ან მაწანწალობისათვის დაკავებულთ აგზავნიდნენ. მაწანწალობის ან მათხოვრობისათვის დაკავებული სრულწლოვანი, შრომისუნარიანი მოქალაქეები სასამართლოს დადგენილებით, ამ დაწესებულებაში იგზავნებოდნენ ერთიდან ორ წლამდე, შრომაში ჩასაბმელად და საწარმოო სპეციალობის მისაღებად. სასწავლო-შრომით დაწესებულებაში გაგზავნა არ იყო სისხლის სამართლებრივი სასჯელი. იგი ადმინისტრაციული ხასიათის ღონისძიება იყო და პიროვნებას აქ შრომა შრომით სტაჟში ეთვლებოდა. თურქმენეთისა და უზბეკეთის სს რესპუბლიკებში მოქალაქეს, მათხოვრობის ან მაწანწალობისათვის იმ შემთხვევაში აძლევდნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში თუ აღნიშნული დაწესებულებიდან განთავისუფლების შემდეგ კვლავ ვაგრძელებდა პარაზიტულ ცხოვრებას. (იხ. Самороков В. И. Ответственность за бродяжничество по советскому уголовному праву, М., 1974, с. 118—119, Дисс.).



და განიცდიან სასჯელს. ამავე დროს ისინი სხვადასხვა ნებისყოფისანი არიან. ამიტომ, მსჯავრდადებულის აღზრდა-გამოსწორებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია, როგორც სასჯელის სახეობის, ისე მისი ზომის სწორი განსაზღვრა.

„სასამართლო, აფასებს რა დანაშაულის ჩადენის ყველა გარემოებას, წერს ლ. პროხოროვი, სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისების შესაბამისად თითქოს წინასწარ განჭვრეტს დამნაშავეს მომავალ ქცევას და უსაზღვრავს მას ისეთ სასჯელს, რომელიც აუცილებელია ამ ქცევის საზოგადოებრივად სასარგებლოდ წარმართვისათვის“<sup>3</sup>. სასჯელის სახეობისა და ზომის შერჩევისას სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც თვით დანაშაულის ხასიათსა და საშიშროებას, ისე ბრალეულის სოციალურ სახეს, მის საზოგადოებრივ საშიშროებას, ნასამართლობას და ა. შ. მით უმეტეს, როცა საქმე ეხება თავისუფლების აღკვეთის. შეცვლის მიზანშეწონილობას შრომა-აღმზრდელობით პროფილაქტორიუმში გაგზავნით.

2. შრომა-აღმზრდელობით პროფილაქტორიუმში მსჯავრდადებულის გაგზავნის საკითხთან დაკავშირებით ი. კარპეცი წერს: „მაწანწალობის, მათხოვრობის ანდა სხვაგვარი პარაზიტული ცხოვრებისათვის მსჯავრდადებული პირები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გაიგზავნონ შრომა-აღმზრდელობით პროფილაქტორიუმში, თუ განაჩენში ეს პირდაპირ არის მითითებული ანდა სასამართლო დამნაშავეს თუ უნიშნავს ერთიდან ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთას“<sup>4</sup>. ჩვენი აზრით კომენტარი ზუსტი არ არის.

კანონის ტექსტიდან გამომდინარე (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 33<sup>1</sup>-ე მუხლი), სასამართლოს არ შეუძლია „პირდაპირ“, უშუალოდ, თავისუფლების აღკვეთის ვადის მიუთითებლად განუსაზღვროს მსჯავრდადებულს სასჯელის სახედ შრომა-აღმზრდელობით პროფილაქტორიუმში გაგზავნა. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 33<sup>1</sup>-ე მუხლით (რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 34<sup>1</sup>-ე მუხლი), იმ პირისათვის სასჯელის დანიშვნისას, რომელიც მსჯავრდადებულია მაწანწალობის, მათხოვრობის ანდა სხვაგვარი პარაზიტული ცხოვრებისათვის თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ორ წლამდე, სასამართლოს, საქმის გარემოებათა და ბრალეულის პიროვნების გათვლისწინებით, შეუძლია თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად სასჯელის სახედ გამოიყენოს შრომა-აღმზრდელობით პროფილაქტორიუმში გაგზავნა იმავე ვადით.

როგორც ვხედავთ, მსჯავრდადებულის შრომა-აღმზრდელობით პროფილაქტორიუმში გაგზავნისას სასამართლომ უპირველესად მას სასჯელის სახეობად თავისუფლების აღკვეთა უნდა შეურჩიოს და შემდეგ შეიძლება შეუცვალოს იგი შრომა-აღმზრდელობით პროფილაქტორიუმში გაგზავნით. ამასთან, თავისუფლების აღკვეთის ვადა არ უნდა იყოს ერთ წელზე ნაკლები და ორ წელზე უკეთესი. სასამართლოს, პირდაპირ შრომა-აღმზრდელობით პროფილაქტორიუმში მსჯავრდადებულის გაგზავნის უფლება იმ შემთხვევაში ექნებოდა, იგი სისხლის სამართლის კოდექსის 234-ე მუხლის სანქციაში რომ იყოს შეტანილი, ანდა 33<sup>1</sup>-ე მუხლი რომ არ შეიცავდეს ზემოთ აღნიშნულ შეზღუდვას.

<sup>3</sup> Прохоров Л. А. Общие начала назначения наказания и предупреждения рецидивной преступности, Омск, 1980, с. 4—5.

<sup>4</sup> Комментарий к уголовному кодексу РСФСР, М., 1984, с. 76.



შრომა-აღმზრდელობითს პროფილაქტორიუმში გაგზავნა, როგორც სასჯელის სახეობა, სწორედ იმ თავისებურებით განსხვავდება ყველა სხვა ძირითადი სასჯელისაგან, რომ იგი გათვალისწინებული არ არის იმ ერთადერთი მუხლის სანქციაში, რომლის ჩამდენთათვისაც შემოიღეს.

კანონმდებელმა იმით, რომ არ შეიტანა სასჯელის ახალი სახეობა 234-ე მუხლის სანქციაში, საბოლოოდ არ გაანთავისუფლა მსჯავრდადებული თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან. 331-ე მუხლით — მსჯავრდადებულს, რომელიც სასჯელს იხდის შრომა-აღმზრდელობითს პროფილაქტორიუმში, სამუშაოსაგან თავის არიდების, დისციპლინის ან ქცევის დადგენილი წესების ბოროტი ან სისტემატური დარღვევისათვის შრომა-აღმზრდელობითი პროფილაქტორიუმის ადმინისტრაციის წარდგინებით სასამართლო თავისი განჩინებით შრომა-აღმზრდელობითს პროფილაქტორიუმში ყოფნის მოუხდელ ვადას შეუცვლის იმავე ვადით თავისუფლების აღკვეთით.

საერთოდ კი, უმჯობესი იქნებოდა, შრომა-აღმზრდელობითს პროფილაქტორიუმში გაგზავნა სისხლის სამართლის კოდექსის 234-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქციაში რომ ყოფილიყო გათვალისწინებული. ვინაიდან, სასამართლოები ყველაზე ხშირად სასჯელის იმ სახეობას უსაზღვრავენ მსჯავრდადებულს, რომელსაც უშუალოდ ითვალისწინებს ამა თუ იმ მუხლის სანქცია. პრაქტიკაში იშვიათია იმ სახეობის სასჯელზე გადასვლა, რომელიც თვით მუხლით არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს სსრ სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ დაგვანახვა, რომ პარაზიტული ცხოვრებისათვის მსჯავრდადებულთა მიმართ, სასამართლოები უმრავლეს შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთას მიმართავენ. თუმცა სისხლის სამართლის კოდექსის 234-ე მუხლის სანქცია გამასწორებელ სამუშაოებსაც ითვალისწინებს. რაც შეეხება სხვა, უფრო მსუბუქ სასჯელზე გადასვლას ანდა პირობით მსჯავრდებლას, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოები მათ საერთოდ არ მიმართავენ.

ვფიქრობთ, ახალი სახის სასჯელის შეტანა 234-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქციაში ხელს შეუწყობს სასამართლოების მიერ მის ფართოდ გამოყენებას. ეს კი თავის მხრივ უზრუნველყოფს სასჯელის ინდივიდუალიზაციის უკეთესად განხორციელებას.

3. შრომა-აღმზრდელობითს პროფილაქტორიუმში სასჯელის მოხდის ვადა კანონით ერთიდან ორ წლამდეა განსაზღვრული. ეს იმით არის გამოწვეული, რომ პარაზიტული ცხოვრებისათვის მსჯავრდადებულთა გამოსასწორებლად შრომა-აღმზრდელობითს პროფილაქტორიუმში სათანადო პირობების შექმნის გარდა გარკვეული დროც არის საჭირო.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ძალზე ძნელია მოკლე დროში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის თავის ამრიდებელთა ხელახლა შრომითი აღზრდა. მოკლე ვადით თავისუფლების აღკვეთისას შრომა-გასწორების დაწესებულებები ვერ ასწრებენ სათანადო ზემოქმედება მოახდინონ მსჯავრდადებულზე. ამასთან დაკავშირებით ი. ბიშეცკი წერს: „მაწანწალობის, მათხოვრობის და მუქთახორობის სოციალურ-ფსიქოლოგიური მექანიზმის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ამ ქმედობათა ჩადენასთან ახლავს პიროვნების არსებითი დეგრადაცია... მათ შორის დიდია რიცხვი ალკოჰოლიკებისა... ბუნებრივია, რომ მათი გამოსწორება საჭიროებს ხანგრძლივ



შრომა-აღმზრდელობითს ზემოქმედებას. რაც უფრო ხანგრძლივია და ღრმა პიროვნების დეგრადაციის პროცესი, მით მეტი დროა საჭირო მათ გამოსასწორებლად<sup>5</sup>.

ი. ბიშევსკის ამ შეხედულებას უნდა დავეთანხმოთ. მართლაც, სამი ან ექვსი თვით შრომა-აღმზრდელობითს პროფილაქტორიუმში მსჯავრდადებულის გაგზავნა ალბათ ვერ მოგვცემს იმ შედეგს, რაც სასჯელის ამ სახეობის შემოღებას აქვს მიზნად, კერძოდ, მსჯავრდადებულის შრომითი აღზრდა, შრომისა და ცხოვრების ელემენტარული ჩვევების გამომუშავება.

4. სისხლის სამართლის კოდექსის 33<sup>1</sup>-ე მუხლით შემოსახლდრეულია იმ მოქალაქეთა წრე, რომლებმაც 234-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩადინეს, მაგრამ სასამართლო მათ თავისუფლების აღკვეთას ვერ შეუცვლის შრომა-აღმზრდელობითს პროფილაქტორიუმში გაგზავნით. კერძოდ, ეს სასჯელი არ გამოიყენება:

1. განსაკუთრებით საშიში რეციდივისტების მიმართ;

2. იმ პირთა მიმართ, რომლებიც წინათ მსჯავრდადებული იყვნენ განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის (65-74-ე მუხლები); ბანდიტიზმისათვის (78-ე მუხლი); სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის ქურდობის ან გაძარცვის გზით (91-ე და 92-ე მუხლები); ყაჩაღობისათვის სახელმწიფო, საზოგადოებრივი ქონების ან მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით (96-ე, 152-ე მუხლები); განზრახვი მკვლელობისათვის (104-ე, 105-ე მუხლები, 258-ე მუხლის „გ“ პუნქტი); სხეულის განზრახვით დაზიანებისათვის (110-ე მუხლი); გაუპატიურებისათვის, რაც ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ, ანდა არასრულწლოვანის გაუპატიურებისათვის, ანდა გაუპატიურებისათვის, რომელსაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა, აგრეთვე მცირეწლოვანის გაუპატიურებისათვის (117-ე მუხლის მესამე და მეორხე ნაწილები); განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობისათვის (228-ე მუხლის მესამე ნაწილი); მაწანწალობის, მათხოვრობის ან სხვაგვარი პარაზიტული ცხოვრებისათვის (234-ე მუხლი); ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცებისათვის (240-ე მუხლი); ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცებისათვის (252<sup>1</sup> მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილები);

3. მსჯავრდადებული უცხოელი მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ.

სისხლის სამართლის კოდექსის 33<sup>1</sup>-ე მუხლის მესამე ნაწილის 1 და 2 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა სავსებით გამართლებულია, ვინაიდან, აღრე მსჯავრდადებულმა პირებმა შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა იქონიონ შრომა-აღმზრდელობითს პროფილაქტორიუმში გაგზავნილ მსჯავრდადებულებზე.

33<sup>1</sup>-ე მუხლით, სასჯელი შრომა-აღმზრდელობითს პროფილაქტორიუმში გაგზავნის სახით არ გამოიყენება აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომლებიც წინათ გაგზავნილი იყვნენ შრომა-აღმზრდელობითს პროფილაქტორიუმში (პროფილაქტორიუმრიდან განთავისუფლების დღიდან 3 წლის განმავლობაში). მართლაც, თუკი შრომა-აღმზრდელობითი პროფილაქტორიუმიდან განთავისუფლე-

<sup>5</sup> Бишевский Ю. В. Изменения в законодательстве о борьбе с туеядством и предупреждение краж. В кн.: Уголовно-правовые средства борьбы с преступностью, Омск, 1983, с. 54.



ბული პირი კვლავ გააგრძელებს ცხოვრების იმავე გზას, რისთვისაც პასუხი ავებინეს, ხელმეორედ მისი გაგზავნა პროფილაქტორიუმში მართლაც არ შეიძლება მიზანშეწონილი იყოს. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ 33<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული ეს შეზღუდვა უტოლდება ნასამართლობის შენარჩუნებას სასჯელის მოხდის შემდეგ, რაც ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის კოდექსის 57-ე მუხლს. ამ მუხლით, ნასამართლობის არმქონედ ითვლებიან ის პირნი, რომლებმაც სასჯელი მოიხადეს შრომა-აღმზრდელობითს პროფილაქტორიუმში ან ვადამდე განთავისუფლდნენ იქიდან.

ნასამართლობა, როგორც ცნობილია, არის სასამართლოს მიერ მოქალაქისათვის მსჯავრის დადების სამართლებრივი შედეგი. იგი ვლინდება მსჯავრდადებულის უფლებების კანონით დადგენილ შეზღუდვაში. ნასამართლობის გაქარწყლების და მოხსნის მიზანი ის არის, რომ სასჯელმოხდის საბოლოოდ აღუდგინოს წინანდელი უფლებრივი მდგომარეობა, ნასამართლობის გაქარწყლება ან მოხსნა სპობს მსჯავრის სამართლებრივ შედეგებს<sup>6</sup>. 33<sup>1</sup>-ე მუხლით კი, მსჯავრის სამართლებრივი შედეგი ფაქტობრივად არ ისპობა იმ შემთხვევაში, თუ შრომა-აღმზრდელობითი პროფილაქტორიუმიდან განთავისუფლებული მოქალაქე კვლავ იქნება მსჯავრდადებული პარაზიტული ცხოვრებისათვის<sup>7</sup>.

5. თუ ვიხელმძღვანელებთ სისხლის სამართლის კოდექსის 57-ე მუხლის ზემოთ აღნიშნული მოთხოვნით, იმან, ვინც პროფილაქტორიუმიდან განთავისუფლების შემდეგ მაწანწალობის, მათხოვრობის ან სხვაგვარი პარაზიტული ცხოვრებისათვის კვლავ სამართალში იქნება მიცემული, პასუხი უნდა აგოს 234-ე მუხლის არა მეორე, არამედ პირველი ნაწილით. ოღონდ, ამ შემთხვევაში სასამართლო ველარ შეუცვლის თავისუფლების აღკვეთას შრომა-აღმზრდელობითს პროფილაქტორიუმში გაგზავნით, ვინაიდან 33<sup>1</sup>-ე მუხლი კატეგორიულად კრძალავს პროფილაქტორიუმიდან განთავისუფლების დღიდან სამი წლის განმავლობაში ამ სახის სასჯელის გამოყენებას.

6. სისხლის სამართლის კოდექსის 33<sup>1</sup>-ე მუხლის გამოყენება, როგორც აღინიშნა, სასამართლოს შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად სასჯელის სახით გამოიყენოს შრომა-აღმზრდელობითს პროფილაქტორიუმში გაგზავნა. ვინაიდან სასამართლოს უფლება არა აქვს განუსაზღვროს მსჯავრდადებულს სასჯელის უფრო მკაცრი სახეობა, ვიდრე ამ დანაშაულისათვის სანქციაშია გათვალისწინებული, თავისუფლების აღკვეთა კი სასჯელთა სისტემაში ყველაზე მკაცრია<sup>8</sup> და სწორედ მისი შეცვლა ხდება იმ სასჯელით, რომელიც 234-ე მუხლის სანქციაში არ არის გათვალისწინებული, უნდა დავასკვნათ, რომ თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად შრომა-აღმზრდელობითს პროფილაქტორიუმში მსჯავრდადებულის გაგზავნა ნიშნავს დანიშნული მკაცრი სასჯელის შეცვლას მსუბუქით.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლში, რომელიც სასჯელთა სისტემას შეიცავს, შრომა-აღმზრდელობითს პროფილაქტორი-

<sup>6</sup> იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, ნაწილი პირველი, ობ., 1976, გვ. 335-341.

<sup>7</sup> ხ. გორია ასევე თვლის, რომ აქ ნასამართლობა შენარჩუნებულია  
Социалистическая законность, 1983, № 4, с. 58.

<sup>8</sup> სისხლის სამართლის სასჯელებში ყველაზე მძიმე სასჯელი სიკვდილით დასჯაა, მაგრამ ჩვენ იგი არ მოვიხსენიებთ ვინაიდან, შეტანილი არ არის სასჯელთა სისტემაში და ატარებს განსაკუთრებულ, დროებით ხასიათს.



უმში გაგზავნა ძირითად სასჯელებში ბოლო ადგილზეა. 23-ე მუხლში სასჯელები გარკვეული თანამიმდევრობით არის ჩამოთვლილი: „თავდაპირველად დასახელებულია ყველაზე მძიმე სასჯელი — თავისუფლების აღკვეთა და შემდეგ ზდება თანდათანობით გადასვლა ნაკლებად მძიმე სასჯელებზე... სასჯელთა თანამიმდევრულ ჩამოთვლას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან მიუთითებს მოსამართლეს, თუ როგორ აფასებს კანონმდებელი თითოეული სახეობის სასჯელის სიმძიმეს“<sup>9</sup>. თუ ვინელომძღვანელებთ ამ უდავოდ სწორი დებულებით, უნდა ჩავთვალოთ, რომ შრომა-აღმზრდელობითს პროფილაქტორიუმში მსჯავრდადებულის გაგზავნა ძირითად სასჯელებში ყველაზე მსუბუქია. ამასთან, პროფილაქტორიუმში გაგზავნა ის ძირითადი სასჯელია, რომელიც არ შეიძლება დაინიშნოს დამატებით სხვა სასჯელთან ერთად.

შრომა-აღმზრდელობითს პროფილაქტორიუმში მსჯავრდადებულის გაგზავნას, სხვა ძირითად სასჯელებთან შედარებით ერთი თავისებურება აქვს. კერძოდ, პროფილაქტორიუმში შრომა მსჯავრდადებულს ეთვლება საერთო შრომითს სტაჟად.

პარაზიტული ცხოვრებისათვის მსჯავრდადებულთა მიმართ პროფილაქტორიუმში გაგზავნის გამოყენება არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლოებმა აღარ მიმართონ სასჯელის სხვა სახეობას.

საქმის ყველა გარემოების ერთობლივი შეფასებით, სასამართლომ უნდა იმსჯელოს სისხლის სამართლის კოდექსის 25<sup>1</sup>-ე მუხლის, 51-ე მუხლის და ა. შ. გამოყენების მიზანშეწონილობაზეც. ჩვენი აზრით, საქმისადმი ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს არა მარტო სასჯელის ინდივიდუალიზაციის განხორციელებას, არამედ იმასაც, რომ ხელოვნურად არ გაიზრდება ჩვენს რესპუბლიკაში პარაზიტული ცხოვრებისათვის ნასამართლევ პირთა რიცხვი. ამასთან, სამართალში მიცემულთ შესაძლებლობა ექნებათ გამოსწორდნენ სისხლის სამართლის სასჯელის გამოყენებლად.

7. შრომა-აღმზრდელობითს პროფილაქტორიუმში მსჯავრდადებულის გაგზავნასთან დაკავშირებით ყურადღება ერთ საკითხსაც უნდა მივაქციოთ. სასჯელის ეს სახეობა, როგორც ცნობილია, სამოქმედოდ 1983 წლის იანვრიდან არის შემოღებული. შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა დებულება, რომელიც აწესრიგებს შრომა-აღმზრდელობითს პროფილაქტორიუმში სასჯელის მოხდის წესსა და პირობებს, მაგრამ, რაც მთავარია, საქართველოს სს რესპუბლიკაში თვით შრომა-აღმზრდელობითი პროფილაქტორიუმი, როგორც სასჯელის მოსახდელი დაწესებულება, ჯერ კიდევ არ არსებობს. ორი წელია სასჯელის ახალი სახეობა ძალაში შევიდა, მაგრამ მას სახალხო სასამართლოები პრაქტიკულად ვერ იყენებენ და ამით ხელი ეშვებათ მუშაობაში.

დებულებაში, რომელიც შრომა-აღმზრდელობითს პროფილაქტორიუმში სასჯელის მოხდის წესსა და პირობებს აწესრიგებს, ვფიქრობთ, უფრო მეტი ღონისძიება უნდა იქნეს გათვალისწინებული მსჯავრდადებულთა შრომითი აღზრდისათვის, მათთვის შრომითი ჩვევების გამომუშავებისა და სტიმულირებისათვის. მან პროფილაქტორიუმის საქმიანობაში მთავარი, წამყვანი ადგილი უნდა დაიკავოს.

<sup>9</sup> საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, ნაწილი პირველი, თბ., 1976, გვ. 160.

4. „საბჭოთა სამართალი“, № 1.



8. პარაზიტული ცხოვრებისათვის სასჯელის სახის განსაზღვრასთან დაკავშირებით ს. შლიკოვი და ო. გაციხო გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ ამ დანაშაულისათვის ძირითად სასჯელად სანქციაში შეიტანონ გადასახლება. მათი აზრით, ამ შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა პარაზიტული ცხოვრების გზაზე დამდგარი ხალხი ჩაგვყენებინა ისეთ პირობებში, რომელშიც, ჯერ ერთი, ვერ შეძლებდნენ შრომისაგან თავის არიდებას, მეორეც, იქნებოდნენ მეთვალყურეობის ქვეშ<sup>10</sup>. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ დანაშაულისათვის გადასახლება გათვალისწინებული იყო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 234-ე მუხლის სანქციაში, მაგრამ შემდეგში უარყოფილ იქნა. მართალია, გადასახლებამისჯილი იმყოფება ამ სასჯელის აღმასრულებელი ორგანოების ზედამხედველობის ქვეშ, მაგრამ არცთუ იოლია, განსაკუთრებით მაწანწალობისათვის მსჯავრდადებულის დამკვიდრება ერთ (გადასახლების) ადგილზე.

9. იურიდიულ ლიტერატურაში პარაზიტული ცხოვრებისათვის პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებით ერთი მოსაზრებაც იქცევს ყურადღებას. ვ. სამოროკოვს მიაჩნია, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 34-ე მუხლს უნდა დაემატოს ახალი, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება. კერძოდ, „დანაშაულის ჩადენა იმ პირის მიერ, რომელიც თავს არიდებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას“<sup>11</sup>. იგი იმედს გამოთქვამს, რომ ამით მივაღწევთ ზოგადი და კერძო პრევენციის მიზანს და ეფექტიანობას პარაზიტუზმის სხვადასხვაგვარი გამოვლენის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ვ. სამოროკოვის ეს შეხედულება მისჯლებია. უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სსრ რესპუბლიკაში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის თავის არიდება ზოგიერთი დანაშაულის მაკვალიფიცირებელ გარემოებად არის მიჩნეული (მაგალითად, ქურდობა, ძარცვა, აზარტული თამაში). ჩვენი აზრით, კარგი იქნება, თუ ეს გარემოება გათვალისწინებული იქნება სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლში, რომელშიც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებებია ჩამოთვლილი. ეს ხელს შეუწყობს სასამართლოებს უფრო აქტიურად იბრძოლონ პარაზიტული ცხოვრების წინააღმდეგ, ვინაიდან შრომას არა მარტო ქურდები და მძარცველები არიდებენ თავს, არამედ სპეკულანტებიც, ხულიგნებიც, ნარკოტიკებით მოვაჭრენიც, ავტომანქანების გამტაცებლებიც და ა. შ.

ვფიქრობთ, შრომისათვის თავის არიდება, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება, 39-ე მუხლში უნდა შევიდეს იმ პირობით, რომ დანაშაულის ხასიათის მიხედვით სასამართლოს შეეძლოს მიიჩნიოს ან არ მიიჩნიოს ეს გარემოება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად.

<sup>10</sup> С. А. Шликов, О. И. Гацихо, Ссылка, В кн.: Наказания не связанные с лишением свободы, М., 1972, с. 42.

<sup>11</sup> ვ. სამოროკოვის დასახელებული ნაშრომი, გვ. 114.



## **სასამართლო პრაქტიკა შრომითი დავის საქმეების გამო**

**მ. ბახტაძე,**

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო სისტემატურად აანალიზებს მუშა-მოსამსახურეების სამუშაოზე აღდგენის საქმეთა განხილვის სასამართლო პრაქტიკას. განზოგადებული მასალა იძლევა იმის საშუალებას, რომ ვიმსჯელოთ, თუ როგორია ამ პრაქტიკის განვითარების ტენდენციები.

რესპუბლიკაში უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად, თითქმის ოთხჯერ და უფრო მეტად შემცირდა სასამართლოების გადაწყვეტილებით სამუშაოზე აღდგენილ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა. თავისთავად ეს დადებითი მოვლენაა, მაგრამ ამის საფუძველზე არ შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ მხრივ რესპუბლიკის სასამართლოები დამაკმაყოფილებლად მუშაობენ.

1984 წლის 13 სექტემბერს „პრავდაში“ გამოქვეყნდა წერილი რუსეთის სფს რესპუბლიკის ივანოვოს ოლქის პარტიული და სამართალდამცავი ორგანოების გამოცდილების შესახებ. აქ დიდ ღონისძიებებს ახორციელებენ მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან უკანონო დათხოვნის წინააღმდეგ. ამის შედეგია, რომ ივანოვოს ოლქში უკვე რამდენიმე წელია არ არის შემთხვევა, რომ მუშაკს მიემართოს სასამართლოსათვის სამუშაოზე აღდგენის თაობაზე. ივანოვოს ოლქის გამოცდილების შესახებ იმსჯელა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და განზოგადა ეს დადებითი გამოცდილება.

მის საფუძველზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა შრომის კანონმდებლობის დაცვის გაუმჯობესების საკითხი და რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და სამართალდაცვით ორგანოებს დაავალა განუხრებლად იხელმძღვანელონ ივანოვოს ოლქის გამოცდილებით.

ძირითადი და გადაწყვეტი, რაც ამ გამოცდილებიდან უნდა გადავიღოთ ის არის, რომ თავიდან ავიცილოთ მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან უკანონო დათხოვნა (და ეს ობიექტურად შესაძლებელია), რის საფუძველზეც სასამართლოში ამ კატეგორიის საქმეთა რაოდენობა მკვეთრად შემცირდება.

სასამართლოს გადაწყვეტილებით მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოზე აღდგენის კლების ტენდენცია, რაოდენ მყარიც და მნიშვნელოვანიც უნდა იყოს, იგი მაინც არის კლების და არა დარღვევათა მთლიანად აღკვეთის ტენდენცია. მთავარია სამართალდარღვევის თავიდან აცილება, ხოლო თუ კანონი მაინც დაირღვა, იგი დასაწყისშივე უნდა აღიკვეთოს ისე, რომ კონფლიქტი არ განვითარდეს და სასამართლო საქმედ არ იქცეს.



შრომის კანონმდებლობის დარღვევათა მთლიანად აღმოფხვრა სავსებით რეალური რომ არის, ამას გვიჩვენებს რესპუბლიკის ბევრი ქალაქისა და რაიონის, სამინისტროსა და უწყების გამოცდილება. ორი წლის მანძილზე საქართველოს ოცდაათ ქალაქსა და რაიონში არ ყოფილა მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან უკანონოდ განთავისუფლების არც ერთი შემთხვევა. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ყოველივე ეს მთლიანად აიხსნას სასამართლო პროცესის აღმზრდელი როლით ან პროფილაქტიკური საქმიანობით, თუმცა სამართალდარღვევებთან ბრძოლაში ამ ფაქტორებსაც აქვს მნიშვნელობა.

სამუშაოზე აღდგენის საქმეთა სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ დავათა განხილვისას სასამართლოს როლი თავისებურია, მნიშვნელოვნად განსხვავებული იმისაგან, რომელიც მას დაკისრებული აქვს მეზობლური, მოქალაქეთა შორის ქონებრივი და სხვა ანალოგიური საქმეების გადაწყვეტის დროს. ამ დავაში მხარეა, ერთი მხრივ, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაცია, და, მეორე მხრივ, მათი კოლექტივის წევრი. ამასთან პროცესულურად სასამართლოში მხარედ გამოდის ორგანიზაცია, მაგრამ მის პოზიციას ადამიანი, პიროვნება, ორგანიზაციის ხელმძღვანელი განსაზღვრავს. მას კი არა აქვს უფლება მოქალაქის სამუშაოდან განთავისუფლებისას თავისი პიროვნული, სუბიექტური მოსაზრებებით, პირადი სიმპათიით თუ ანტიპათიით იხელმძღვანელოს, აჰყვეს ემოციებსა და ამბიციებს. ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს შეცდომის აღიარების, მისი გამოსწორების უნარი.

სამწუხაროდ, ხშირად სამუშაოდან დათხოვნილი პირი სასამართლოს მიმართავს სწორედ იმის გამო, რომ საწარმოს ხელმძღვანელს არ ეყო მოქალაქობრივი ვაჟაკობა ელიარებინა თავისი შეცდომა და გაეუქმებინა კანონსაწინააღმდეგო ბრძანება. ამიტომ არის, რომ უმთავრესად სამუშაოზე აღდგენის საქმეები არ შეიცავენ სადავო მასალას და სასამართლოებს გადაწყვეტილება გამოაქვთ იმის გამო, რომ მოსარჩელე დაითხოვეს სამუშაოდან განთავისუფლების წესის დარღვევით (საკითხი არ შეუთანხმეს პროფკავშირის კომიტეტს, დაარღვიეს რეაგირების ვადა და სხვ.).

როგორც განზოგადების მასალებიდან ჩანს, ზოგიერთი ხელმძღვანელი ხშირად ცდილობს თავი დაიზღვიოს და სასამართლოს აღადგენინოს მუშაკი, რომელიც სახელგატეხილი იყო, კოლექტივში არ ჰქონდა ავტორიტეტი უღირსი საქციელის გამო.

ასეთი რამ უმთავრესად ხდება მაშინ, როდესაც სამუშაოდან ითხოვენ მატერიალურად პასუხისმგებელ პირს. ფაქტობრივად ამ დროს ხდება პირის სამუშაოდან მოჩვენებითი განთავისუფლება: მატერიალურად პასუხისმგებელი მუშაკის სამუშაოდან დათხოვნა აუცილებელია გამოვლენილი დარღვევისათვის, მაგრამ ამის სურვილი ხელმძღვანელს რეალურად არა აქვს და განთავისუფლებას აფორმებს ისეთნაირად, რომ წინასწარ ქმნის ამ მუშაკის სამუშაოზე სასამართლოს გზით აღდგენის პირობებს.

ეს მეტად მავნეა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სასამართლო იძულებულია უღირსი პირი აღადგინოს სამუშაოზე და, მეორეც, მშრომელთა კოლექტივს არ აცნობენ სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსს, ამიტომ მისთვის ცნობილი ხდება მარტოოდენ ფაქტის გარეგანი მხარე, ის, რომ უღირსი მუშაკი სასამართლომ სამუშაოზე აღადგინა. ეს კი ლახავს სასამართლოს ავტორიტეტს, ქმნის არაჯანსაღ საზოგადოებრივ აზრს სასამართლოს შესახებ.



განზოგადების მასლების მიხედვით რესპუბლიკაში სასამართლოს გადაწყვეტილებით სამუშაოზე აღდგენის რიცხვი მატებას იწყებს 1973 წლიდან და სარეკორდო ოდენობას აღწევს 1976 წელს. ცნობილია, რომ ეს არის წლები, როდესაც რესპუბლიკაში გამწვავდა ბრძოლა ყოველგვარი ნეგატიური მოვლენის, სამართალდარღვევათა წინააღმდეგ. ამასთან, 1975-1976 წლებში უკვე მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მიღწეული სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების საქმიანობაში, დაისახა სამართალდარღვევათა შემცირების ტენდენცია. ამ ფონზე შრომის კანონმდებლობის დარღვევების მონაცემები, სამუშაოზე, არათუ უმჯობესდებოდა, არამედ წლითიწლებით უარესდებოდა.

1977 წლიდან რესპუბლიკაში იწყება სამუშაოზე აღდგენის საქმეთა მკვეთარი კლების ტენდენცია. ეს იმანაც განაპირობა, რომ ამ ხანებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავისი დადგენილებით რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამართალდაცვითი ორგანოების ყურადღება მიაპყრო შრომის კანონმდებლობის განუხრელი დაცვის აუცილებლობას, რათა აღმშენებლისტრაციას სამუშაოდან განთავისუფლების საკითხის გადაწყვეტისას ყოველთვის, დაეცვა დადგენილი წესები (პროფკავშირის კომიტეტის თანხმობის მიღება და სხვა).

სასამართლო პრაქტიკის განზოგადების მასალები მოწმობს, რომ კანონის ამ მოთხოვნას ბევრგან კვლავ უგულებელყოფენ და სასამართლო იძულებულია სამუშაოზე აღადგინოს სახელგატეხილი პირი. ახლახან ქუთაისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ სამუშაოზე აღადგინა ქუთაისის ვაჭრობის სამმართველოს საკონტროლ-სარევიზიო განყოფილების მუშაკი გ. რუხაძე, რომლის განთავისუფლების საკითხი არ იყო შეთანხმებული პროფკავშირის კომიტეტთან. სამუშაოდან იგი დაითხოვეს იმის გამო, რომ არ გამოავლინა შემოწმებულ მალაზიაში ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაული. შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, როდესაც თითქოს ადმინისტრაციამ პრინციპულობა გამოიჩინა, დაითხოვა უღირსი მუშაკი, სასამართლომ კი სახელგატეხილი კაცი სამუშაოზე აღადგინა.

სასამართლო რომ ამგვარ მდგომარეობაში არ ჩავარდეს, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის თანახმად იგი ვალდებულია საქმის განხილვამდე გაარკვიოს, არის თუ არა მხარეთა შორის დავა რეალური, და თუ ეს დავა ფიქტიურია, გამოსაკვლევია კი არაფერი, განუმარტოს მოსარჩელეს და მოპასუშეს მათი პროცესუალური უფლებები და მოვალეობები, გააცნოს მოპასუხე ორგანიზაციის წარმომადგენელს კანონის შინაარსი და მისი უფლება, თავისი ნებით გააუქმოს უკანონოდ გამოტყეული ბრძანება.

ანალიზმა ფრიად საინტერესო სურათი მოგვცა იმ საქმეებზე, რომლებითაც სამუშაოზე აღდგენილია მატერიალურად პასუხისმგებელი ან საკონტროლო-სარევიზიო აპარატის მუშაკი. პრაქტიკულად სასამართლოების გადაწყვეტილებები ამ საქმეთა გამო არც საკასაციო და არც ზედამხედველობის წესით არ საჩივრდება. პირიქით კი უნდა იყოს. ხელმძღვანელობა ასე ადვილად არ უნდა ურიგდებოდეს სამუშაოზე იმ პირებს აღდგენას, რომელიც უღირსი ქვევისათვის იყო განთავისუფლებული. ეს არ შეიძლება იმით აიხსნას, რომ ეს ხელმძღვანელები უყოყმანოდ ემორჩილებიან სასამართლოს გადაწყვეტილებას, ვინაიდან ისინი გადაწყვეტილებებს სხვა კატეგორიის მუშაკთა აღდგენის თა-



ობაზე, როგორც წესი, ასაჩივრებენ. როგორც ჩანს, ასეთი გადაწყვეტილება ხელს აძლევს როგორც მოსარჩელეს, ისე მის ხელმძღვანელსაც.

სასამართლოები არ იჩენენ სათანადო პრინციპულობას იმ თანამდებობის პირთა მიმართ, რომლებიც სცემენ უკანონო ბრძანებებს მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ. სასამართლოები მოვალენი არიან გამოიტანონ კერძო განჩინებები როგორც იმ ხელმძღვანელების მიმართ, რომლებიც თავისი მიმნებებლობით ქმნიან უღირსი პირების მოჩვენებითი განთავისუფლების სიტუაციას, ისე იმათ მიმართაც, ვინც საკმაოდ საფუძვლის გარეშე სამუშაოდან ითხოვს პირებს, რომელთა განთავისუფლება კანონსაწინააღმდეგოა.

საქმეთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი სასამართლო კმაყოფილდება შრომის დავის თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანით, არ გამოაქვს კერძო განჩინება იმ მიზეზების გამო, რომლებმაც ხელი შეუწყო მოპასუხე ორგანიზაციის დისციპლინის მოშლას, შრომის კანონმდებლობის დარღვევას.

სასამართლოები ამ კატეგორიის საქმეებს თითქმის არ განიხილავენ მშრომელთა კოლექტივებში გამსვლელ სხდომაზე, არ ანიჭებენ მათ ფართო საზოგადოებრივ რეზონანსს.

შრომითი კოლექტივი ვალდებულია გაუფრთხილდეს თავის წევრს, აღზარდოს ის, შეუქმნას მას შრომისა და ყოფა-ცხოვრების ნორმალური პირობები. დაუშვებელია ადმინისტრირების მეთოდი იქ, სადაც ოდნავი შესაძლებლობა მაინც არის, რომ არ წარმოიშვას შრომითი კონფლიქტი, ხოლო თუ ის მაინც წარმოიშობა, მშვიდობიანად, თვით კოლექტივივე გადაწყდეს.

შრომის კანონთა კოდექსში ჩამოთვლილია საფუძვლები, რომელთა გამოც ადმინისტრაციას უფლება აქვს დაითხოვოს მუშა-მოსამსახურე სამუშაოდან, მაგრამ არც ერთი საფუძველი ადმინისტრაციას არ ავალდებულებს აუცილებლად გამოიყენოს ეს უფლება. უფრო მეტიც, კანონი ავალდებულებს ხელმძღვანელს უზრუნველყოს კოლექტივში ისეთი ვითარება, რომ არ წარმოიშვას მუშა-მოსამსახურის სამუშაოდან განთავისუფლების კანონიერი საფუძველი.

პრაქტიკა გვიჩვენებს რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით აღდგენილი პირის კონფლიქტი ადმინისტრაციასთან საბოლოოდ მაინც არ მთავრდება. აღდგენილ მუშაკს ადმინისტრაციასთან უმეტესად კვლავ კონფლიქტური ურთიერთობა აქვს. ეს უფრო ნაკლებად ხდება მაშინ, როცა პირს სამუშაოზე აღადგენენ თვით კოლექტივის შესაძლებლობების გამოყენებით. შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად ეს სათანადოდ არ არის გამოყენებული, უპირველესად გველისხმობთ მშრომელთა კოლექტივების ინტერესების დამცველ ორგანოს — პროფკავშირის ორგანიზაციას. მთავარი ფიგურა, რომელსაც ევალება არსებითი გავლენა მოახდინოს შრომითს კოლექტივში კანონების დაცვაზე არის იურისკონსულტი. იგი მოვალეა უზრუნველყოს სამეურნეო ხელმძღვანელის ბრძანებათა კანონიერება. სამწუხაროდ, იურისკონსულტები არ გრძნობენ რეალურ პასუხისმგებლობას მათი ხელმძღვანელის უკანონო ბრძანებისათვის. ამაში ბრალი მიუძ-



ღვით სასამართლოებსაც. სასამართლოები, რომლებიც საქმეში მესამე პირად აბამენ სამეურნეო ხელმძღვანელს და აკისრებენ მას თანხის გადახდას, რეაგირებას არ ახდენენ იმაზე, რომ უკანონო ბრძანება განაპირობა იურისკონსულტის დაბალმა კვალიფიკაციამ ან სამსახურებრივმა დაუდევრობამ.

სასამართლოებს არ გამოაქვთ კერძო განჩინებანი იურისკონსულტების მიმართ, არ აყენებენ საკითხს მათი სამსახურებრივი და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ. ამით უნდა აიხსნას, რომ დღესაც უხეშად ირღვევა შრომის კანონმდებლობა განათლების, ვაჭრობის, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის სამინისტროების, ცეკავშირის, ამიერკავკასიის რკინისგზის სამმართველოს სისტემაში. სწორედ ამ სამინისტროებსა და უწყებებზე მოდის ამჟამად რესპუბლიკაში უკანონოდ განთავისუფლებულ მუშაკთა დიდი რაოდენობა.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით; სასამართლოს კერძო განჩინება სავალდებულოა შესასრულებლად ყველა იმ თანამდებობის პირისათვის, რომლებსაც იგი გაეგზავნა. სამინისტრო, უწყება, მისი ხელმძღვანელი ვალდებულია აცნობოს სასამართლოს მის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

კანონი კერძო განჩინების აღრესატს ავალდებულებს სასამართლოს აუწყოს, არა მარტო ის, თუ რა კონკრეტული ღონისძიებანი დასახა, არამედ ისიც, თუ რა შედეგები მოჰყვა ამას. როგორც ჩანს, კერძო განჩინებებისადმი რეაგირების მცდარი პრაქტიკის შექმნას ხელი იმანაც შეუწყო, რომ სასამართლოები სათანადოდ არ აკონტროლებენ მათს შედეგიანობას, კანონის შესაბამისად კონკრეტულად არ სთხოვენ თანამდებობის პირებს კერძო განჩინებებზე სრულყოფილ რეაგირებას.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თუ სასამართლოები სხვა სამართალდაცვივით ორგანოებთან ერთად გამოიყენებენ კანონით მინიჭებულ ყველა უფლებას, მთლიანად აღმოიფხვრება მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან უკანონო განთავისუფლება.





# რეალური აგროსამრეწველო კავშირების ურთიერთდაპოკიდებულება მასში შედგენილ სანარმოებთან და ორგანიზაციებთან

მ. ვახაჩვა

სკკ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმმა, რომელმაც განიხილა სსრ კავშირის 1990 წლამდე პერიოდის სასურსათო პროგრამა და მისი რეალიზაციის დონისძიებები, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მართვის სისტემის სრულყოფის საკითხებს. პლენუმმა მიიღო დადგენილება „სოფლის მეურნეობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგების მართვის გაუმჯობესების შესახებ“, რომლის შესაბამისადაც რაიონებში, მხარეებში, ოლქებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში შეიქმნა აგროსამრეწველო გაერთიანებანი, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკებში და კავშირის მასშტაბით აგროსამრეწველო კომისიები. ამით განხორციელდა მეურნეობის მართვის სისტემის მნიშვნელოვანი რეორგანიზაცია. სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში გადაწყვეტი როლი რაიონულმა რგოლმა უნდა შეასრულოს, რადგან „აქ ყალიბდება მართვის ნამდვილად სრულყოფილებიანი და დემოკრატიული ორგანო, რომელსაც შეუძლია მთელი ძალით იმოქმედოს წარმოებაზე კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების ინტერესების შესაბამისად“<sup>1</sup>.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების სტატუსი განსაზღვრულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 25 ნოემბრის № 1015 დადგენილებით დამტკიცებული ტიპობრივი დებულებით რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების შესახებ<sup>2</sup>. ეს დებულება მოქმედებს მთლიანად სსრ კავშირში, გარდა საქართველოს რესპუბლიკისა, სადაც როგორც გამოწვევის, გარკვეული მოსაზრებებით მოქმედებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 31 მაისის № 362 დადგენილებით დამტკიცებული ტიპობრივი დებულება საქართველოს სს რესპუბლიკაში რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების შესახებ.

საბჭოთა სახელმწიფო გარკვეული მიზნების მისაღწევად ქმნის ორგანოებს, რომლებსაც ეკისრებათ განსაზღვრული ამოცანების განხორციელება. ცხადია, გარკვეული ამოცანების განსახორციელებლად შეიქმნა რაიონული აგრო-

<sup>1</sup> სსრ კავშირის 1990 წლამდე პერიოდის სასურსათო პროგრამა და მისი რეალიზაციის დონისძიებანი. სკკ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის მასალები, თბ., 1982, გვ. 91.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 19.

<sup>3</sup> СП СССР, 1983, Отд. 1, № 1, ст. 1.



სამრეწველო გაერთიანებას. გაერთიანების ამოცანების ზუსტად განსაზღვრას შეიძლება ორგვარი მნიშვნელობა ჰქონდეს. პირველი ის, რომ მათ შესაბამისად უნდა აიგოს მთლიანად აგროსამრეწველო გაერთიანების პრაქტიკული საქმიანობა. მეორე, ამ ამოცანების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს გაერთიანების საქმიანობის პრინციპები და მეთოდები, მისი სტატუსი და ადგილი სამეურნეო ორგანოების სისტემაში.

საქართველოს სს რესპუბლიკაში რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების შესახებ ტიპობრივი დებულების ანალიზი საფუძველს გვაძლევს ამ გაერთიანების ამოცანები შემდეგნაირად დავაჯგუფოთ: 1. ეკონომიკური ხასიათის ამოცანები, 2. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის სრულყოფის ამოცანები, 3. სამეურნეო კავშირურთიერთობის გაშლის ამოცანები, 4. სოციალურ-კულტურული და აღმზრდელობითი ხასიათის ამოცანები, 5. სოციალისტური კანონიერების განმტკიცების ამოცანები.

ეკონომიკური ხასიათის ამოცანებს შორის აღსანიშნავია: გაერთიანებაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების პროპორციული და შეწონასწორებული განვითარების უზრუნველყოფა; მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა; გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა; კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა და სხვა საწარმოთა მომსახურების გაუმჯობესება, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და ა. შ.

გარდა წმინდა ეკონომიკური ხასიათის ამოცანებისა, გაერთიანების წინაშე დგას სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის შემდგომი სრულყოფის ამოცანები: სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის განვითარება; წარმოების მართვაში მშრომელთა ფართო მონაწილეობის უზრუნველყოფა და ა. შ.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმეკრულებო თუ სხვა სახის ურთიერთობის გაშლისა და განმტკიცების თვალსაზრისით. სხვანაირად რომ ვთქვათ, ბევრი მის წინაშე მდგომი ამოცანა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სხვადასხვა ორგანოსთან ურთიერთობის დამყარების გზით. კერძოდ, გაერთიანების მიზანია: სამეურნეო და დარგთშორის კავშირურთიერთობათა სრულყოფა; სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე კონტრაქტაციის ხელშეკრულების, აგრეთვე სხვა სამეურნეო ხელშეკრულების დადების ორგანიზაცია; კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა მიერ მოსახლეობასთან სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვაზე ხელშეკრულების დადების ორგანიზაცია და ა. შ.

ამ ამოცანებთან ერთად გაერთიანებას ეკისრება აგრეთვე სოციალურ-კულტურული და აღმზრდელობითი ხასიათის ისეთი ამოცანების განხორციელება, როგორც არის: სასოფლო დასახლებული პუნქტების გარდაქმნა კეთილმოწყობილ დაბებად, სოფლად თანამედროვე სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნა; მატერიალური და მორალური წახალისების რაციონალური ფორმების დანერგვა; სოციალისტური შეჯიბრების ყოველმხრივი განვითარება და ა. შ.

ბოლოს, გაერთიანების ამოცანაა სამეურნეო ურთიერთობაში სოციალისტური კანონიერების დაცვის უზრუნველყოფა, მასში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებში სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელება.



რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება რაიონის ტერიტორიაზე შექმნილი აგროსამრეწველო კომპლექსია, რომელშიც შედიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამეურნეობათაშორისო საწარმოები და ორგანიზაციები, სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოები, აგრეთვე მათი მომსახურე და სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და პროდუქციის გადამუშავებასთან დაკავშირებული საწარმოები და ორგანიზაციები, მათი წესდებით ან დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

გაერთიანების საქმიანობას საფუძვლად უდევს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი, რომელიც განვითარებული სოციალიზმის პირობებში ნიშნავს ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის შეხამებას საწარმოებისა და ორგანიზაციების დამოუკიდებლობასა და ინიციატივასთან. „...ჩვენი ამოცანაა — წერდა ვ. ი. ლენინი — გავატაროთ სწორედ დემოკრატიული ცენტრალიზმი მეურნეობის დარგში... ცენტრალიზმი, ნამდვილად დემოკრატიული აზრით გაგებული, გულისხმობს ისტორიის მიერ პირველად შექმნილ შესაძლებლობას არა მარტო ადგილობრივი თავისებურებების, არამედ ადგილობრივი თაოსნობის, ადგილობრივი ინიციატივის, საერთო მიზნისაკენ მიმართული მოძრაობის სხვადასხვაგვარი გზების, წესებისა და საშუალებების სრული და შეუფერხებელი განვითარებისათვის“<sup>4</sup>.

სოციალისტური მეურნეობის ხელმძღვანელობის ამ პრინციპის თანახმად, გაერთიანებამ რაციონალურად უნდა შეუხამოს ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა მასში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების უფლებას დამოუკიდებლად გადაწყვიტოს სამეურნეო საქმიანობის ოპერატიული საკითხები.

თავის სამეურნეო საქმიანობაში გაერთიანებამ რაციონალურად უნდა შეუხამოს აგრეთვე ერთმანეთს მართვის დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპები. „მართვის ტერიტორიულ-დარგობრივი პრინციპი ორმხრივი ამოცანის გადაწყვეტას უზრუნველყოფს: ერთი მხრივ, სხვადასხვა უწყების საწარმოთა საქმიანობის კოორდინაციასა და ინტეგრაციას, მეორე მხრივ, მათს მაქსიმალურ დამოუკიდებლობასა და ინიციატივას“<sup>5</sup>.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება მეურნეობის მმართველობის ორგანოა, რომელსაც შუალედური ადგილი უჭირავს მმართველობის ზემდგომ ორგანოებსა და მისადმი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის. იგი თავის საქმიანობაში კარგად უხამებს ერთმანეთს სამეურნეო საქმიანობის განხორციელებას და მის ხელმძღვანელობას. აგროსამრეწველო გაერთიანების სპეციფიურობა გამოიხატება საქმიანობის კომპლექსურ, მრავალ-დარგობრივ ხასიათში.

ტიპობრივი დებულების თანახმად, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება იყენებს მისთვის ოპერატიულ მმართველობაში მიჩენილ ქონებას, ახორციელებს თავის საქმიანობას გეგმის შესაბამისად, ასრულებს მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს, პასუხს აგებს და სარგებლობს ამ საქმიანობასთან დაკავშირებული უფლებებით, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი და წარმოადგენს იურიდიულ პირს.

გაერთიანება სამეურნეო საქმიანობას ვერ განახორციელებს წარმოებისა და

<sup>4</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 238-239.

<sup>5</sup> М. Горбачев, Продовольственная программа и задачи ее реализации, «Коммунист», 1982, № 10, с. 15.



გაცვლის გარეშე, ამიტომ მას აუცილებლად სჭირდება იურიდიული პირის უფლებამოსილება, ე. ი. უფლად-სასაქონლო ურთიერთობაში სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტის სახით გამოსვლა, რომელსაც სამოქალაქო კანონმდებლობა აწესრიგებს. გაერთიანება იურიდიულ პირად ითვლება სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის მიერ მისი დებულების დამტკიცების მომენტიდან.

ზოგიერთი ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ იურიდიული პირის უფლებით მიზანშეწონილია აღიჭურვოს არა გაერთიანება, როგორც ეს ნორმატიული წესით არის განსაზღვრული, არამედ გაერთიანების საბჭო, რადგან საბჭო განკარგავს გაერთიანების ცენტრალიზებულ ფონდებს. მაგრამ იურიდიული პირის სტატუსით გაერთიანების საბჭოს აღჭურვა არ არის მიზანშეწონილი, რადგან გაერთიანების ცენტრალიზებული ფონდების განკარგვა მოითხოვს იურიდიული პირის უფლებამოსილების ყოველდღიურ განხორციელებას, საბჭო კი იწვევა პერიოდულად და იხილავს გაერთიანების საქმიანობის მხოლოდ ძირითად საკითხებს<sup>6</sup>.

სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში გადამწყვეტი როლი ეკისრება რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის ძირითად რგოლებს — კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის დადგენილებები<sup>7</sup> ითვალისწინებენ კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა სამეურნეო დამოუკიდებლობისა და ინიციატივის ამაღლებას, მათი ეკონომიკის განმტკიცების ღონისძიებებს, აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა მატერიალური დაინტერესების ამაღლებას, სოფლის სოციალურ-კულტურულ განვითარებას.

სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობასა და მის მომიჯნავე დარგებს შორის კავშირურთიერთობის განმტკიცებას. აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობის კოორდინაციის მაღალი საბოლოო შედეგების მისაღწევად. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ურთიერთობის სრულყოფის შესახებ“<sup>8</sup> ვათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და ორგანიზაციათა მომსახურე საწარმოებისა და ორგანიზაციების პასუხისმგებლობის ამაღლება დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად, მათი დაინტერესების გაძლიერება. ამ დადგენილების შესაბამისად მიღებულ იქნა გაერთიანებაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა სახელშეკრულებო ურთიერთობის მარეგულირებელი ახალი ნორმატიული აქტები. კერძოდ, დებულებები ხელშეკრულებათა დადებისა და შესრულების წესის შესახებ სოფლის მეურნეობის პროდუქციის კონტრაქტაცი-აზე, კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და ორგანიზაციათა საწარმოო-ტექნიკური მომსახურების სამუშაოების შესრულებაზე, მათ აგროქიმიურ მომსახურებაზე, აგრეთვე შესაბამისი ტიპობრივი ხელშეკრულებები და სხვა ნორმატიული აქტები, რომლებიც აწეს-

<sup>6</sup> Дашевская Л. М., Пути развития агропромышленной интеграции на современном этапе, «Советское государство и право», 1983, № 5, с. 14.

<sup>7</sup> СП СССР, 1982, Отд. 1, № 17.

<sup>8</sup> СП СССР, 1983, Отд. 1, № 19, ст. 104.





რიგებენ ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა სახელშეკრულებო ურთიერთობებს.

რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სრულყოფისათვის სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებისა და „საქსახკომსოფლტექნიკის“ ბაზაზე შეიქმნა საქართველოს სსრ სსოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი. ასეთივე კომიტეტები შეიქმნა აჭარის ასსრ და აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, შესაბამისად შეიცვალა მართვის აპარატის სტრუქტურა რაიონულ რგოლში. ამჟამად რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების მართვის აპარატში შედის სოფლის მეურნეობის, სოფლტექნიკისა და მელიორაციის სამსახურები. კომიტეტის შექმნამ ხელი შეუწყო ამ დარგებს შორის სამეურნეო კავშირურთიერთობის განმტკიცებას, გაზარდა ამ დარგების ეფექტიანობა.

ტიპობრივ დებულებაში ნათქვამია, რომ გაერთიანება იქმნება რაიონის სოფლის მეურნეობის, აგროსამრეწველო კომპლექსის მომსახურე და სხვა დარგების მართვის გაუმჯობესებებს მიზნით, გაერთიანებაში შემავალ კოლმეურნეობათა, სხვა საწარმოთა და ორგანიზაციათა სამეურნეო დამოუკიდებლობისა და ინიციატივის ამაღლების უზრუნველსაყოფად. ამდენად, გაერთიანებაში შემავალი საწარმოები და ორგანიზაციები ინარჩუნებენ სამეურნეო დამოუკიდებლობას, იურიდიული პირის უფლებებს და უწყებრივ დაქვემდებარებას.

ვინაიდან არა მარტო რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება, არამედ მასში შემავალი საწარმოებიც და ორგანიზაციებიც იურიდიული პირები არიან, ბუნებრივია, იბადება კითხვა: რა ურთიერთდამოკიდებულებაა გაერთიანებასა და მასში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის, ხომ არ კარგავენ ისინი იურიდიული პირის უფლებებს ფაქტობრივად?

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კოლმეურნეოები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა საწარმოები და ორგანიზაციები რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებაში შესვლით გადასცემენ მას, როგორც მმართველობის ზემდგომ ორგანოს, თავიანთი უფლებამოსილებების ნაწილს. ე. ი. გაერთიანებასა და მასში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის ხდება უფლებებისა და მოვალეობების და ამის შესაბამისად პასუხისმგებლობის გადანაწილება. ვინაიდან გაერთიანება მასში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების წინადადებით ცენტრალიზებულად ახორციელებს ცალკეულ საწარმოო-სამეურნეო ფუნქციებს, ამ საწარმოებსა და ორგანიზაციებს რიგ საკითხებში გარკვეულწილად ეზღუდებათ უფლებამოსილებები.

რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებაში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებს არ შეუძლიათ სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტის სახით გამოვიდნენ სამართლებრივ ურთიერთობაში ისეთ საკითხებზე, რომლის ცენტრალიზაცია გაერთიანებამ მოახდინა. ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა უფლებამოსილების ასეთი შეზღუდვა არ იწვევს მათთვის იურიდიული პირის უფლების დაკარგვას და მათი სამეურნეო დამოუკიდებლობის შეზღუდვას, რადგან გაერთიანება საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების ცენტრალიზაციას ახორციელებს ისეთ საკითხებზე (პირუტყვის სუქება, კომბინირებული საკვების წარმოება, აგროქიმიური მომსახურება, კაპიტალური მშენებლობა და სხვები), ამლებიც მასში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ძირითად არ არის. ეს საწარმოები და ორგანიზაციები სამართლის სხვა სუბიექტებთან ურ-



თიერთობას ამყარებენ ისეთი უფლებამოსილების განსახორციელებლად, რომელიც მათ არ გადაუციათ გაერთიანებისათვის. ქონებრივი ურთიერთობები გაერთიანებაში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის, როგორც წესი, თანასწორობის საფუძველზე რეგულირდება.

იურიდიული პირის უფლებები გაერთიანებაში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებს სჭირდებათ ქონებრივ ურთიერთობაში სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტის სახით გამოსვლისათვის, ვინაიდან გაერთიანება, როგორც აღინიშნა, არ ახდენს საწარმო-სამეურნეო ფუნქციების სრულ ცენტრალიზაციას. რაც შეეხება გაერთიანებაში შემავალ კოლმეურნეობებს, ისინი განსხვავებით სახელმწიფო საწარმოებისაგან, წარმოდგენენ თავიანთ ქონების სრულუფლებიან მესაკუთრეს და მათთვის იურიდიული პირის უფლების ჩამორთმევა გამოიწვევს მათი, როგორც მესაკუთრის უფლებამოსილების შეწყვეტას.

როგორც ითქვა, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება არის იურიდიული პირი და ამავე დროს სარგებლობს მის საქმიანობასთან დაკავშირებული უფლებებით და ასრულებს მოვალეობებს, ე. ი. აქვს განსაზღვრული კომპეტენცია. გაერთიანების კომპეტენცია სპეციალურია, რადგან იგი სარგებლობს მხოლოდ ისეთი უფლებებით და ეკისრება ისეთი მოვალეობები, რომლებიც ზუსტად შეესაბამება მისი საქმიანობის მიზნებს და ამოცანებს.

სამეურნეო ორგანოები, რომლებიც იურიდიული პირები არიან, დამოუკიდებლად გამოდიან სამეურნეო სამართლებრივ ურთიერთობაში, სადაც უშუალოდაა ერთმანეთთან შეხამებული მეურნეობის მმართველობისა და ქონებრივი ელემენტები და იურიდიული პირის სტატუსით არეგულირებენ ამ ურთიერთობის მხოლოდ ქონებრივ მხარეს<sup>9</sup>.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება სამეურნეო საქმიანობას ახორციელებს მართვის საკუთარი ორგანოების მეშვეობით. გაერთიანება კარგად უთავსებს მართვაში ერთმანეთს ერთმმართველობას და კოლექტიურობას. სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობაში კოლექტიურობისა და ერთმმართველობის საწყისების შეთავსების აუცილებლობაზე მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, როცა წერდა: „...შესათავსებელია ერთპიროვნული განმკარგულებელი ხელისუფლება... საერთოდ დემოკრატიულ ორგანიზაციებთან, კოლექტიურ საწყისთან მმართველობაში“...<sup>10</sup>.

გაერთიანების მართვის უმაღლესი ორგანოა გაერთიანების საბჭო, რომელიც იქმნება სახალხო დებუტატთა რაიონული საბჭოს სესიაზე შესაბამისი აღმასრულებელი კომიტეტის წარდგენით. საბჭოს შემადგენლობაში შედიან აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე — საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობათა დირექტორები, აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგების საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები და შესაბამის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

საკავშირო ტიპობრივი დებულებისაგან განსხვავებით საქართველოში მოქმედი ტიპობრივი დებულება ითვალისწინებს გაერთიანების გამგეობის არჩევას, რომელიც გაერთიანების საბჭოსთან ერთად ახორციელებს გაერთიანების მართ-

<sup>9</sup> В. В. Лаптев, Правовая организация хозяйственных систем, М., 1978, с. 70.

<sup>10</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 244.



ვას და საბჭოს სხდომებს შორის პერიოდში ხელმძღვანელობს გაერთიანების საქმიანობას.

ამრიგად, გვაქვს მართვის ორი ორგანო: საბჭო და გამგეობა. ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად მიზანშეწონილია ორთავეს ერთდროულად არსებობა, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ ასეთ პირობებში გარდაუვალია მათ შორის ფუნქციების, მათი უფლებამოსილებების აბსოლუტურად ზუსტი და ამომწურავი გამოიჯნა, რაც არ არის დებულებით განსაზღვრული. გაერთიანების საბჭოს და გაერთიანების გამგეობის ფუნქციები დებულების ცალ-ცალკე პუნქტებშია მოცემული, მაგრამ ეს პუნქტები არ შეიცავენ ამ უფლებამოსილებათა ამომწურავ ჩამოთვლას. გარდა ამისა, დებულების მე-3 განყოფილებაში მოცემულია გაერთიანების უფლებები და მოვალეობები, რომლებსაც ახორციელებს გაერთიანების საბჭო და გამგეობა, მაგრამ არავითარი მითითება არ არის იმის შესახებ, თუ რომელს ახორციელებს საბჭო და რომელს გამგეობა.

ყრველივე ამის გამო, სასურველია სრულყოფილად ჩამოყალიბდეს დებულების მე-11 პუნქტი, სადაც გაერთიანების გამგეობის ფუნქციებია ჩამოთვლილი. მიზანშეწონილია დებულებიდან ამოღებულ იქნეს მე-9 პუნქტი — გაერთიანების საბჭოს უფლებამოსილებათა შესახებ, ხოლო მე-3 განყოფილებაში ჩამოთვლილ უფლებებსა და მოვალეობებს ახორციელებდეს მხოლოდ გაერთიანების საბჭო. სასურველია აგრეთვე დებულებით განისაზღვროს იმ თანამდებობის პირთა წრე, რეგულაციც შედიან გაერთიანების გამგეობაში.

გაერთიანების მართვაში ფართო უფლებები აქვს მინიჭებული გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარეს — გამგეობის თავმჯდომარეს, რომელიც ამავე დროს სახალხო დებუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილეა. იგი ახორციელებს გაერთიანების კომპეტენციის განსაზღვრულ ნაწილს.

საკავშირო ტიპობრივი დებულებით დადგენილი წესით რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება იქმნება სოფლის მეურნეობის სამმართველოს ბაზაზე. მისგან განსხვავებით, საქართველოში მოქმედი დებულების შესაბამისად გაერთიანების საბჭოს აპარატი მმართველობის განცალკევებული აპარატია, რომელიც შედგება სხვადასხვა განყოფილებისა და ჯგუფისაგან.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვას. სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის თანამედროვე დონეზე დაგეგმვა ახალ ამოცანებს ისახავს. გაერთიანებამ თავის საქმიანობაში ცენტრალიზებულ დაგეგმვას კარგად უნდა შეუხამოს საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეო დამოუკიდებლობა და ინიციატივა. „უპირველეს ყოვლისა, ხარისხობრივად ახალ დონეზე იქნება აყვანილი დაგეგმვა. მან უნდა დააკავშიროს ცალკეული დარგებისა და უწყებების გეგმები, უზრუნველყოს აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა რგოლის პროპორციული განვითარება, შექმნას პირობები ყველა დონეზე მისი ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის“<sup>11</sup>.

გაერთიანების საქმიანობა აგებულია რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი და წლიური ვეგ-

<sup>11</sup> М. Горбачев, Продовольственная программа и задачи ее реализации, «Коммунист», № 10, 1982, с. 15.



მების საფუძველზე, რომლებიც მოიცავენ მასში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების შესაბამისი გეგმების ძირითად მაჩვენებლებს, აგრეთვე მთლიანად რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების სხვა მაჩვენებლებს.

აგროსამრეწველო გაერთიანება ამტიკიებს მის შიგნით საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ გაწეული მომსახურებისა და შესრულებული სამუშაოების ფასდებებს, აწესებს საანგარიშსწორებო ფასებს იმ რესურსებზე, რომელსაც ერთმანეთს აწვდიან მასში შემავალი საწარმოები და ორგანიზაციები, ქმნის მატერიალური წახალისების, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის, წარმოების განვითარების ცენტრალიზებულ ფონდებს და ა. შ.

თავის საქმიანობას რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება ახორციელებს ოპერატიული მმართველობის უფლებით მისთვის მიჩენილი ცენტრალიზებული ფონდებითა და სხვა ქონებით. გაერთიანების ქონება განცალკევებულია როგორც სხვა ორგანოების, ასევე მასში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების ქონებისაგან. ამიტომ საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო საწარმოებისათვის მიჩენილი ქონება და კოლმეურნეობების ქონება, რომელიც მათ საკუთრებას წარმოადგენს, აისახება მათს დამოუკიდებელ ბალანსებზე, ხოლო გაერთიანებაზე მიმაგრებული ქონება — გაერთიანების დამოუკიდებელ ბალანსზე.

ქონებრივი განცალკევებულობის შესაბამისად გამიჯნულია გაერთიანებისა და მასში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების ქონებრივი პასუხისმგებლობა. ტიპობრივი დებულებით განსაზღვრულია გაერთიანების, როგორც იურიდიული პირის, ქონებრივი პასუხისმგებლობის ფარგლები. იგი თავის ვალდებულებებზე პასუხს აგებს მისთვის მიჩენილი იმ ქონებით, რომელზეც სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება მიქცეულ იქნეს გადახდევინება. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 96-ე, 99-ე და 102-ე მუხლებით ზუსტად არის განსაზღვრული იურიდიული პირის ქონების სახეები, რომლიდანაც არ შეიძლება გადახდევინება. აქ ნათქვამია, რომ კრედიტორების პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად არ შეიძლება გადახდევინება სოციალისტური ორგანიზაციების იმ ქონებიდან, რომელიც მიეკუთვნება მათს ძირითად საშუალებებს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, გადახდევინება შეიძლება მიქცეულ იქნეს გაერთიანების ფულად საშუალებებზე იმ ოდენობით, რომ არ დაბრკოლდეს მისი საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის ნორმალური მსვლელობა.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ქონების ძირითად ნაწილს წარმოადგენს ეკონომიკური სტიმულირების ფონდები, რომლებიც იქმნება მასში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების შესაბამისი ფონდებიდან სახსრების ანარიცხების ხარჯზე. ცენტრალიზებულ ფონდებში ანარიცხების ოდენობა და მათი გამოყენების წესი განსაზღვრულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სახბანკის მიერ 1983 წლის



24 თებერვალს დამტკიცებული დებულებით რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ცენტრალიზებული ფონდების სახსრების შექმნისა და გამოყენების წესის შესახებ<sup>12</sup>.

გაერთიანების მიერ მართვის და საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების ცენტრალიზებულად შესრულება და ცენტრალიზებული ფონდების შექმნა ცვლილებებს იწვევს მასში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა სტატუსში. ამის გამო აუცილებელია შესაბამისად ცვლილებათა და დამატებათა შეტანა იმ ნორმატიულ აქტებში, რომლებიც განსაზღვრავენ ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა სტატუსს.

ტიპობრივი დებულების თანახმად, რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებაში შემავალი ორმაგი დაქვემდებარების საწარმოთა ზემდგომმა ორგანოებმა თავიანთი სისტემის საწარმოთა განვითარების საკითხები უნდა გადაწყვიტონ მხოლოდ გაერთიანებასთან შეთანხმებით. ასეთი ურთიერთდამოკიდებულება პრაქტიკაში ხშირად წარმოშობს გაუგებრობას, რის გამოც მიზანშეწონილად მიგვაჩნია ტიპობრივი დებულებით განისაზღვროს, თუ რა კონკრეტული უფლებები და მოვალეობები აქვს გაერთიანებას მასში შემავალი ორმაგი დაქვემდებარების საწარმოებისადმი.

ყოველი რაიონის სასურსათო პროგრამის წარმატებით რეალიზაციისათვის სასურველია რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების შემადგენლობის იმგვარად დახვეწა, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის შექმნაში მონაწილეობდეს გაერთიანებაში შემავალი ყველა საწარმო და ორგანიზაცია.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების სტატუსი მომავალში კიდევ უფრო დაიხვეწება. გაერთიანებათა საქმიანობის პრაქტიკა უდავოდ წამოაყენებს ახალ პრობლემებს, რომელთა გაანალიზება და სწორად გადაწყვეტა ხელს შეუწყობს როგორც თვით გაერთიანების სტატუსის სრულყოფას, ისე გაერთიანებისა და მასში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების ურთიერთკავშირის სამართლებრივი ფორმების გაუმჯობესებას.



<sup>12</sup> Бюллетень нормативных актов министерств и ведомств СССР, 1984, № 2, с. 29.





# საერთაშორისო კერძო საპარტლის როლი სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებაში

ი. ა. ფალიაშვილი

სკკპ XXVI ყრილობაზე ითქვა, რომ „დემოკრატიულ საფუძველზე, თანასწორუფლებიანობის საწყისებზე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის გარდაქმნა ისტორიულად კანონზომიერია“<sup>1</sup>. ამის შესაბამისად ბოლო ხანს სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური ურთიერთობა კიდევ უფრო ღრმავდება და ვითარდება.

თანასწორობის საფუძველზე სახელმწიფოთა ორმხრივი სასარგებლო საქმიანი ურთიერთობა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის რეალიზაციის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. სსრ კავშირი განუზრგვლად და თანამიმდევრულად იბრძვის ასეთი ურთიერთობის გაფართოებისათვის, რაც გამომდინარეობს სსრ კავშირის კონსტიტუციის 28-ე მუხლის მოთხოვნიდან.

ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურულ დარგში მრავალრიცხოვანი საერთაშორისო კავშირურთიერთობა მოითხოვს შესაბამის მოწესრიგებას სამართლებრივი ნორმებით. ამიტომ სამართლის როლი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის დარგში განუზრგვლად იზრდება.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის მოწესრიგება სამართლებრივი საშუალებებით, როგორც წესი, ხდება საერთაშორისო სამართლებრივ (საერთაშორისო საჯარო სამართლის) და სამოქალაქო სამართლებრივ (საერთაშორისო კერძო სამართლის) დონეზე. საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობის შემდგომი განვითარება განპირობებულია ორი ფაქტორით: 1. სახელმწიფოთა შორის საქმიანი ურთიერთობის დამყარებით და 2. ყოველი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი სამოქალაქო სამართლის სისტემით, რასაც საფუძველად უდევს მოცემული სახელმწიფოს კონკრეტული ისტორიულ-საზოგადოებრივი პირობები.

ამ თავისებურების გათვალისწინებით საჭიროა სამართლებრივი ნორმების ისეთი სისტემა, რომელიც გამოიცხადებს გაურკვევლობას საერთაშორისო სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების სფეროში. სამართლებრივი ნორმების ასეთი სისტემა ხელს შეუწყობს საერთაშორისო საქმიანი ურთიერთობის განვითარებას. მხარეები კი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ასეთ ურთიერთობაში, არსებითად უზრუნველყოფილი იქნებიან სათანადო სამართლებრივი გარანტიებით.

საერთაშორისო ურთიერთობაში მონაწილე სახელმწიფოები უკვე მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მათ არ შეუძლიათ ანგარიში არ გაუწიონ პარტნიორთა სახელმწიფო სამართლებრივ ნორმებს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი არ შეესაბამება მათ სამართლის ნორმათა სისტემას<sup>2</sup>.

საერთაშორისო კერძო სამართალი აწესრიგებს იმ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობას, რომელიც წარმოიშობა საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში. იურიდიულ და ფიზიკურ პირთა გარდა, საერთაშორისო კერძო სამართლის ობიექტებია იზვიათ შემთხვევაში სახელმწიფოთა ქონებრივი და არაქონებრივი ურთიერთობანი, გართულებული საერთაშორისო ელემენტით. საერთაშორისო ელემენტი ნიშნავს იმას, რომ სამართლებრივი ურთიერთობის

<sup>1</sup> სკკპ ყრილობის მასალები, თბ., 1981, გვ. 22.

<sup>2</sup> Чешир, Норт. Международное частное право, М., Прогресс, 1982, с. 18.



ერთ-ერთი სუბიექტია უცხოელი პირი ან სახელმწიფო. ამ სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი იმყოფება საზღვარგარეთ, ანდა იურიდიული ფაქტი, რომელიც წარმოიშვა, შეიცვალა ან შეწყდა, მოხდა საზღვარგარეთ.

სპეციალურ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებულია მოსაზრება, რომ იმ სამართლებრივ ურთიერთობას, რომელსაც აწესრიგებს საერთაშორისო კერძო სამართალი, აქვს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი. ამიტომ საერთაშორისო კერძო სამართალი განხილულ უნდა იქნეს, როგორც თითოეულ სახელმწიფოში არსებული სამართლის სისტემის ნაწილი, რომელიც ატარებს ცივილურ ხასიათს. ის ფაქტი, რომ სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელსაც აწესრიგებს საერთაშორისო კერძო სამართალი ყოველთვის გართულებულია საერთაშორისო ელემენტით, საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ საერთაშორისო კერძო სამართალი არის არა სამოქალაქო სამართლის ნაწილი, არამედ შიდა-სახელმწიფოებრივი სამართლის სისტემის დამოუკიდებელი დარგი.<sup>3</sup>

ამ მოსაზრების მომხრე ავტორები სამართლიანად და დასაბუთებულად უარყოფენ იმ შეხედულებას, რომ საერთაშორისო კერძო სამართალი არის საერთაშორისო სამართლის სისტემის ნაწილი. თუმცა მათ შორის არის მკიდრო კავშირიც, რაც გამოიხატება ურთიერთ-ზემოქმედებითა და ურთიერთგავლენით. მაგალითად, საერთაშორისო კერძო სამართლის ისეთი ინსტიტუტი, როგორც არის სახელმწიფო იურისდიქციული იმუნიტეტი, გამოდინარეობს სახელმწიფოს სუვერენულობიდან და ამ უკანასკნელის ერთ-ერთი გამოვლინებაა. ამ კავშირის ილუსტრაცია შეიძლება აგრეთვე საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივი რეგულირების სფეროდანაც. საერთაშორისო სამართლებრივ დონეზე იდება მრავალი შეთანხმება, ხელშეკრულება, კონვენცია, რომლებშიც ამა თუ იმ ზომით აისახება საერთაშორისო კერძო სამართლის საკითხები ანდა ისინი მთლიანად ეძღვნება საერთაშორისო კერძო სამართალს.

არც ერთი ნორმა, რომელსაც შეიცავს საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები (შეთანხმება, ხელშეკრულება, კონვენცია) და რომლებიც წერმოქმნიან უფლება-ვალდებულებებს მხოლოდ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე სახელმწიფოებისათვის, არ არის სავალდებულო საერთაშორისო კერძო სამართლის სუბიექტებისათვის, სანამ ეს ნორმა არ იქნება ტრანსფორმირებული შიდასახელმწიფოებრივ სამართალში, ე. ი. სანამ იგი არ იქცევა მოცემული სახელმწიფოს კანონმდებლობის ნაწილად.

მაშასადამე, სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობა, გართულებული საერთაშორისო ელემენტით რეგულირდება ისეთი ტრანსფორმირებული ნორმებით, რომლებიც უკვე გამოდიან არა როგორც საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები, არამედ როგორც მოცემული სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნორმები ატარებენ *lex specialis* ხასიათს და განსხვავდებიან შიდასახელმწიფოებრივი სამართლის სხვა ნორმებისაგან თავიანთი საერთაშორისო სამართლებრივი წარმოშობით, რაც ყოველთვის იწვევს შესაბამის იურიდიულ შედეგს. ამ ნორმების ასხნა-განმარტება უნდა მოხდეს, როგორც სწორად აღნიშნავს ს. ნ. ლებდევი, არა მოცემული სახელმწიფოს სამოქალაქო სამართლებრივი პრინციპებით (თუმცა ტრანსფორმაციის საფუძველზე ისინი წარმოადგენენ მოცემული სახელმწიფოს კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილს), არამედ მათი საერთაშორისო სამართლებრივი წარმოშობის გათვალისწინებით.<sup>4</sup>

ამრიგად, საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო კერძო სამართალი პარალელუ-

<sup>3</sup> См.: Лунц Л. А. Курс международного частного права, общ. часть, М.: Юрид. лит., 1973; Матвеев Г. К. Международное частное право, как отрасль советского права. — Советское государство и право, 1980, № 6; Лебедев С. Н. О природе международного частного права. — В кн.: Советский ежегодник международного права, 1979, М.: Наука, 1980; Бабаев М. Х. Международный договор и источники международного частного права. — Вестник Киевского университета. Киев, изд-во при КГУ, 1981, № 13; Машенко В. В. Об отграничении предмета международного частного права от предмета смежных правовых наук. — Вестник КГУ, 1978, № 6.

<sup>4</sup> См.: Блищенко Н. П. Международное публичное и международное частное право. XXII ежегодное собрание советской ассоциации МП: Тез. докл., М., 1979.

<sup>5</sup> ს. ნ. ლებდევი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 74.



რად აწესრიგებენ სხვადასხვა დონეზე წარმოშობილ საერთაშორისო ურთიერთობებს. საერთაშორისო სამართალი, როგორც ცალკე დამოუკიდებელი სამართლებრივი სისტემა, არეგულირებს ურთიერთობას, რომელიც წარმოიშვა სახელმწიფოთა შორის, ხოლო საერთაშორისო კერძო სამართალი, როგორც თითოეული სახელმწიფოსათვის სამართლის ცალკე და დამოუკიდებელი დარგი, — სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებს, რომელიც გართულებულია საერთაშორისო ელემენტით.

საერთაშორისო კერძო სამართლის სისტემა შედგება ორი სახის ნორმებისაგან (ამ დაყოფას საფუძვლად უდევს სამართლებრივი რეგულირების მეთოდი): 1. კოლიზიური ნორმები (რომლებიც მიღებულია მოცემული სახელმწიფოს მიერ დამოუკიდებლად, ანდა საერთაშორისო სამართლებრივი წარმოშობის უნიფიცირებული კოლიზიური ნორმები); 2. სამოქალაქო მატერიალურ-სამართლებრივი ნორმები (როგორც საერთაშორისო სამართლებრივი წარმოშობის უნიფიცირებული ნორმები, ისე ნორმები, რომლებიც ამ სახელმწიფოს მიერ დადგენილია დამოუკიდებლად). ამ უკანასკნელის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ უცხოელი მოქალაქეების სამართლებრივ მდგომარეობას.

ისტორიულად კოლიზიური ნორმები წარმოადგენენ საერთაშორისო კერძო სამართლის საფუძველს. როგორც ს. ნ. ლებედევი აღნიშნავს, ასეთი ნორმების წარმოშობა, კოლიზიური სამართლის დაარსება და განვითარება რეგულარულად ასახავს სამოქალაქო ბრუნვის ინტერნაციონალიზაციას. ეს ინტერნაციონალიზაცია გულისხმობს იმ სამართლებრივი ურთიერთობის ცნობის აუცილებლობას, რომელიც წარმოიშობა მოცემული სახელმწიფოს კანონების საფუძველზე, არა მარტო ამ სახელმწიფოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ.

ამრიგად, კოლიზიური ნორმის დანიშნულებაა გადაწყვიტოს კოლიზია მოცემული სახელმწიფოს კანონსა და სხვა უცხოურ სახელმწიფოს კანონთა შორის. ეს არის სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმა და მიუთითებს, თუ რომელი სახელმწიფოს სამართალია კომპეტენტური გადაწყვიტოს მოცემული სამართლებრივი ურთიერთობა, გართულებული საერთაშორისო ელემენტით.

შეცნიერებასა და პრაქტიკაში სხვადასხვა თვალსაზრისია იმის თაობაზე, თუ რას გულისხმობს კომპეტენტური სამართალი, რომელსაც მიუთითებს კოლიზიური ნორმა.

სსრ კავშირში, ზოგიერთ სოციალისტურ სახელმწიფოსა და საფრანგეთში კომპეტენტური სამართალი გულისხმობს სახელმწიფო სამართლის მთელ სისტემას, როგორც მატერიალურ, ისე კოლიზიურ სამართალს.

იტალიაში, საბერძნეთში, ეგვიპტესა და ზოგიერთ სხვა სახელმწიფოში კომპეტენტური სამართალი გულისხმობს მხოლოდ მოცემული სახელმწიფოს მატერიალურ სამართალს.

ინგლისის სასამართლო პრაქტიკა ამ საკითხს წყვეტს სამართლებრივი ურთიერთობის სახისა და სამართლებრივი ურთიერთობის გარემოებას გათვალისწინებით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიყენება კვერის მეთოდი, რაც იმით გამოიხატება, რომ კოლიზიური ნორმა მიუთითებს არა სამართალზე მთლიანად, არამედ კონკრეტულ მატერიალურ ნორმაზე. ამ მეთოდის ნაკლი ის არის, რომ იგი ამბინჯებს სხვა უცხო ქვეყნის სამართლის შინაარსს. ამ შემთხვევაში მატერიალური ნორმა გაიგება და გამოიყენება იწოდებულად, თავისთავად, სამართლის სისტემას მოწყვეტით, რომლისგანაც იგი წარმოიშობა.

თანამედროვე პირობებში უმრავლეს საერთაშორისო კონვენციებში კომპეტენტური სამართალი გულისხმობს მოცემული სახელმწიფოს მატერიალურ სამართალს და უკუმიითება ან მესამე კანონზე მითითება არ დაიშვება (მაგალითად, ის. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს მიწოდების საერთო პირობები, მიღებული 1968-1975 წლებში 1979 წლის რედაქციით, თავი XVII, 110). საკითხის ამგვარი გადაწყვეტა საგრძნობლად აადვილებს საერთაშორისო სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირებას.

შანამდე იარსებებს განსხვავება სხვადასხვა სახელმწიფოს სამოქალაქო სამართალში, კოლიზიური ნორმები დარჩება საერთაშორისო საქმიანი ურთიერთობის განვითარების აუცილებელ პირობად. ლ. ა. ლუნცმა აღნიშნა, რომ კოლიზიური ნორმა იმ მატერიალურ ნორმასთან ერთად, რომელსაც იგი ეყრდნობა, აყალიბებს ქვეყნის წესს სამოქალაქო ბრუნვის ურთიერთობის სუბიექტებისათვის.

<sup>6</sup> ს. ნ. ლებედევი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 64.

<sup>7</sup> Лунц Л. А. Указ. соч., с. 188.



# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ 1980-84 წლებში ჩატარებული მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ა. კარანაძის მოხსენება უმაღლესი სასამართლოს მიერ 1980-84 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ, რომელიც ხელმძღვანელობდა მართლწესრიგის დაცვის და სამართალდარღვევებთან ბრძოლის გაძლიერების, აგრეთვე დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცების თაობაზე პარტიული ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით და ასრულებდა რა კანონმდებლობით განსაზღვრულ ფუნქციებს, მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია მართლმსაჯულების განხორციელებისა და რესპუბლიკის სასამართლოებისადმი ზედამხედველობის სრულყოფის, სასამართლო პრაქტიკის განვითარების გაუმჯობესებისათვის. გამწვავდა ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დაცვებათა, მექრთამეობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინტერესების, მოქალაქეთა კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის.

არსებითად ამაღლდა უმაღლესი სასამართლოს მიერ საქმეთა განხილვის ოპერატიულობა და ხარისხი. გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებათა სტაბილურობა და დანაშაულით მიყენებული ჯარალის ანაზღაურება, მკვეთრად შემცირდა გაპროტესტებული და გასაჩივრებული განჩინების, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა რაოდენობა, დახვეწა გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობის ფორმები და მეთოდები, მოქალაქეთა მიღების, მათი საჩივრებისა და განცხადებების განხილვის ორგანიზაცია.

ამასთან ერთად, ნათქვამია დადგენილებაში, უმაღლესი სასამართლოს საქმიანობაში კვლავ არის ნაკლოვანებანი. იმის გამო, რომ უმაღლესი სასამართლო სათანადო ზედამხედველობას ვერ უწევს ქვემდგომ სასამართლოებს მართლმსაჯულების სწორ განხორციელებაში, ჯერ კიდევ ბევრია საკასაციო და ზედამხედველობის წესით განაჩინებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებისა და შეცვლის შემთხვევები. ამის მიზეზი იხიცი არის, რომ უმაღლეს სასამართლოს არა აქვს სათანადო კოორდინაცია რესპუბლიკის ფუნქციის სამინისტროსთან. უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ყოველთვის ოპერატიულად არ ახდენს სათანადო რეაგირებას სასამართლო პრაქტიკის მიერ წამოჭრილ საკითხებზე, კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით. პლენუმის სხდომებზე იშვიათად იხმენენ შესაბამისი სასამართლოების თავმჯდომარეთა ინფორმაციებს კანონების შესრულების თაობაზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ. ვიანურდება პლენუმის მოქმედ დადგენილებათა კრებულების გამოცემა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ცნობად მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ა. კარანაძის მოხსენება უმაღლესი სასამართლოს მიერ 1980-84 წლებში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს დაევალა განაგრძოს სისტემატური და გეგმაზომიერი მუშაობა მისი საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარებული სოციალიზმის მოთხოვნათა დონეზე დისციპლინისა და ორგანიზებულობის უზრუნველყოფისათვის; განხორციელოს დამატებითი ღონისძიებანი რესპუბლიკის სასამართლოების საქმიანობისადმი ზედამხედველობის ეფექტიანობის ასამაღლებლად, კანონმდებლობის სწორად გამოყენებაში დახმარების გასაძლიერებლად და სასამართლო პრაქტიკის სწორად ფორმირებისათვის; განხორციელოს ღონისძიებანი სასამართლო პროცესების აღმწარდებლობითი შემოქმედებისა და გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობის სხვა ფორმების შედგენისათვის; ოპერატიული რეაგირება მოახდინოს პლენუმის მიერ სასამართლო პრაქტიკაში კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით წამოჭრილ საკითხებზე; იზრუნოს პლენუმის მოქმედ დადგენილებათა კრებულების გამოცემისათვის.



# გზისკენ

## ქოლხიის გაფართოებული სვლა

1985 წლის 8 თებერვალს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სხდომათა დარბაზში გაიმართა სამინისტროს კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელმაც განიხილა გასული წლის მუშაობის შედეგები.

გაფართოებული კოლეგიის სხდომას დაესწრნენ სამინისტროს კოლეგიის წევრები, აპარატის ხელმძღვანელი მუშაკები, საქალაქო და რაიონული სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეები, ნოტარიუსები, იურიდიული კონსულტაციების გამგეები, მშაჩის ორგანოების ხელმძღვანელები.

სხდომა გახსნა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ბ. შუშანაშვილმა.

მოხსენებებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ზ. რატიანი, მოადგილეები ბ. კვიციანი და თ. ნინიძე.

რესპუბლიკის იუსტიციის ორგანოების კომუნისტების, კომკავშირელებისა და ყველა მუშაკისადმი მიმართულ წერილში, რომელიც ამას წინათ დაიგზავნა, თქვა ამხ. ზ. რატიანმა. დასახული და გაანალიზებულია ჩვენი საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი, მიღწეული შედეგები, ნაჩვენებია ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი, დასახულია მათი აღმოფხვრის გზები და მეთოდები, სამინისტროს და ადგილობრივი პარტიული ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკების მონაწილეობით განხილვის ყველა ჩვენს დაწესებულებაში. ამ ღონისძიებებმა ხელი შეუწყო დასახულ მიზანს — მართლწესრიგის განმტკიცებას.

შარშან ნაყოფიერად იმუშავა კანონთა პროექტების მომზადების, კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და კოდეფიკაციის სამმართველომ. ნაშეცნიერო დაწესებულებების, აგრეთვე დაინტერესებული უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ურთიერთთანამშრომლობით მომზადდა და დასაბუთდალ გადაეცა რესპუბლიკის კანონთა კრებულის სამტრომულის II და III ნაწილი. მომზადდა ხელმოკრულად გამოსაცემად საქართველოს სსრ საბინაო, სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო, სამოქალაქო სამართლის, სამოქალაქო სამართლის საპროცესო, მიწის, ტყის, წყლის, წიაღისეულის, შრომის კანონთა, საქორწინო და საოჯახო, აღმი-

ნისტრაციული სამართალდარღვევების კოდექსები. ამით საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ პირნათლად შეასრულა რესპუბლიკის კომპარტიის XXVI ყრილობის დავალება და ამას საიამაყით მოვასხენებთ მომდევნო ყრილობას.


იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით და აქტიური მონაწილეობით დამუშავდა მრავალი ბრძანებულება, რომლებიც შემდეგ მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. კერძოდ, მოვამზადეთ აწარტული თამაშებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების, ფიქტიური ქორწინებისა და ქორწინების შეწყვეტის, ვენახის უკანონოდ გაჩვენის, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების თაობაზე ბრძანებულებების პროექტები.

შარშან სამინისტრომ გამოსცა სასურსათო პროგრამის შესახებ ნორმატიული აქტების კრებული, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებების 6 კრებული, 170 ნორმატიულ აქტზე დაიწერა დასკვნა და სხვ.

როგორც ჩანს, საანგარიშო პერიოდში ცუდად არ გვიმუშავია, მაგრამ დღეს ჩვენ შევიკრიბეთ ჩვენი საქმიანობის არა პოლიტიურ მხარეებზე სალაპარაკოდ, არამედ იმ ნაკლოვანებებისა და ხარვეზების პირუთვნელად წარმოჩენისათვის, რომლებსაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვხვდებით ჩვენს ყოველდღიურ შრომაში. კერძოდ, ზოგჯერ გვაკლია კანონმდებლობის სწორად გააზრების კულტურა, ყოველთვის ღრმად არ ვწვდებით განსახილველად წარმოდგენილი ამა თუ იმ ნორმატიული აქტის შინაარსს, რომელიც კვალიფიციურ შეფასებას მოითხოვს; ამას გარდა, დღემდე მოუგვარებელია ადგილებზე საკოდეფიკაციო მუშაობა.

გასულ წელს, თქვა მომხსენებელმა, იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულება, რა გორც ყოველთვის, კვლავ იყო სამართლებრივი პრობანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის ორგანიზაციის სრულყოფის პრობლემები. შარშან დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად გაიმართა მრავალი საინტერესო, ქმედითი ღონისძიება. ყოველმხრივ გაამართლა სამართლებრივი





პროპაგანდის ახალმა ფორმამ — უშუალოდ შრომით კოლექტივებში გასვლამ. სამინისტროს (ენტრალური აპარატის ხელმძღვანელ მუშაკი) ასეთი ღონისძიება ჰქონდათ წაშუ-რის გე. ექვორის, ვარდახის, სვარჯიხისა და ლაგოდნის რაიონებში. სამართლებრივი პრო-პაგანდის რაიონული და საქალაქო საკოორ-დინაციო-მეთოდოლოგიური საბჭოების მეშვეობით სამინისტრომ შრომით კოლექტივებში მოაწყო სამართლებრივი მუშაობის კვირეულები, იმარ-თებოდა კითხვა-პასუხის საღამოები, მშრო-მელთა შეხვედრები სამართალდამცავი ორგა-ნოების მუშაკებთან. სამხედრო კომისარია-ტებთან ერთად სისტემატურად ვესაუბრებით წვევამდებებს სოციალისტური სამშობლოს დაცვის, საბჭოთა მოქალაქეთა წმითადაწმიდა მოვალეობის შესახებ, ვაცნობთ საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონსა და სხვა ნორმატიულ აქტებს. სსრ კავშირის „შრომი-თი კოლექტივების შესახებ“ კანონის ფართო პროპაგანდის მიზნით კიროვის ჩარხშიწმენბელ ქარხანაში და საწარმოო გაერთიანება „ისან-ში“ გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონ-ფერენციები თემაზე: „საბჭოთა აღმავალი წარ-მოების სრულყოფილიანი ბატონ-პატრონი“.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სამართლებრივი პროპაგანდის საქმეში ცალკე ბევრი ნაკლია. ნაკლები ყურადღება ექცევა ლექციური პროპაგანდის ხარისხს, მის თემატი-კას, ჭერ კიდევ. სათანადოდ ვერ ავამოქმედეთ სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსი-ტეტები, მიუხედავად ჭიანურდება ამ ქსე-ლის გაფართოება; აქტიურად არ არის გამო-ყენებული თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებ-ბები, სათანადო მეთოდურ დახმარებას ვერ ვუწევთ ამხანაგურ სასამართლოებს, სამარ-თლდარღვევითა პროფილაქტიკის საბჭოებს, სახალხო მსახულებს, რაზმელებს, სამართლებ-რივი პროპაგანდის საქმეში ჭერ კიდევ სრუ-ლად არ ვიყენებთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, სუსტად შექმდება სამოქალაქო, საბანაო, მიწის, საენისო, სოჯანო კანონმ-დებლობა.

დასასრულ ზ. რატინამა თქვა: მიმდინარე წელს მეტი შემართება და შეუპოვრობა გვა-მრთებს პარტიის საპროგრამო მოთხოვნების ხორცშესხმისათვის, ენერჯია და ძალა არ უნ-და დავიშუროთ მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცებისათვის.

რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებმა, თქვა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტ-რის მოადგილემ ა. პპიწინინამ, გასულ წელს წაყოფიერად იმუშავეს სოციალისტური კანო-ნიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებში-

სათვის. წინა წლებთან შედარებით ბევრად გაუმჯობესდა სასამართლოების მიერ სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმე-თა განხილვის ხარისხი, მათი განაჩენებისა და გადაწყვეტილებების უდიდესი უმრავლესობა გამოტანილია კანონიერების სრული დაცვით, ვადის დარღვევით განხილულია სისხლის სა-მართლის საქმეთა მხოლოდ 5,3 პროცენტი. როგორც ვხედავთ, სასამართლოების საქმი-ანობაში შეიმჩნევა საერთო პოზიტური ცვლილებანი. მიუხედავად ამისა, სასამართლო ორგანოების საქმიანობაში ჭერ კიდევ ვხვდე-ბით სერიოზულ ნაკლოვანებებს.

განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქ-მებისა და შეცვლის მიზეზების ანალიზი ცხად-ყოფს, რომ შეცდომები გამოწვეულია არა იმ-დენად განსახილველ საქმეთა სირთულით, რამდენადაც კანონისადმი, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო-ების პლენუმების სახელმძღვანელო დადგენი-ლებებისადმი უყურადღებო დამოკიდებულე-ბით, ზოგჯერ კი მტკიცებულებათა სუბიექ-ტური და ცალმხრივი გამოკვლევით, აგრეთ-თვე დაუდევრობითა და წინასწარი გამოძიე-ბის მასალებისადმი არაჭეოვანი მომთხოვნე-ლობით. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ ქ. თბილისის ორჯონიძის, აგრეთვე ზესტა-ფონის, კასპის, ვარდახის, ბოგდანოვის, ყაზ-ბეგისა და ხაშურის რაიონების სახალხო სა-სამართლოებში ათი და მეტი საქმე გაუქმდა. საქმეთა გაუქმებისა და შეცვლის მაღალი პროცენტია აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკაში და სამხრეთ ოსე-თის ავტონომიურ ოლქშიც.

კანონის დამახინჯებისათვის სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით ვაღაწე აღრე გა-მოწვეული არიან ქ. თბილისის ორჯონიძის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ძნელაძე, კასპის რაიონის სახალხო მოსამარ-თლე დეისაძე, ბოლნისის რაიონის სახალხო მოსამართლე ოსიპოვი, მკაცრი პარტიული სასჯელები მიიღეს ზესტაფონის რაიონის სა-ხალხო სასამართლოს თავმჯდომარე კუპატა-ძემ და სახალხო მოსამართლე ფუტკარაძემ.

კვლავ არადამაკმაყოფილებელია სამოქალა-ქო საქმეთა განხილვის ხარისხი. გაუქმებულ საქმეთა 60 პროცენტზე მეტი მოდის ქ. ჭი-ათურის, გეგეჭკორის, თერჯოლის, ცაგერის, ხობის, თეთრი წყაროს და სხვა რაიონების სახალხო სასამართლოებზე. შარშან გასაჩივრე-ბულ სამოქალაქო საქმეთა 20,7 პროცენტი გაუქმდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ 1984 წლის სექტემბერში საქართველოს კომპარ-ტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე



მკაცრად და საფუძვლიანად გაგვიკრიტიკეს. მდგომარეობის გამოსასწორებლად შემოვიღეთ სამოქალაქო საქმეებისადმი გაძლიერებული კონტროლის ახალი სისტემა.

სამწუხაროდ, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, რესპუბლიკის სახალხო სასამართლოებში კვლავ ხდება ლიბერალური განაჩენების გამოტანა და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 45-ე მუხლის დაუსაბუთებელი გამოყენება სახალხო ქონების დამტაცებლების, ქურდების, მძარცველების და სხვა საშიში დამნაშავეების მიმართ. სწორედ ასეთი დარღვევებისათვის იქნენ ვადაზე ადრე გამოწვეული საშურის, ზუგდიდის და ახმეტის რაიონების სახალხო მოსამართლეები: მაისაშვილი, ქირია და სარაჯიშვილი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მართლმსაჯულების ოპერატიულად განხორციელებას, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა დროულად განხილვის ორგანიზაციულ საკითხებს. ამის შესახებ სისტემატურად ვმსჯელობთ სამინისტროს კოლეგიაზე. მუშავდება კონტროლის სპეციალური სისტემა. გაჭიანურების ფაქტებს ხშირად განიხილავს ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კომისია. მიუხედავად ამისა, ძირეულ გარდატენას მაინც ვერ მივალწვით. სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის ვადების დაცვის საქმე განუწყვეტლივ უარესდება აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში (განხილულ საქმეთა 12,7 პროცენტი), ხობის (12,5 პროცენტი), მესტიის (14,8 პროცენტი), ვანის (18,6 პროცენტი) ყაზბეგის (8,2 პროცენტი), წყალტუბოს (6 პროცენტი) და სხვა რაიონების სახალხო სასამართლოებში. საჭირო ოპერატიულობას ვერც აჭარის ასს რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში და სამხრეთ ოსეთის საოლქო სასამართლოში იჩენენ.

სერიოზული პრეტენზიები გვაქვს აფხაზეთის ასსრ სახალხო სასამართლოების მიმართ, რომლებიც წლითიწლოებით უარესებენ მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხს, რითაც მნიშვნელოვნად უარესებენ მთლიანად რესპუბლიკის მაჩვენებლებს. აფხაზეთის ასსრ იუსტიციის მინისტრის შ. ლაკობასა და მისი მოადგილის ჩ. წულაიას დაპირებებს დასასრული არ უჩანს, საქმე კი ადგილიდან არ იძვრის.

უაღრესად აქტუალური საკითხია კადრების შერჩევა, მომზადება და განაწილება. იუსტიციის სამინისტროს კადრების სამმართველოს ხელმძღვანელობამ ზედმიწევნით ზუსტად უნდა იცოდეს სისტემის თითოეული მუშაკის პოლიტიკური, მორალური და პროფესიული

თვისებები. სამმართველოს მუშაკები მოვალენი არიან წინ უსწრებდნენ მოვლენებს, ახალიზებდნენ პიროვნების ჩამოყალიბების რთულ პროცესებს, სისტემატურად უწყვედნენ დახმარებას უარყოფითი თვისებების დროულად აღმოფხვრაში.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო, თქვა დასასრულ ა. კვიციანიამ, კვლავაც განუზრუნვლად იბრძოდნენ მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მუშაობაში ყოველგვარი ფორმალიზმის აღმოფხვრისათვის.

რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს ყველა სამსახურის საქმიანობის ღირსება-ნაკლოვანებანი გასული წლის შედეგების მიხედვით, თქვა იუსტიციის მინისტრის მოადგილემ მ. ნინიძემ, კონკრეტულად აისახა წერილში, რომელიც ფართო განხილვის საგნად იქცა. წერილში სათანადო ადგილი დაეთმო ნოტარიატის, მმჩის, ადვოკატურის, სახალხო მეურნეობაში იურიდიული სამსახურის და სასამართლო ექსპერტიზის ორგანოების მუშაობას, ამიტომ ახლა მხოლოდ იმ ტენდენციებსა და ამოცანებს შევხებით, რომელთა პრობლემატურა გამოიკვეთა წერილის განხილვისა და შრომით კოლექტივებთან შეხვედრის დროს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ მოქალაქეთა უფლებების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლების გაცემისა და დამოწმების შესახებ“ 1988 წლის 4 აგვისტოდან შევიდა ძალაში. ამ ბრძანებულების მიხედვით სანოტარო ორგანოები უნდა გამოთავისუფლებულიყო დოკუმენტების ასლების დამოწმებისაგან. მიუხედავად ამისა, გასული წლის შედეგების მიხედვით დოკუმენტების ასლების დამოწმების რაოდენობა 1988 წლის მაჩვენებელზე 14,8 პროცენტით მეტია. მართალია, ნოტარიუსების მიერ დოკუმენტების ასლების დამოწმება კანონით აკრძალული არ არის, მაგრამ მშრომელთა ინტერესებიდან გამომდინარე და შემოთ აღნიშნული ბრძანებულების რეალიზაციისათვის დაწესებულება-ორგანიზაციების მიერ ასეთი დამოწმების გაზრდის ხარკზე აუცილებლად უნდა შემცირდეს ეს მოქმედებები ნოტარიატში. საერთოდ კი, გასულ წელს სანოტარო მოქმედებათა ხარისხი რამდენადმე გაუმჯობესდა. რესპუბლიკის სახალხო სასამართლოებმა განიხილეს 88 სარჩელი სანოტარო მოქმედებათა გაუქმების შესახებ, აქედან 68 სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც 77,8 პროცენტს შეადგენს, ნაცვლად 1988 წლის 86



პროცენტისა. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ სასაზღვრო საზღვრების არაპრინციპული პოზიციების შესახებ. გასულ წელს სახელმწიფო ნოტარიუსების მიმართ გამოტანილი იქნა მხოლოდ 2 კერძო განჩინება, მაშინ, როცა, როგორც უკვე ვთქვით, 68 სანოტარო მოქმედება გაუქმდა.

საფუძვლიანი პრეტენზიები გვაქვს მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების ჩამწერი განყოფილებების მიმართაც, რადგან ჯერ კიდევ ხშირია სარეგისტრაციო წიგნებში უსწორო ჩანაწერების შეტანის, ყალბი დაბადების მოწმობების გაცემის შემთხვევები. ეს ორგანოები სათანადო სიფხილეს ვერ იჩენენ ქორწინებათა და განქორწინებათა განცხადებების განხილვისას, უფრო მეტრც, ზოგჯერ ფიციური მოქმედებათა აქტიურ ხელშეწყობებადაც კი გვევლინებიან. ასეთი უღირსი თანამშრომლების მმაჩის ორგანოებისაგან ჩამოცილებისათვის შეიძლება დახმარება უნდა გაგვიწიონ რაიონული საბჭოების აღმასკომებმა და პროკურატურის ორგანოებმა. მეტი პრინციპულია უნდა გამოიჩინონ აგრეთვე სახალხო სასაზღვრო საზღვრების მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების უსწორო ჩანაწერების შეტანის 25 ფაქტი დაადასტურეს, მმაჩის თანამშრომლების მიმართ არც ერთი კერძო განჩინება არ არის გამოტანილი.

სერიოზული პრობლემაა, თქვა მომხსენებელმა, რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის საქმიანობაში. იურიტიკთან შედგენილი მისიანია ლაპარაკი აღრიცხვიანობის როლსა და მნიშვნელობაზე, მაგრამ ფაქტია, რომ იურიდიულ კონსულტაციებში ზუსტი აღრიცხვიანობა მოიკლებს. საჭიროა მკაცრი პასუხისმგებლობა დაწესდეს სტატისტიკურ ანგარიშებში უსწორო მონაცემების შეტანის თითოეული ფაქტისათვის.

არაღმამკაყოფილებელია ადვოკატთა მონაწილეობის ხარისხი წინასწარი გამოძიების სტადიაში. ადვოკატების მიერ ამ სტადიაში დაყენებული 3129 შუამდგომლობიდან დაკმაყოფილებულია 844 შუამდგომლობა. ადვოკატებმა კი პროკურატურაში დასაჩივრეს მხოლოდ 254 დაუკმაყოფილებელი შუამდგომლობა, დადებითი პასუხი მიიღეს მხოლოდ 68 შუამდგომლობაზე. ეს ციფრები ცხადად მოწმობს, რომ ადვოკატები პროცესის ამ სტადიაში საქმისადმი კვალიფიციურ, პრინციპულ დამოკიდებულებას არ იჩენენ.

მართალია, შარშან შემცირდა სახალხო სასაზღვრო საზღვრების განხილულ სამოქალაქო საქმეთა რაოდენობა, მაგრამ ასეთ საქმეებში

ადვოკატთა მონაწილეობის მაჩვენებელი არ უმჯობესებულა და იგი შეადგენს განხილული სამოქალაქო საქმეების მხოლოდ 88,7 პროცენტს, ცხადია, თუ მოსარჩელე ან მოპასუხე საქმის სასაზღვრო განხილვისას არ ითხოვს წარმომადგენელს, კონსულტაცია მას საკუთარ ნებას თავს ვერ მოახვედს, მაგრამ ხშირია შემთხვევები, როცა ადვოკატები ასეთ საქმეებში დიდი ხალისით არ ერთვებიან, ამიტომ მომავალში იურიდიული კონსულტაციების საქმიანობის შეფასებისას სამოქალაქო საქმეებში მონაწილეობის რაოდენობა და ხარისხიანობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმად უნდა ჩავთვალოთ.

სტატისტიკური ანგარიშების ამჟამად არსებული ფორმა, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, ადვოკატურის საქმიანობის სრულყოფილ წარმოდგენას არ იძლევა. ჩვენს აზრით, ეს საქმე დადებითად გადაწყდება, თუ სტატისტიკურ ანგარიშებში აისახება და გაანალიზდება ის შუამდგომლობებიც, რომლებიც გამოძიებამ არ გაიზიარა, მაგრამ გათვალისწინებული იქნა საქმის პირველი ინსტანციის ან საკასაციო და საწესდამხედველო ინსტანციებში განხილვის დროს.

გასული წელი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის განყოფილებამ. აქ მომზადებული მასალების საფუძველზე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. ამჟამად განყოფილება იბრძვის შემუშავებული რეკომენდაციების სახალხო მეურნეობაში დანერგვისათვის. ამ მიმართებით კი გასაკეთებელი ბევრია. კერძოდ, ზოგიერთ სამინისტროსა და უწყებაში დამკვიდრებული არასწორი პრაქტიკის გამო იურიდიული სამსახურები სხვა ქვედანაყოფებთან ერთად სუსტად მონაწილეობენ სოციალისტური საკუთრების დადაცვის ხელშეწყობის მიზნების გამოვლენაში.

იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ შარშან სპეციალურად იმსჯელა საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის იურიდიული სამმართველოს მუშაობის თაობაზე, გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებანი. მიმდინარე წელს კოლეგია ისევ დაუბრუნდება ამ საკითხს.

გაფართოებული კოლეგიის სტადიაზე გამოვიდნენ ქ. თბილისის საქალაქო სასაზღვრო-თლოს თავმჯდომარე შ. მახარაძე, აჭარის ასსრ უმაღლესი სასაზღვრო-თლოს თავმჯდომარე ბ. ბორჩხაძე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური



ოლქის სახალხო დემპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების უფროსი პ. ფუხნაშვილი, ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ი. ტყეშელაშვილი, ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონული იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი პ. ჯინჭავაძე, საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე ვ. შარბაძე, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე პ. კობახიძე, ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ი. მუღლაშვილი, კასპის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ნ. შაქულაშვილი.

გაფართოებული კოლეგიის სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს პროპაგანდის განყოფილების უფროსმა პ. ტრებაქოშვიტმა. სამივე მოხსენება, თქვა მან, რომლებიც დღეს მოვისმინეთ, უაღრესად საქმიანი, პირუთენელი და კრიტიკული იყო. მათში კონკრეტულად აისახა და შეჯამდა რესპუბლიკის იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების საქმიანობა ყველა სფეროში. გამოითქვა მრავალი მეტად საყურადღებო წინადადება და მოსაზრება, რომელთა პრაქტიკული ხორცშესხმა ბევრად შეუწყობს ხელს მუშაობის სტილის შემდგომ გაუმჯობესებას. აქვე

უნდა აღვნიშნო, რომ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს უკანონო მსჯავრდებას, საქმეთა უსაშველოდ გაჭიანურებას, შეცდომებს განაჩენებში, სათანადო დონეზე ვერ არის აგრეთვე კადრებთან მუშაობის საკითხიც. ალბათ ყოველივე ამის მიზეზია, რომ იუსტიციის საკავშირო სამინისტროში საქართველოდან შემოსული საჩივრები საკმაოდ ბევრია. ყოველივე ამას ჩვენ გულგრილად ვერ ვუყურებთ — საჭიროა კარდინალური ღონისძიებების განხორციელება, რათა არსებული ნაკლოვანებები დროულად აღმოიფხვრას. მიმაჩნია, რომ ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდის რესპუბლიკაში შემუშავებული მეთოდები და ფორმები მოწონების ღირსია და ისინი ფართოდ უნდა დავსრუტო.

გაფართოებული კოლეგიის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა პ. ფუხნაშვილმა.

სხდომას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე ი. კოლუბა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. შოლბაძე.

პ. ბარბაქაძე

## საქართველოს სსრ პროკურატურის გაფართოებული კოლეგია

1985 წლის 1 თებერვალს გაიმართა საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელმაც განიხილა რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების გასული წლის მუშაობის შედეგები და 1985 წლის ამოცანები.

კოლეგიის თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ პროკურორი პ. ბარბაქაძე.

სხდომაზე მოწვეული იყვნენ აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურატურათა წარმომადგენლები, რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები, რაიონებისა და ქალაქების პროკურორები.

1984 წელს გაწეული მუშაობის შესახებ მოხსენებებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ პროკურორის პირველი მოადგილე ვ. რაჭმაძე,

მოადგილეები ვ. იოსელიანი და ვ. შარბაძე.

რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებმა, თქვა ვ. რაჭმაძემ, რომლებიც განუხრებლად ხელმძღვანელობენ სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებით და შემდგომი ორგანოების სადირექტივო მითითებებით, მნიშვნელოვნად გააქტიურეს ბრძოლა დამნაშავეობისა და სამართალდარღვევის წინააღმდეგ. რესპუბლიკაში კანონიერების განმტკიცებისათვის განხორციელებულ ღონისძიებათა წრე კი ფართო და მრავლისმომცველია. სოციალისტური კანონიერების განუხრებლ დაცვასთან ერთად ბევრი რამ კეთდება ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის აღკვეთის, შრომის, საშემსრულებლო და სახელ-



მწიფო დისციპლინის განმტკიცების, საკანონმდებლო საქმიანობის სრულყოფისა და მართლშეგნების შემდგომი ამაღლებისათვის. ამ საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საგამოძიებო განყოფილებაში, სადაც შედარებით უფრო თვალში საცემია პრაქტიკოსი იურისტების საქმიანობა, როგორც მათი წარმატებები, ასევე შეცდომები.

საგამოძიებო აპარატის სრულყოფის, საპროკურორო ზედამხედველობის გაუმჯობესებისათვის და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაქტიურების მიზნით შარშან საქართველოს სსრ პროკურატურამ შეიმუშავა და განახორციელა მთელი რიგი ორგანიზაციულ-პრაქტიკული ღონისძიებანი, რამაც უფრო მიზანმიმართული და შედეგიანი გახადა ჩვენი ყოველდღიური საქმიანობა, გამოიკვეთა შემოწმებულ და განწოგადებულ კონკრეტულ საქმეთა დიდი მნიშვნელობა დამნაშავეობასთან ბრძოლის გაუმჯობესებაში. ამ ღონისძიებათა განხორციელების დროს განსაკუთრებულ ყურადღება ექცეოდა უხარისხოდ გამოძიებულ საქმეებს და ისახებოდა გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის გზები. ამ მიზნით შარშან რესპუბლიკაში განწოგადა და საგამოძიებო პრაქტიკა მექრთამეობის, სახელმწიფო ქონების დატაცების, წამატებების, სპეკულაციის, ხულიგანობის, ნარკომანიის და სხვა კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებზე.

1984 წლის აგვისტოში გაიმართა პროკურორებისა და გამომძიებლების რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც გამომძიების ხარისხისა და გამოძიებლის საქმიანობის გაუმჯობესებას მიქმდნა, ხოლო პროკურატურის მუშაკთა სექტემბრის თათბირმა განიხილა სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების მეთოდის, ტექნიკისა და ტაქტიკის საკითხები.

რესპუბლიკის პროკურატურამ შეამოწმა ბოლნისის, თერჯოლის, წალკის, წულუკიძის, ჯავის, ცხინვალის, ზესტაფონის, აბაშის, ლაგოდეხის, ქ. ფოთის, თბილისის კიროვის და ზოგიერთი სხვა რაიონების პროკურატურათა მუშაობა, ოპერატიულად დაეხმარა შემჩნეულ ნაკლავანებათა აღმოფხვრაში მახარაძის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, აბაშის, სამტრედიის, ცაგერის, ქუთაისის და წყალტუბოს პროკურატურებს.

დადებითი გამოცდილების განწოგადების მიზნით შესწავლილ იქნა ქ. თბილისის კლინინის რაიონის პროკურატურის პრაქტიკა მექრთამეობის საქმეთა გამოძიებისას, კიროვის რაიონის პროკურატურისა — გაუფრთხილებელი მკვლელობის საქმეთა გამოძიებისას და

მაიაკოვსკის რაიონის პროკურატურისა — საერთოდ გამოძიების ხარისხი.

განხორციელებული ღონისძიებების შედეგად გარკვეულწილად გაუმჯობესდა რესპუბლიკის ოპერატიული მდგომარეობა, რაც იმით გამოიხატა, რომ შემცირდა რეგისტრირებულ დანაშაულთა საერთო რიცხვი. ეს ფაქტი იმითმაც არის საგულისხმო, რომ კლება მოდის ისეთ მძიმე დანაშაულობათა ხარჯზე, როგორიც არის განწრახი მკვლელობა, გაუპატიურება, ძარცვა, ყჩაღობა, პირადი ქონების ქურდობა და სხვა.

მომხსენებელმა მოიყვანა მაგალითები ცალკეული ქალაქებისა და რაიონების მიხედვით, სადაც დამნაშავეობასთან ბრძოლის შესუსტების გამო შარშან გაიზარდა დანაშაულთა რაოდენობა. აღნიშნა, რომ განწრახი მკვლელობების შემთხვევებია ცხაქაიაში, გარდაბანში, მარნეულში, გორში, გურჯაანში, ლანჩხუთში, სიღნაღში, ყვარელში, თეთრი წყაროში, ხაშურში, წალკაში, ტყიბულში, გეგებქორში. საგანგებოდ აღინიშნა მესტიაში შექმნილი მდგომარეობა, სადაც სისხლის აღების ნიადაგზე ერთ თვეში რამდენიმე მკვლელობა მოხდა.

საგამოძიებო აპარატის უპირველესი მოვალეობაა, თქვა შემდეგ ვ. რაზმაძემ, უზრუნველყოს დანაშაულის დროულად გახსნა და დაადგინოს დამნაშავე ძირითადი მაჩვენებლები ამ მხრივ ცუდი არა გვაქვს, მაგრამ მაინც შეიმჩნევა გაუხსნელ საქმეთა რაოდენობის ზრდა, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. აღსანიშნავია ისიც, რომ გაუხსნელ საქმეთა თითქმის ნახევარი პირადი ქონების ქურდობისა და სახელმწიფო ქონების ქურდობის საქმეებზე მოდის. ცუდი მაჩვენებლები აქვთ ამ მხრივ ლაგოდეხის, ჭიათურის, წაღენჯის, მარნეულის, გორის, გარდაბნის, ზუგდიდის, თეთრი წყაროს, ლანჩხუთის, რუსთავის და ზოგიერთი სხვა რაიონის პროკურატურებს.

გაუხსნელი დანაშაული ძირითადად იმის შედეგია, რომ სათანადო სიმაღლეზე არ არის სისხლის სამართლის სამქებროს ოპერატიული მუშაკებისა და გამომძიებლების თანამშრომლობა და კავშირი, საქმეებში მხოლოდ ფარატინა მიმოწერებია ჩაკერებული და არ ჩანს ნამდვილი ოპერატიული-საგამოძიებო მუშაობა. ეს იმიტაც არის განპირობებული, რომ უხარისხოდ და ზერეულად წარმოებს პირველადი საგამოძიებო მოქმედებები, შემთხვევის ადგილის დათვალიერება, დანაშაულის მაშხილებელი ნიშნების აღმოჩენა — დამაგრება, არღება გააზრებული საგამოძიებო გეგმა, და



ბალ პროფესიულ დონეზე მიმდინარეობს მოწმეების და განსაჯელების დაკითხვა, სათანადოდ არ არის გამოყენებული საგამოძიებო ტექნიკა და მრავალი სხვა.

შემოწმება დაგვარწმუნა, რომ ზოგიერთი რაიონის პროკურორი ნაკლებ უზრადლებას უთმობს შინაგან საქმეთა საგამოძიებო ორგანოებისადმი ზედამხედველობას, რის გამოც ხშირად ირღვევა გამოძიების ვადები ქარელის, ჩოხატაურის, თეთრი წყაროს, წულუკიძის, ცხაკაიას, ბორჯომის, წითელწყაროს, ბოლნისის, ზუგდიდის, მარნეულის, რაიონების შინაგან საქმეთა საგამოძიებო ქვეგანყოფილებებში.

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა პროკურორების ზედამხედველობა გამოძიებისადმი, რის შედეგადაც ამდღა რესპუბლიკაში საქმეთა გამოძიების ხარისხი, მაგრამ მაინც ბევრია გასაკეთებელი, რადგან კვლავ დაბალია გამოძიებულ საქმეთა ხარისხი თეთრი წყაროს, წაღის, ახალციხის, მესტიის, ზუგდიდის, ხაშურის, საჩხერის, ლაგოდეხის, ბორჯომის, ქარელის და ზოგიერთი სხვა რაიონის შინაგან საქმეთა საგამოძიებო ქვეგანყოფილებებში.

არ გვაკმაყოფილებს აგრეთვე სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მდგომარეობა რესპუბლიკაში. მიგვაჩნია, რომ ძალიან მცირეა დამნაშავეთაგან ამოღებული თანხები. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს მუშაობა, რომელსაც ამ მხრივ ეწევიან თელავის, თიანეთის, ქარელის, ცხაკაიას, ყვარლის, მახარაძის, წულუკიძის და ზოგიერთი სხვა რაიონის პროკურატურები.

შემდეგ მომხსენებელმა მკაცრად გააკრიტიკა აფხაზეთის ასსრ პროკურატურის საგამოძიებო საქმიანობა, რომელთა მუშაობაშიც შეიმჩნევა უბასუხისმგებლობა და იმ მოთხოვნათა უგულვებელყოფა, რომლებსაც რესპუბლიკის პროკურატურა უყენებს თავისი სისტემის მუშაკებს.

სერიალური ნაკლოვანებანია ქ. თბილისის პროკურატურის მუშაობაშიც, — თქვა ვ. რაზმაძემ, განსაკუთრებით მოსუსტებს ზედამხედველობა ქალაქის რაიონების პროკურატურებისადმი. ამის მაგალითია გლდანის რაიონის პროკურატურა, სადაც ყოველად შეუწყნარებელი დარღვევები გამოვლინდა.

სამწუხაროდ, ასეთივე მდგომარეობაა წყალტუბოს პროკურატურაშიც.

პროკურატურის ორგანოების მუშაკებმა, თქვა მოხსენების დასასრულს ვ. რაზმაძემ, თავიანთ შემდგომ მუშაობაში აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ეს ნაკლოვანებანი,

გაანალიზონ შემწილი მდგომარეობა და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი საპროკურორო ზედამხედველობისა და საგამოძიებო საქმიანობის გასაუმჯობესებლად. ყველა უბანზე, ყველა დარგში წესრიგი და კანონიერება უნდა დამყარდეს.

შემდეგ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ასსრ პროკურორის მოადგილე ვ. იოსელიანი. სისხლის სამართლის საქმეებზე ზედამხედველობა სასამართლოებში, თქვა მან, პროკურატურის მუშაობის ერთ-ერთი რთული უბანია. სასამართლოში განსაკუთრებულად უნდა წარმოჩინდეს სახელმწიფო ბრალდების მაღალი კვალიფიკაცია და პროცესის აღმზრდელობითი როლი. სისტემატურად მოწოდებულია რა სასამართლო პროცესებში და საკასაციო ინსტანციებში, განყოფილების პროკურორები ილი პასუხისმგებლობით ეკიდებიან კანონიერების ზუსტად, განუზრგვლად დაცვას, რის წყალობითაც ყველგან, სადაც მათ უნდებოთ გამოსვლა, სახელმწიფო ბრალდება მუდამ მაღალ დონეზე დგას.

რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების მუშაკები შემოწმებისა და მეთოდოკური დანმარების მიზნით სწავლობდნენ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პროკურატურების მუშაობას სისხლის სამართლის საქმეებისადმი ზედამხედველობის ხაზით. შარშან ამგვარი შესწავლა-შემოწმება რესპუბლიკის 30 ქალაქისა და რაიონის პროკურატურაში მოეწყო, სადაც გამოვლინდა ბევრი ნაკლოვანება და კანონის უცოდინრობა.

ქალაქებისა და რაიონების პროკურატურების მუშაკებმა ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა იმგვარად, როგორც ამას ახალი კანონმდებლობა მოითხოვს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ისეთ სასჯელთა გამოყენების პრაქტიკა, რომელიც თავისუფლების აღკვეთისთან არ არის დაკავშირებული. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ვასულ წელს შესამჩნევად გაიზარდა პროკურორთა მიერ შემოტანილი პროტესტები, რომლებიც განაჩენთა სიმკაცრის მოტივით იყო დასაბუთებული. სამწუხაროდ, ამ პროტესტების უმრავლესობა უხარისხოა და არც მაინცდამაინც კანონიერი.

განსაკუთრებით გვაფიქრებს საკითხი იმის შესახებ, რომ ქ. თბილისის პროკურატურის მიერ შემოტანილი პროტესტებიდან საკასაციო ინსტანციაში უარი ეთქვა თითქმის ყოველ მეორე პროტესტს. ეს გამოწვეულია პროტესტების ავტორების დაბალი კვალიფიკაციით და ზოგჯერ უსაფუძვლობითაც. ამას შეტი ყურადღება უნდა მიაქციონ თბილისის პროკურატურაში.





შემოწმებით გამოვლინდა, რომ ჯერ კიდევ მოისუსტებს საპროკურორო ზედამხედველობა სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს ანალიზის, ზუგდიდის, ზესტაფონას, კასპის და ზოგადი სხვა რაიონის პროკურატურებში. უფრო მეტიც, შარშან არც ერთი საკასაციო პროტესტი არ შეუტანიათ შემდგომ ინსტანციაში კასპის, ქარელის, ზუგდიდის, მახარაძის, ხაშურის, წალკის და ბოგლანოვკის პროკურორებს. ეს მაშინ, როდესაც ამ რაიონების სახალხო სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენები სისტემატურად უქმდებოდა ან იცვლებოდა უმაღლეს სასამართლოში მხაჯარდადებულთა ან დაზარალებულთა საჩივრების საფუძველზე. შეცვლად და გაუქმებულ განაჩენებთან შედარებით ნაკლები საკასაციო პროტესტები აქვთ დაწერილი აგრეთვე ზესტაფონის, მცხეთის, გარდაბნისა და ლანჩხუთის პროკურორებს.

სერიოზული დარღვევებია პროკურორთა მხრიდან სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს. ხშირად იმდენად უხარისხო, დაუსაბუთებელი და არაკვალიფიციურია სახელმწიფო მხარედება ამა თუ იმ კონკრეტულ საქმეზე, რომ მას თვითონ პროკურორიც ორტოფულად უჭერს მხარს. ასეთ სიტუაციაში ჭეშმარიტების დადგენა ყოველთვის ძნელია და სათუო, ხოლო გამოტანილი განაჩენი — საეჭვო. სისხლის სამართლის საქმის ამგვარი განხილვა და სწორედ ასეთი სუსტი საპროკურორო ზედამხედველობა არის ხოლმე შემდგომში უამრავი საჩივრების და მხარეთა უკმაყოფილების მიზეზი.

ყველა საპატიმრო საქმე, თქვა შემდეგ ვ. იოსელიანმა, რომელიც სასამართლოშია გაგზავნილი განსახილველად, მკაცრ კონტროლზე გვაქვს აყვანილი, რათა არ იქნეს დაშვებული უკანონობა და ბიუროკრატიაში, ხოლო რაიონების პროკურორებს ეძლევათ აუცილებელი მოქმედების გეგმა, რაც უზრუნველყოფს საქმეთა დროულად განხილვას. ამის თაობაზე რესპუბლიკის ყველა სასამართლოსა და პროკურატურას გაგზავნა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს სსრ პროკურატურის ერთობლივი წერილი. ზუსტმა და ქმედითმა საკონტროლო საქმიანობამ გამოავლინა მთელი რიგი სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზთა გამო დიდხანს და გაუმართლებლად ჰიანურდებოდა სასამართლოებში. პრაქტიკული დახმარების აღმოსაჩენად ადგილებზე გაიგზავნენ პროკურატურის გამოცდილი და პასუხისმგებელი მუშაკები. ამას კარგი შედეგი

მოაყვანა ქ. თბილისის გლდანის რაიონის, ქუთაისის ავტოპარკის რაიონის და ხობის რაიონის სახალხო სასამართლოებში დროულად, რამდენიმე დღეში გაირჩა სისხლის სამართლის ისეთი საქმეები, რომლებიც დიდხანს ჰიანურდებოდა და განხილვებოდა. ამის წყალობით უკანასკნელ პერიოდში რესპუბლიკაში საგრძობლად შემცირდა სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის ვადების დარღვევის ფაქტები.

შევისწავლეთ აგრეთვე ვადების დაცვა სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს უმაღლესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიაში. გამოირკვა, რომ თუ საკასაციო ინსტანციაში ვადა ირღვევა, იგი გამოწვეულია იმით, რომ სახალხო სასამართლოები არ ასრულებენ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მმმ-ე მუხლის მოთხოვნებს (შეტყობინება შემოსული პროტესტებისა და საჩივრების შესახებ). ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექციონ პროკურორებმა.

შარშან რესპუბლიკის პროკურატურის პასუხისმგებელმა მუშაკებმა განაზოგადეს სახალხო სასამართლოებში განხილული სისხლის სამართლის ისეთ საქმეების გამოძიებისას, როგორც არც ხელიგნობა, მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევა, სპეკულაცია, მექრთამეობა, არასრულწლოვანთა დანაშაული და სხვა. საგანგებოდ იქნა შესწავლილი აგრეთვე საპროკურორო ზედამხედველობის საკითხი სასამართლოების მიერ დანიშნული მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის შესახებ. განაზოგადების მასალები განიხილეს ოპერატიული თათბირებზე, კოლეგიაზე. შესაბამისი მითითებები და გადაწყვეტილებები დაგზავნათ პროკურორებს. სათანადო წარდგინებით მივმართეთ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, კონკრეტულ საქმეთა გამო დაიწერა პროტესტები და სხვა.

დასასრულ მომხსენებელმა მოიყვანა პროკურორების მიერ შეტანილი პროტესტების მაგალითები, რომლებმაც დროულად გამოასწორეს სახალხო სასამართლოთა მიერ დაშვებული შეცდომები და კანონიერად გადაწყვიტეს საქმე. შეგხო აგრეთვე რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების დასჯით პრაქტიკას, აღნიშნა მისი სტაბილურობა და იმედი გამოთქვა, რომ პროკურატურის ორგანოები კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან რესპუბლიკაში კანონიერების განმ-



ტყელებისა და სოციალისტური მართლმსაჯულების გაუმჯობესების საქონებს.

კადრებთან მუშაობა რესპუბლიკის პროკურატურის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა, კადრები ჩვენი მულმივი ზრუნვის საგანია, თქვა თავის მოხსენებაში საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ ვ. შარაშენიძემ. თუ შარაშენიძემ მნიშვნელოვნად ამაღლა რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების მაჩვენებლები, ეს იმითაც არის განპირობებული, რომ გაუმჯობესდა კადრებთან მუშაობის ორგანიზაცია, პროკურორები და გამომძიებლები უფრო კვალიფიციური და პრინციპული არიან, კარგად იციან კანონი და განუხრებლად იცავენ მათ.

მართალია, შარაშენიძემ კვლავ გრძელდებოდა პროკურატურის ორგანოების წმენდა უინიციატივო, ავტორიტეტშელახული მუშაკებისაგან, მაგრამ ჭერ ადრე ვირწმუნოთ, თითქოს ყველაფერი რიგზე იყოს და ჩვენს ირგვლივ აღარ ხდებოდეს კანონის უხეში დარღვევები. რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელობა კვლავაც შეურიგებელი იქნება ყოველგვარი უკანონობის მიმართ, სანამ მთლიანად არ გაიწმინდება ჩვენი რიგები პროკურატურის ორგანოებში შემთხვევით მოხვედრილი პირებისგან.

შარაშენიძემ ორგანოდან დავითხოვეთ 12 მუშაკი, 80 კაცს კი მკაცრი დისციპლინური სასჯელი დაედო. სამწუხაროდ, ორგანოს მუშაკთა შეუფერებელი მოქმედების გამოვლინება მხოლოდ რესპუბლიკის პროკურატურის და მისი ხელმძღვანელობის ინიციატივით ხდება. არავითარ პასუხისმგებლობას ამ მხრივ არ გრძნობენ ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქების, ქ. თბილისის და რაიონების პროკურორები, რომლებიც აქტიურად არ იბრძვიან თავიანთი მუშაკების გადაცდომათა საშკარაზე გამოსახტანად. თათბირებსა თუ კოლეგიებზე ჩვენ არავითარ ადგივნიშნავს, რომ კადრებისათვის კომუნისტური ზრუნვის უპირველესი გამოხატულებაა მომთხოვნელობის გაზრდა, პრინციპულობა და შემჩნეულ ნაკლოვანებებთან შეურიგებლობა. ამას კი ყველაზე მეტად ადგილებზე უნდა მიაქციონ ყურადღება აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. თბილისის და რესპუბლიკის რაიონების პროკურორებმა.

1984 წელს იძულებული ვიყავით შეგვეცვალა 25 რაიონის და ქალაქის პროკურორი. ასეთი უკიდურესი ღონისძიება რესპუბლიკის პროკურატურის თვითმიზანი არ არის. იგი გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ აუცილებლობით, შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით.

ბრძოლას ამ მხრივ არც წელს შევანელებთ, კვლავაც ასეთი პრინციპული და შეურიგებელი ვიქნებით, თუ საქმე მოითხოვს, თუ დავარწმუნდებით, რომ პროკურორები ვერ უძღვებიან დაკისრებულ მოვალეობას. ასეთ დროს არავის ექნება რაიმე შედეგით, რადგან კანონიერების დაცვა რესპუბლიკის პროკურატურის უპირველესი ამოცანაა.

ჩვენ გვაქვს კადრების მომზადების საუკეთესო სკოლა — საკავშირო პროკურატურასთან არსებული კურსები, სადაც 32 ადგილი გვეკუთვნის. თითქოს კონკურსიც კი უნდა იყოს მოსკოვის კურსებზე წასასვლელად, მაგრამ პირიქით ხდება. ძალიან ბევრი სრულიად გაუმართლებლად არიდებს თავს და ათასნაირი მიზეზებით ცდილობს უარი თქვას კვალიფიციაციის ამაღლების ამ საუკეთესო საშუალებაზე. ამგვარი არაჩანასადი გამოვლინების შეუწყნარებელია და თუ ისინი განმეორდება, ამას მკაცრად შეაფასებს რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელობა.

რესპუბლიკის პროკურატურამ, განაგრძო ვ. შარაშენიძემ, გასულ წელს განხორციელა ღონისძიებანი სამოქალაქო საქმეების განხილვისადმი საპროკურორო ზედამხედველობის ასამაღლებლად. შევისწავლეთ ზოგიერთი რაიონის პროკურატურის მუშაობა ამ მხრივ და გავუწიეთ კიდევ მათ დახმარება. შესწავლილი მასალების ნაწილი განვოჯგულა თათბირ-სემინარებზე. რამდენიმე ანგარიში კი კოლეგიაზეც მოვისმინეთ. ამან უკვე გამოიღო ნაყოფი. უზრუნველყოფილია პროკურორების მოწოდება ყველა კატეგორიის საქმეზე, შემცირდა საშუალოდან უკანონოდ დათხოვნილთა რაოდენობა, გაუმჯობესდა ზოგიერთი სხვა მაჩვენებელიც.

ის ფაქტი, რომ უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა საშუალოდან უკანონოდ დათხოვნილ პირთა რიცხვი, იმის შედეგია, რომ პროკურორები აქტიურად მონაწილეობენ ამ კატეგორიის საქმეთა განხილვაში. როგორც ცნობილია, პროკურორის მონაწილეობა ზოგიერთ სამოქალაქო დავაში აუცილებელია, რადგან იგი ხელს უწყობს სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანას და საჩივრების შემცირებას. ამიტომ კვლავ უნდა გაგრძელდეს ასეთი პრაქტიკა, რასაც უკვე მოჰყვა დადებითი შედეგები. მაგრამ საჭიროა ისიც გვახსოვდეს, რომ სახამართლოში საქმის განხილვის დროს პროკურორების მოთხოვნები უნდა ემყარებოდეს კანონს, იყოს პრინციპული, სამართლიანი და რაც ყველაზე





მთავარი, რეალური. როდესაც იმ სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც პროკურორიც მონაწილეობდა, უქმდება ან იცვლება ზემდგომ საკანსაციო ინსტანციაში და პროკურორი არ ახდენს ამაზე რეაგირებას, არ წერს პროტესტს, ნიშნავს, რომ მისი მონაწილეობა პროცესში ფორმალურია. ამ მხრივ ცუდი მაჩვენებლები აქვთ ქუთაისის ავტოქარხნის, საჩხერის, თეთრი წყაროს, გვიგუქორის, ზუგდიდის, წალკის და ზოგიერთი სხვა რაიონის პროკურატურებს.

შემდეგ მომხსენებელმა დაასახელა ის რაიონები, სადაც სხვებთან შედარებით ჭირ კიდევ ბევრია სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნის შემთხვევები, მომხსენებელმა უურაღებდა გამახვილა სამოქალაქო ურთიერთობების დროს მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე, ილაპარაკა ფორმის ტარების წესზე, კულტურასა და განათლებაზე.

რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების მუშაკები, თქვა მოხსენების დასასრულს ვ. შარაშენიძემ, კვლავაც ჩვეული შემართებით, მომთხოვნელობით და პროფესიული ოსტატობით იმუშავებენ ყველა უბანზე, რათა წარმატებით გადაწყვიტონ ის ამოცანები, რომლებსაც პარტია და საკავშირო პროკურატურა აუენებენ ჩვენ წინაშე.

მოხსენებების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ აფხაზეთის ასსრ პროკურორი ვ. შარაშენიძე, აჭარის ასსრ პროკურორი დ. თამაზაშვილი, საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი

ლ. ჭუბათიშვილი, საქართველოს სსრ პროკურატურის სამმართველოს უფროსის მოადგილე რ. ბილიბაშვილი, მარნეულის რაიონის პროკურორი ბ. მბრალშიძე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. შაბუნი, საქართველოს სსრ პროკურატურის პარტიული კომიტეტის მდივანი ზ. მიძინაძე, ქ. თბილისის პროკურორი ს. ნანტიბაშვილი, თბილისის პროკურატურის შრომა-გასწორების დაწესებულებებში საპროკურორო ზედამხედველობის პროკურორი მ. ნოზაძე, ამიერკავკასიის ტრანსპორტის პროკურორი რ. შიშინი, სსრ კავშირის პროკურატურის განყოფილების უფროსი ბ. კობახიძე.

კოლეგიის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ პროკურორმა ბ. ბარბაქაძემ.

განხილულ საკითხზე კოლეგიამ მიიღო დადგენილება.

გაფართოებული კოლეგიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ნ. სპაპია, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ბ. შუშინაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე თ. კოლუბა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ქლიშინაშვილი.

ბ. არსენაშვილი.

## საქორდინაციო-მეთოდოლოგიური საბჭოს სხდომა

გაიმართა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სამართლის პროპაგანდის საქორდინაციო-მეთოდოლოგიური საბჭოს სხდომა, რომელიც შესავალი სიტყვით განსწავლეს თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ზ. რატიანაძემ.

რესპუბლიკაში, აღნიშნა ზ. რატიანაძე, ბევრი რამ ეთოდება მოქალაქეთა სამართლებრივი კულტურის ამაღლებისათვის, მოსახლეობის ყველა სოციალურ ფენაში შეიქმნა სამართალმწიფეობითი მუშაობის მწყობრი სისტემა. მასობრივი ინფორმაციის ორგანოები უფრო აქტიურად და მიზანდასახულად აშუქებენ სამართლებრივ თემებს, ყოველწლიურად იზრ-

დება სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებზე წაკითხული ლექციების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები.

მეტი ყურადღება ექცევა სამართალმწიფეობით საქმიანობას შრომით კოლექტივებში. სისტემატურად ეწყობა სამართლის პროპაგანდის დეკადები და ერთთვიურები, კონკურსი-დათვალიერებები, ვიქტორინები და სხვა მასობრივი ღონისძიებანი. ფართოდება საზოგადოებრივ საწყისებზე იურიდიული კონსულტაციების ქსელი. ადგილებზე სამართალმწიფეობით პროცესებს უკეთესად წარმართავენ რაიონული და საქალაქო საქორდინაციო-მეთოდოლოგიური საბჭოები.



დასასრულს ზ. რატიანი შეენო ამ საქმიანობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს. ზოგიერთი რაიონისა და ქალაქის საკოორდინაციო-მეთოდოლოგიური საბჭო, თქვა მან, დამამყარებელი არ ხელმძღვანელობს სამართალ-აღმწერდელითს პროცესებს, ურიგდება ფორმალისმის გამოვლინების ფაქტებს.

სხდომაზე განიხილეს შემდეგი საკითხები: „სამტრედიისა და ყვარლის რაიონების სახალხო სასამართლოების მიერ სოციალისტური ქონების დატაცების, მექრთამეობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ გაწეული სამართალ-აღმწერდელითი მუშაობის შესახებ“;

„სამართალ-აღმწერდელითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებებისა და რესპუბლიკაში სამართლებრივი საყოველთაო სწავლების განხორციელების შესახებ“.

ინფორმაციებით ამ საკითხებზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის სამმართველოს უფროსი კონსულტანტები ზ. მისენბიშიძე და თ. ჯუსუპიძე.

სხდომაზე აღინიშნა, რომ სამტრედიისა და ყვარლის რაიონების სახალხო სასამართლოები (თავმჯდომარეები ო. სტურუა, ა. მაისურაძე) გარკვეულ სამართალ-აღმწერდელით საქმიანობას ეწევიან ისეთი საშუალო დანაშაულობათა წინააღმდეგ, როგორც არის სოციალისტური ქონების დატაცება, მექრთამეობა და სპეკულაცია. სასამართლოები ცდილობენ ღრმად ჩასწვდნენ იმ მიზეზებს, რომლებიც ხელს უწყობს დანაშაულობათა წარმოქმნას, ეძებენ გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა უფრო უფექტიან გზებს იმისათვის, რომ ამ და სხვა დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლას კონკრეტული და შემტევი ხასიათი ჰქონდეს.

სამართალ-აღმწერდელით კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად ყვარლის რაიონში 1984 წელს სოციალისტური

ქონების დატაცების ფაქტები არ გამოვლენილა.

სასამართლოები ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას ღირს უურაღლებას უთმობენ ისეთ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, როგორც არის გამსვლელი სასამართლო სხდომების მოწეობა, საქმეთა განხილვა საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით, კერძო განჩინებების გამოტანა, სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადება.


საკოორდინაციო-მეთოდოლოგიურმა საბჭომ განხილულ საკითხზე მიიღო შესაბამისი რეკომენდაციები.

საკოორდინაციო-მეთოდოლოგიურმა საბჭომ მიიღო საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი — რესპუბლიკაში სამართლებრივი საყოველთაო სწავლების განხორციელების შესახებ. სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ დაწერონ მშრომელთა მასობრივი სამართლებრივი სწავლების ეს ფორმა.

კამათში მონაწილეობდნენ: საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. რაიონიშვილი, უფროსი „საბჭოთა სამართლის“ მთავარი რედაქტორი მ. პატიშვილი, რესპუბლიკის საზოგადოება „ცოდნის“ თავმჯდომარის მოადგილე ზ. ბაქაშვილი, რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე მ. შარაშენიძე, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის სამმართველოს უფროსი ბ. მიქაბერიძე და სხვები.

მ. კობრიანიძე,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.



### რაიონის სამართალ-აღმწერდელით მუშაობის გაუმჯობესებისათვის

1985 წლის 21 იანვარს გლდანის რაიონის სახალხო სასამართლოს, იურიდიული კონსულტაციის, ნოტარიატის და მმარის ბიუროს მუშაკთა გაერთიანებულმა კრებამ განიხილა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს და უმაღლესი სასამართლოს წერილები ყველა კომუნისტის, კომკავშირელის და იუსტიციის

დაწესებულებათა და სასამართლო ორგანოების ყველა მუშაკის მიმართ. კრებამ დაესწრენ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ა. შუშბანაშვილი, საქართველოს კომპარტიის გლდანის რაიონის პირველი მდივანი ა. გომიტიანი, პარტიის რაიონის პასუხისმგებელი თანამშრომლები.



აღინიშნა, რომ რაიონის სამართალდაცვითი ორგანოები დიდ მუშაობას ეწევიან მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცებისათვის. ამასთან ერთად დამსწრეთა ყურადღება მიაპყრეს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს. კერძოდ, ითქვა, რომ ჭერ კიდეც არის პროცესუალური კანონმდებლობის ნორმების დარღვევის, განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებისა და შეცვლის ფაქტები. სახალხო მოსამართლეები არ ახორციელებენ ყველა ღონისძიებას საქმის გარჩევის გაზიარების ალკვეთისათვის, კანონით დადგენილ ვადებში მათი გამოძიებისათვის, არის საქმეთა დამატებითი გამოძიებისათვის უსაფუძვლოდ დაბრუნების შემთხვევები. სახალხო მოსამართლეები ზოგჯერ სისხლის და სამოქალაქო სამართლის საქმეებს არ განიხილავენ დანიშნულ დღეებსა და საათებში, ალკვეთილი არ არის საქმეთა უსაფუძვლოდ გადადება. სათანადო ყურადღება არ ექცევა პროფილაქტიკურ მუშაობას, გამსვლელ სხდომაზე არ განიხილება ისეთი საქმეები, რომლებსაც დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი აქვს. არ ხორციელდება საჭირო ღონისძიებანი დანაშაულის ხელშემწყობი პირობების გამოვლენისათვის.

კრებაზე ითქვა, რომ გლდანის რაიონის იურიდიული კონსულტაცია დიდ მუშაობას

ეწევა რაიონის საწარმო-დაწესებულებებისა და მოსახლეობის იურიდიული მომსახურების გაუმჯობესებისათვის. შარშან რაიონის ადვოკატები მოემსახურნენ 4286 საწარმოს, დაწესებულებასა და მოქალაქეს. იურიდიული კონსულტაციის ადვოკატებმა მონაწილეობა მიიღეს 588 სისხლის სამართლის და 601 სამოქალაქე საქმეში, შეადგინეს 162 იურიდიული დოკუმენტი, მოსახლეობას წაუკითხეს 55 ლექცია და მოხსენება. რაიონის საწარმოებთან, დაწესებულებებთან და სახლმმართველობებთან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილია 25 საკონსულტაციო პუნქტი. ხელშეკრულებით იურიდიული მომსახურება ეწევა 9 ორგანიზაციას. რაიონში შექმნილია სამართალმცოდნეობის ორი სახალხო უნივერსიტეტი.

კრებაზე გამოვიდნენ რაიონის სახალხო სამართლოს თავმჯდომარე დ. მბტბაძე, მოსამართლე ბ. მოკსესინიანი, ნოტარიუსი ა. შინჭარაშული, მმაჩის ბიუროს გამგე ლ. ზანტაშვილი და სხვები; ვრცელი სიტყვა წარმოთქვეს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ა. შუშანაშვილმა და საქართველოს კომპარტიის, გლდანის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. გოცირიძემ.



## ცნობები ავტორთა შესახებ

**მველინა გორისის ასული მელნიკოვა** — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ბევრი მეცნიერული შრომისა და წიგნის ავტორი, პირველად იბეჭდება უფროსად „საბჭოთა სამართალში“.

**ბაბაი ბრიგოლის ძე პარბანძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, მრავალი შრომის ავტორი სისტემატურად თანამშრომლობს „საბჭოთა სამართალში“.

**დავით დავითის ძე სულაძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, 4 შრომის ავტორი, მეოთხედ იბეჭდება ჩვენს უფროსად.

**დავით გივიძის ძე კუპრამიშვილი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამოქალაქო სამართლის და პროცესის განყოფილების უფროსი ლაბორანტი, პირველად იბეჭდება „საბჭოთა სამართალში“.

**დოდო შაბრის ასული ჯულუხაძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, პირველად იბეჭდება ჩვენს უფროსად.

**გივი ივანის ძე ბახტაძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი, 6 შრომის ავტორი, მეექვსედ იბეჭდება უფროსად „საბჭოთა სამართალში“.

**მადამ მიხეილის ასული გვაზაძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამოქალაქო სამართლის და პროცესის განყოფილების ასპირანტი, პირველად იბეჭდება ჩვენს უფროსად.

**ირინე აპოლონის ასული ფალიაშვილი** — კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის კათედრის ასპირანტი, პირველად იბეჭდება უფროსად „საბჭოთა სამართალში“.

**ბარბანის პირველ გვირგვინი:** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1985 წლის 24 თებერვალს გამართულ არჩევნებში რესპუბლიკის მშრომელებმა დიდი ნდობა გამოუცხადეს ჩვენი საზოგადოების მოწინავე ადამიანებს. ამიტომ არის, რომ ახლა საგეგმო ვალდებულებათა ვადაზე ადრე შესრულებისათვის გაორკეცებული მონდომებით შრომობენ თბილისის საავიაციო გაერთიანების ელექტრო-მემონტაჟთა ბრიგადის ხელმძღვანელი, საქალაქო საბჭოს დეპუტატი ნ. აბულაძე (მარცხნიდან), მექანიკური სამქროს ზეინკალთა ბრიგადის თავკაცი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. კუბლაშვილი, ელექტრო-მემონტაჟი, საქალაქო საბჭოს დეპუტატი ნ. აბაშიძე და ხარატი, რაიონული საბჭოს დეპუტატი მ. ჩახაია.

დ. იაკობაშვილის სლოგი.

«САВЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 1, 1985 (на грузинском языке). Двухмесячный, научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеванова, 103, тел.: 95-58-87; 95-88-49.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



ფასი 60 კპვ.

ინდექსი 76185

### ავტორთა საუბრადღებოდ!

1. სტატიები და სხვა მასალები რედაქციაში წარმოდგენილი უნდა იქნას ავტორის მიერ ხელმოწერილი, ორ ეგზემპლარად, მანქანაზე ორი ინტერვალით დაბეჭდილი;

2. თეორიული წერილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ნაბეჭდ 14 გვერდს, სხვა მასალისა — 8 გვერდს.

რედაქცია დაინტერესებულია მიიღოს მოკლე ცნობები და შენიშვნები აღმინისტრაციული ორგანოების პრაქტიკულ საქმიანობაზე;

3. სტატიაში გამოყენებული ციტატები აუცილებლად უნდა იყოს პირველწყაროსთან შედარებული და ავტორის მიერ ვიზირებული. სქოლიოში უნდა აღინიშნოს ავტორის გვარი, წიგნის გამოცემის წელი, აგრეთვე, ციტირებული მასალის გვერდი;

4. სტატიები და სხვა მასალები დამუშავებული უნდა იყოს ლიტერატურულად და თან დაერთოს ანოტაცია რუსულ ენაზე;

5. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ;

6. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეგზავნებათ;

7. სამეცნიერო-კვლევითი გეგმით შესრულებულ ნაშრომზე ჰონორარი არ გაიცემა;

8. სხვა პერიოდულ გამოცემაში უკვე გამოქვეყნებული მასალები უბრუნდებათ არ დაიბეჭდება;

9. უბრუნდის რედაქცია მკითხველებს აწვდის მოკლე ცნობებს ავტორებზე. ამიტომ სტატიებს თან უნდა დაერთოს ავტორის სახელი, მამის სახელი, გვარი, დაბადების წელი, სამეცნიერო ხარისხი ან წოდება, რამდენი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული, მათ შორის უმნიშვნელოვანესი, სად ეწევა სამეცნიერო-კვლევითს, პედაგოგიურ ან პრაქტიკულ საქმიანობას.

ამ პირობების დაუცველად გამოგზავნილი მასალა არ გამოქვეყნდება.